**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

**ალექსანდრე გეგეჭკორი**

# საერთაშორისო უსაფრთხოება საქართველოსა და ევროპაში

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა: საერთაშორისო ურთიერთობები

შიფრი – 07

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო

2019 წ

საავტორო უფლება © 2019 წელი „ალექსანდრე გეგეჭკორი“
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

ჩვენ, ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით **ალექსანდრე გეგეჭკორის** მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: **„საერთაშორისო უსაფრთხოება საქართველოსა და ევროპაში“** და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი: „----“ „------------“ , 2019 წელი

ხელმძღვანელი **ირაკლი გელენავა,**

სტუ, პროფესორი

რეცენზენტი:

რეცენზენტი:

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

**2019 წელი**

ავტორი: **ალექსანდრე გეგეჭკორი**

დასახელება: **„საერთაშორისო უსაფრთხოება საქართველოსა და ევროპაში“.**

ფაკულტეტი: **სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების**

აკადემიური ხარისხი: **დოქტორი**

სხდომა ჩატარდა: **-----------------, 2019 წელი**

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

*ავტორის ხელმოწერა*

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

# რ ე ზ ი უ მ ე

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება უსაფრთხოების საკითხებს და სახელმწიფოს მიერ წარმოებული ტერორისთავის განხილვას.

წარმოდგენილი ნაშრომის შესავალ ნაწილში განხილულია საკვლევი თემის აქტუალობა; გადმოცემულია კვლევის მიზანი, ამოცანები, ობიექტი, საგანი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ინფორმაციულ-ისტორიული ბაზა ჩამოყალიბებულია ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერულისიახლე; ნაჩვენებია მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში წინა პლანზე წამოიწევს ეთნიკური და იდეოლოგიური ტერორი. პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდგომ ჯერ რუსეთი ქმნის სახელმწიფო იდეოლოგიური „ბოლშევიკური ტერორის“ მანქანას და იწყებს მის გავრცელებას მეზობელ სახელმწიფოებში. შემდგომ იშვა კიდევ ორი აგრესიული იდეოლოგიის სახელმწიფო შუაგულ ევროპაში იტალია და გერმანია. სახელმწიფო ტერორის არსებობა შეუძლებელია იდეოლოგიური მტრის არსებობის გარეშე.

ბოლშევიკური იდეოლოგიის დამკვიდრება შესაძლებელი იყო მხოლოდ სახელმწიფო ტერორის წარმოების შედეგად. საქართველოს გასაბჭოების შემდგომ, შეიქმნა სეპარატისტული რეგიონები, რომლებიც პერმანენტულად ცდილობდენ საქართველოს საწინააღმდეგო პოლიტიკის წარმოებას. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომ ჩადებული „ნაღმები“ ამოქმედნენ. „სამხრეთ ოსეთის“ და „აფხაზეთის“ სეპარატისტულ რეგიონებში დაიწყო ქართველების ეთნიკური დევნა, რამაც ქართველთა წინააღმდეგ რუსეთის სახელმწიფოს მიერ მართვადი ტერორის ფორმა მიიღო. არსებობის ბოლო წლებში, საბჭოეთმა მოახერხა და შექმნა ეთნიკური დაპირისპირების მრავალი კერა. ქართულ-ოსური, ქართულ-აფხაზური, რომელიც დღემდე მოუგვარებელია და წარმოებული ეთნიკური ტერორი პერმანენტულ საბრძოლო მოქმედებებში გადაიზრდება. მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებისა, რუსეთთან დაპირისპირებისგან თავს ვერ დავაღწევთ და რუსეთის მიერ წარმოებულ სახელმწიფო ტერორს უნდა და დაუპირისპიროთ ანტიტერორისტული მოქმედებები. ამოყენებული უნდა იქნეს მათთან ბრძოლისას მიღებული გამოცდილება როდესაც არცერთი ბოროტი ქმედება ჩადენილი სეპარატისტების მიერ არ რჩებოდა დაუსჯელი.

საქართველოს აქვს გამოცდილება რუსეთთან არა მარტო საბრძოლო მოქმედებების არამედ დივერსიულ ტერორისტული და ასიმეტრიული ომის წარმოებისა. საქართველოს საპეცსამსახურების და პარტიზანების მიერ არაერთი რუსულ-სეპარატისტული გაერთიანებული დივერსიულ ტერორისტული ჯგუფი განადგურებულა. არწერილია თუ როგორი უნდა იყოს საქართველოს როგორც სახელმწიფოს მოწყობა და მაგალითად მოყვანილია ისრაელის სახელმწიფო მოწყობა, სადაც პოლიტიკაში მოსვლა და ხელისუფლებაში თანამდებობის დაკავება შეუძლიათ, მხოლოდ პროფესიონალ სამხედროებს საბრძოლო გამოცდილებით. ისრაელის სახელმწიფო პოლიტიკა მკაცრად განსაზღვრავს ქვეყნის ინტერესებს და ისრაელის მიმართ გამოვლენილი სულ მცირედი აგრესიაც კი არ რჩება დაუსჯელი. ისრაელი ტერორიზმთან ბრძოლის ყველა მეთოდებს იყენებს და ამას ახორციელებენ უმაღლესი პოლიტიკური რანგის მქონე პირები.

კვლევისას ირკვევა, რომ ყოველგვარ აგრესიას წინ უსწრებს იდეოლოგიური დივერსია, რაც მძლავრი იარაღია სახელმწიფოებთან საბრძოლველად. იდეოლოგიური დივერსიის წარმოება შეიძლება, როგორც საკუთარი ასევე სხვა ხალხების მიმართ, როგორც სახელმწიფოს შიგნით ასევე მის გარეთ. სახლემწიფო ტერორის წარმოება განსაკუთრებულად მომგებიანია აგრესიული სახელმწიფოსთვის თუმცა მისი წარმოების დაწყება ადვილი ამოსაცნობია. გამომდინარე ეფექტურობიდან კი მისი წარმოება უფრო მომგებიანია, ვიდრე უცებადი თავდასხმა მოწინააღმდეგეზე, თუ განვიხილავთ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარს არცერთი საბრძოლო მოქმედება არ დაწყებულა სახელმწიფოს მიერ,

რომელსაც წინ არ უსწრებდა მის მიერ სახელმწიფო ტერორის სხვადასხვა ფორმით წარმოება მოწინააღმდეგის მიმართ.

პირველ თავში გაანალიზებულია: ტერორიზმი და მისი ყველაზე საშიში ფორმა სახელმწიფო ტერორიზმი, ტერორის წარმოების ისტრორია და მისი სახელმწიფო დონეზე გამოყენება. სახელმწიფო ტერორიზმის გამოყენების ფორმები და სახეები, საფრთხის დონე და მასთან ბრძოლის მეთოდები. სახელმწიფო ტერორის მწარმოებელი, სტრუქტურები მათი ფორმები ისტროიული გამოცდილება და დაპირისპირების მეთოდოლოგია. ნაჩვენებია რუსეთი, როგორც ჰიბრიდული ომის მწარმოებელი სახელმწიფო, მისი იდეოლოგიურ იმპერილისტური ფორმები და საფრთხის აუცილებლობა ასეთი სახელმწიფოს ინტერესის სფეროში თუ უბრალოდ მეზობლად ყოფნისას.

მეორე თავში განხილულია რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების ისტორიული მიმოხილვა, რუსეთის მიერ სახელმწიფო ტერორის წარმოებისას განხორციელებული მეთოდები. მათ შორის ეთნოკონფლიქტები, იდეოლოგიური დივერსია ტერორი, მცოცავი ანექსია როგორც ტერორის წარმოების უნიკალური ფორმა. არა პირდაპირი თუ პირდაპირ წარმოებული საბრძოლო მოქმედებები თუ იდეოლოგიური ეთნო-რელიგიური ტერორისტული დაპირისპირებები. მეხუთე კოლონა, როგორც პოლიტიკური ბრძოლის მძლავრი იარაღი. განხილულია ბრძოლის დაპირისპირების მეთოდები და ბრძოლის წარმოების აუცილებელი პირობები. განხილულია რეკომენდაციები ყოველივე დაფუძნებულია პრაქტიკულ და ისტორიულ გამოცდილებაზე. განხილულია წარმატებულად მოქმედების გამოცდილებები და აუცილებელი პირობები.

მესამე თავში განხილულია ევროპის მოუმზადებელ გაუცნობიერებელი ქმედებები ტერორიზმის თავიდან ასაცილებლად და მოსალოდნელი შედეგების აღსაკვეთად. განხილულია ევროპაში განხორციელებული ტერორის დღემდე უცნობი მეთოდები და რელიგიური ტერორის მაპროვოცირებელი ფაქტორები. ევროკავშირის გარანტირებული სიმშვიდის და კეთილდღეობის, იდეოლოგიური სისუსტე გამომდინარე მათი ფსევდო ლიბერალური ღირებულებებიდან. მართული ქაოსით და „დიდი გადასახლების" მეთოდოლოგის გამოყენებით ევროპის დაშლის მცდელობა სახეზეა.

მეოთხე თავში განხილულია საერთაშორისო ორგანიზაციების ქმედებები, სახელმწიფო თუ ცალკეული ტერორიზმის წინააღმდეგ. რელიგიური და იდეოლოგიური გავლენა ტერორიზმზე და მასთან დაპირისპირების მეთოდოლოგია.

თემის განხილვისას მოცემულია კვლევის ზოგადი შედეგები და რეკომენდაციები, ქვეყნების სუსტი მხარეები არსებული საფრთხეები და სახელმწიფო ტერორიზმთან ბრძოლისას გამოვლენილი შეცდომები.

# Summary

This thesis work is devoted to the discussion of possibilities of defense from state-conducted terror. Research topic relevance is reviewed in the introduction of the work; research goal, tasks, object, subject, theoretical and methodological foundation and informative-historical basis are provided along with main results of the work and scientific novelty showing its practical meaning.

"Hybrid opposition" between the states created religious terroristic organizations that formed "Islamic State" on the "uncontrolled" territories of Iraq and Syria. In the beginning of the twentieth century ethnic and ideological terror came forward. Upon completion of the First World War, Russia created state ideological machine of "Bolshevik Terror" and started its spreading throughout the neighboring states. Establishment of Bolshevik ideology was possible only through conduction of state terror and destroying millions of people.

The twentieth century created two states with fascist state ideology in the heart of Europe: Italy and Germany. Due to psycho type of Italian people, Italian fascism couldn't manage to be spread over the

neighboring counties. What concerns Germany, fascist regime born therein, routed towards revanchism and after being humiliated by European counties in the First World War, Germany adopted fascist ideology. State terror existence is impossible without ideological enemy, as any sacrifice made by the population shall be justified. Dictatorial state can be defined either by its economic condition or existence of any type of separatism.

After foundation of Soviet Union, separatist regions were created in Georgia that permanently tried to conduct anti-Georgian policy. Even in the period of Soviet Union were established autonomies of "South Osetia" and "Abkhazia", as well as autonomy of "Ajaria". The latter was created with religious point of view, however there was neither basis nor necessity therefore, in addition, Bolsheviks categorically denied existence of religion. After destroy of Soviet Union inserted "mines" started to explode. Ethnic pursuing of Georgians was started in separatist regions of "South Osetia" and "Abkhazia", that had the form of terror controlled by the state against Georgians. During the last years of existence, Russia managed to create multiple sites of ethnic opposition. Georgian-Osetian, Georgian-Abkhazian oppositions that are not managed yet and shall be transferred from conducted ethnic terror into permanent military acts. Nowadays, one of the most important challenges worldwide is the state-conducted terror owning the features of hybrid war. Notwithstanding activity of international commonwealth, including sanctions imposition towards Russia, we cannot escape Russian opposition and we should struggle through antiterrorist actions against state terror conducted by Russia, considering previous struggle experience against Russia and separatists, when neither cruel action done by separatists was punished.

Besides military actions against Russia, Georgia has experience of sabotage terrorist and asymmetric war conduction. Number of Russian and separatist united sabotage terrorist groups were destroyed by special services of Georgia and partisans in separatist and adjacent regions.

State structure of Georgia shall be similar to that of Israel, wherein only professionals with military experience can come into politics and take position in government. After military actions termination by members of Georgian special forces groups and partisans on the territory of Abkhazia, Kodori Gorge was taken by Russia without resistance after Samachamblo war in 2008.

Ideological sabotage is the powerful instrument for struggling against the states. Wars in twentieth century were not started without ideological sabotage and in 21$^{st}$ century as well, it shall be impossible to conduct state terrorism without ideology. It can be conducted against its own as well as against other peoples, inside or outside the state. State terror is especially profitable for aggressive states, however it is easy to define. Due to its effectiveness, its conduction is more effective and

profitable, than sudden attack. While reviewing the second half of the 20th century, we can see, that not a single military action was started by the state without preceding state terror conducted in different ways against the opponent.

In the first chapter can be found the analysis of: terrorism and the most dangerous form thereof – state terrorism, history of terror conduction and its application on governmental level. Forms and types of state terrorism application, level of danger and methods of struggle therewith. Structures conducting state terror, their forms, historical experience and methodology of opposition. Russia is shown as the hybrid war conducting state, its ideological and imperialistic forms and necessity of danger within the field of interest or in neighborhood of such state.

Russian-Georgian opposition historical review, methods applied by Russia while state terror conduction is discussed in the second chapter, including ethno-conflicts, ideological sabotage terror, crawling annexation as the unique form of terror conduction. Military actions conducted indirectly and directly or ideological ethno-religious terroristic oppositions.

The fifth column, as the powerful arms of political struggle. Methods of opposition and obligatory provisions of struggle conduction are discussed along with recommendations. Everything is based on practical and historical experience. Successful action experience and necessary provisions are reviewed.

Unprepared, unconscious actions of Europe for terrorism avoidance and expected outcomes suppression are discussed in the third chapter. Methods of terror conducted in Europe that were unknown till today and religious terror provocateur factors are reviewed. Guaranteed peace and welfare, ideological weakness due to their pseudo-liberal values. Attempt to destroy Europe through controlled chaos and application of “Great exile” methodology, is obvious.

Actions of international organizations against state or separate terrorism are discussed in the forth chapter. Religious and ideological influence on terrorism and methodology of opposition thereto. General results of research and recommendations are provided while topic discussion, weak points of the countries, existing dangers and mistakes revealed in the struggle against state terrorism.

## შ ი ნ ა ა რ ს ი


ტიტულის გვერდი

ხელმოწერების გვერდი 2

საავტორო უფლების გვერდი 3

რეზიუმე (ქართულ ენაზე) 4

რეზიუმე (ინგლისურ ენაზე) 7

შინაარსი 9

შესავალი 11

ლიტერატურის მიმოხილვა

**კვლევის შედეგები და მათი განსჯა**

**თავი I. ტერორიზმი XX – XXI საუკუნეებში და მისი ძირითადი მახასიათებლები**

1.1. საერთაშორისო ტერორიზმი, ისტორიულ-პოლიტიკური მიმოხილვა ..............................38

1.2. ტერორიზმის ფორმები და სახეები თანამედროვე მსოფლიოში ......46

1.3. სახელმწიფო ტერორიზმი ..............................58

**თავი II. ტერორიზმი და მისი აღქმა საქართველოში**

2.1. ტერორიზმის გამოვლინება საქართველოს რეალობაში, საფრთხეები და გამოწვევები ..............................73

2.2. ტერორიზმის სტატისტიკური მაჩვენებლები საქართველოში .......108

2.3. ტერორიზმის ასახვა საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკურ დოკუმენტებში ..............................113

**თავი III. ტერორიზმი და თანამედროვე ევროპა**

3.1. ტერორიზმი როგორც ტრანსნაციონალური მოვლენა ..............................119

3.2. „ახალი დიდი გადასახლება“ ევროპაში და მოსალოდნელი შედეგები ..............................130

3.3. ტერორიზმი და ევროპული საზოგადოება ..............................135

**თავი IV. ტერორიზმის პრევენცის პოლიტიკურ რელიგიური ასპექტები**

4.1. საერთაშორისო ორგანიზაციები ტერორიზმის წინააღმდეგ ...........140

4.2. რელიგიური და სახელმწიფო ინსტიტუტების როლი და მნიშვნელობა ტერორიზმის პრევენციის საქმეში ..............................145

4.3. იდეოლოგიების გავლენა ტერორიზმზე ..............................151

**დასკვნა**

**გამოყენებული ლიტერატურა 165**

# შ ე ს ა ვ ა ლ ი

**1. საკვლევი თემის აქტუალობა** განპირობებულია საქართველოსა და ევროპაში შექმნილი მდგომარეობით, ის რომ ნაკლებად არის შესწავლილი ტერორიზმის და განსაკუთრებით სახელმწიფო ტერორიზმის საკითხები. აღნიშნული მოითხოვს მეცნიერულ მიდგომას და შექმნილი მდგომარეობის ისტორიული ანალიზს. კვლევა მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ქვეყნის აკადემიური წარმომდგენლებისთვის და სახელმწიფო მოღვაწეებისთვის, აღნიშნულით უფრო ადვილი იქნება ჩაწვდენ რუსეთ საქართველოს დაპირისპირების აზრს და ფორმებს. საქართველოს შემდგომ რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის პოლიტიკის გატარების განმარტება იძლევა საშუალებას ამ ორი ქვეყნის წინააღმდეგ წარმოებული რუსული ჰიბრიდული ომის მეთოდოლოგიის ახსნისა და სააშკარაოზე გამოტანისა. მართალია რუსეთი არ იყენებს ტერმინს ჰიბრიდული ომი მაგრამ, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენშტაბის ხელმძღვანელი ვ.გერასიმოვი არის „ახალი თაობის ომის“ წარმოების დოქტრინის შემქმნელი, რაც ანალოგია „ჰიბრიდული ომისა.“ ასეთი დოქტრინის შემუშავება მიზეზი იყო საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომ რუსეთის დასუსტება. გერასიმოვის დოქტრინა აღიარებს, რუსეთის ტექნოლოგიურ სისუსტეს დასავლეთის და სავარაუდო მოწინააღმდეგეთა მიმართ და მათ წინააღმდეგ შეიმუშავეს ახალი თაობის ომი, რაშიც მნიშვნელოვნად გამოიყენება სახელმწიფოს მიერ წარმოებული ტერორისტული პოლიტიკა. ასეთი დაპირისპირებისას მიზნის მიღწევა მცირე მასშტაბის საბრძოლო მოქმედებებით ან საერთოდ მის გარეშე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და ყურადღება გამახვილებულია დაპირისპირების შერეულ მეთოდებზე. რუსეთი საკუთარი ინტერესების გატარების მიზნით, სახვა ქვეყნების მიმართ ეწევა სახელმწიფო ტეორის პოლიტიკას, იყენებს რა ყველა იმ საშუალებას რაც მას გააჩნია მოწინააღმდეგე სახელმწიფოზე ზეწოლის მიზნით.

ჰიბრიდული ომი, როგორც კონფლიქტის ახალი ფორმა და მისი ამოცანები ძირეულად ცვლის უსაფრთხოების ფორმებს და აჩნეს უამრავ კითხვას არამარტო საფრთხეების შესახებ არამედ, უსაფრთხოების უკვე არსებული ინსტიტუტების შესაძლებლობების შესახებ, წინ აღუდგეს ახალი ფორმის

გამოწვევებს. შექმნილი მდგომარეობა გავლენას ახდენს მსოფლიოში არსებული ძალებზე, ბალანსთა გადანაწილებაზე როგორიცაა ნატოს გაფართოების საკითხი. ჰიბრიდული ომის ანუ რუსული სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად დაიწყო დამკვიდრებული საზღვრების გადახედვა. ნატოს ალიანის ჯერ არ არის მზად ეფექტურად წინ აღუდგეს ახალ გამოწვევებს. არაეფექტურია ნატოს შეკავების უნარი და სისუსტემდე ფრთხილია გაფართოების სურვილი, რათა წინ აღუდგეს რუსული სახელმწიფო ტერორის ანუ ახალი თაობის ომის დოქტრინას. სახელმწიფო ტერორის ანუ რუსული ახალი თაობის ომის ანალიზი უზრუნველყოფს უსაფრთხოების საკითხების ახლებურად შეფასებას, სუსტი და ძლიერი მხარეების ანალიზს. ევროპა თავის მხრივ დგას ჰიბრიდული ომის საფრთხის წინაშე მისი არასწორი და გაუაზრებელი პოლიტიკის გამო, რითაც უზრუნველყო მე-5-ე კოლონის არსებობა და მილიონობით აზიელი ლტოლვილი, რომელთაც ისტორიის მანძილზე არასდროს არ ქონდათ ევროპაში ინტეგრაციის სურვილი. აშკარაა, რომ მუსულმანური ტერორიზმის აგრესიულ ფრთას წარმოადგენენ ევროპაში დაბადებული აზიური წარმოშობის ტერორისტები. თვით „ისლამური სახელმწიფოს“ ყველაზე აგრესიული დანაყოფების წევრები იყვნენ ევროპიდან ზაიაში წასული ევროპის მოქალაქეები. აზიელ ლტოლვილთა მიზანიმართული ნაკადი ევროპაში არის ჰიბრიდული ომის ნაწილი, რომელსაც ევროპის წინააღმდეგ მიმართავს რამოდენიმე სახელმწიფოს ინტერესი მათ შორის ყველაზე ძლიერია რუსული ინტერესი ქონდეს განუსაზღვრელი გავლენა ევროპაზე. რუსეთი აღარ კმაყოფილედება მსოფლიოს ქვეყნებზე ენერგეტიკული გავლენით. გავაანალიზეთ ის რაც სახელმწიფო ტერორიზმს გამოარჩვს, ეს არის ჰიბრიდული ომის ელემენტების სრულად გამოყენება და ისეთი მოქმედებები, როგორიცაა ეკონომიკური, სოციალური, ენერგო უსაფრთხოების, მასმედიის, ინფორმაციის, კულტურის, რელიგიის, კიბერ ტერორიზმის, პარტიზანული, კონვენციური, საბოტაჟური, დივერსიული-ტერორისტული, ასიმეტრიული და ა.შ იდეოლოგიური დაპირისპირებათა ერთობლიობა რაც გან-საკუთრებულად ართულებს მასთან ბრძოლას.

2008 წლის რუსეთ საქართველოს ომის მიმდინარეობისას ჩვენ ვნახეთ „ჰიბრიდული ომის“ კლასიკური მაგალითი, რა დროსაც რუსული სამხედრო

დანაყოფების შემოჭრამდე და მის მერე აქტიურად მოქმედებდენ რუსული სპეცდანაყოფები, ხოლო პოლიტიკოსები ეწეოდნენ იდეოლოგიურ დივერსიას საქართველოს წინააღმდეგ საერთაშორისო არენაზე. აღნიშნულ დაპირისპირებისას ჩართულნი იყვნენ ინტერენტ ტროლები, მიმდინარეობდა იდეოლოგიური დამუშავება დეზინფორმაციის გავრცელებით. მოხდა კიბერ თავდასხმა საქართველოს სახელმწიფო უწყებებზე. ყოველივე ეს ერთობლივად მუშაობდა საქართველოს წინააღმდეგ, რის შემდგომ რუსული სამხედრო დანაყოფების მიერ განხორციელდა საქართველოს ტერიტორიების ანექსია. დასავლეთი ამ მოვლენების შეფასებისას, რუსეთს განიხილავდა, როგორც მშვიდობის მყოფელს და რუსეთის მოქმედება შეფასდა, როგორც ძალის გადამეტება სამშვიდობო მისიის შესრულების დროს.

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება სახელმწიფო ტერორის წარმოების პრობლემებს და სახელმწიფოს მიერ წარმოებული ტერორისგან თავის დაცვის შესაძლებლობის განხილვას.

თემის აქტუალობას ასევე განსაზღვრავს მსოფლიოში არსებული რეალობა, რა დროსაც რელიგიური ტერორიზმი რჩება მთავარ საფრთხედ საერთაშორისო თანამეგობრობისთვის. თავი იჩინა ტერორისტული აქტივობების ახალმა ფორმებმა, ხოლო დღემდგე არსებული დაიხვეწა და შეიძინა უფრო თავზარდამცემი სახე და ფორა.

თანამედროვე მუსულმანურმა რელიგიურმა ტერორიზმმა „წარმატებით აითვისა კაცობრიობის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით მიღებული პროდუქტები, რამაც ტერორისტული ორგანიზაციების გავლენა და მოქმედების არეალი მნიშვნელოვნად გააფართოვა და ევროპას შეუქმნა განსაკუთრებული საფრთხის შემცველი მდგომარეობა. რელიგიური ტერორის განხორციელების სახეცვლილებამ და შესრულების არსებულმა სიახლემ, მსოფლიოში კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხი და აიძულა ზოგიერთი ევროპული ქვეყანა გარკვეული მიმართულებებით შეექმნა სასაზღვრო კონტროლი.

**2. კვლევის მიზანი და ამოცანები** ჰიბრიდული ომი სმოფლიოსთვის უკრანის მოვლენების შემდგომ განსაკუთრებით აქტუალური გახდა, მაგრამ

საქართველო რუსეთის სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ სახლემწიფო ტერორს და ჰიბრიდული ომის წინაარმდეგ სრულ დაპირისპირებას დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან იწყებს და განსაკუთრებით მძაფრდება 1992 -1993-2008 წლებში წარმოებული საბრძოლო მოქმედბების დროს. რუსეთი პერმანენტულად ამძაფრებს საქართველოს წინააღმდეგ წარომებულ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ტერორს და გადადის სამხედრო დაპირისპირების ღია ფორმებში.

კველივს ამოცანა და მიზანია არამარტო ჰიბრიდული ომის კონცეფციის შესწავლა არამედ სახელმწიფს დაქვემდებარებული უწყებების მიერ წარმოებული ტერორის ფორმების განხილვა. ანალიზდება სახელმწიფო ტერორის განხორციელების წინა პირობები, ხელშემწყობი ფაქტორები, ბრძოლის მეთოდები რაც განაპირობებს რუსეთის მიერ საქართველოს უკრაინის თუ ევროპის წინააღმდეგ ღია თუ ფარული აგრესიული მოქმედებების წარმატებას, რითაც ირყევა ამ ქვეყნების უსაფრთხოების საკითხები.

აღნიშნული კვლევით მიზნად დავისახეთ გვეჩვენებინა საფრთხის შემცველი საკითხების განხილვა და ჰიბრიდული ომის თუ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ტერორის დაწყების ნიშნები. საფრთხის გაანალიზება გვაძლევს საშუალებას მივიღოთ კონტრ ზომები რათა მოვახდინოთ საფრთხის პრევენცია ან მოვახეროთ და მაქსიმალურად ნაკლებად დაზარალდეს ქვეყნის ინტერესები.

კვლევით უნდა გამოვავლინოთ ტერორიზმთან ბრძოლის სუსტი წერტილები და მოხდეს მისი გამოყენება საჭიროებისამებრ. ასევე უნდა გავითვალისწინოთ ევროპის გამოცდილება რელიგიურ ტერორიზმთან ბრძოლისას, რათა დაიხვეწოს რელიგიურ სეპარატიზმტან ბრძოლის მეთოდები სადაც ასეთის გამოვლინება შსაძლებელია საქართველოში.

**3. ნაშრომის ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა.** სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება სახელმწიფო ტერორის წარმოების პრობლემებს და სახელმწიფოს მიერ წარმოებული ტერორის თავის დაცვის შესაძლებლობის განხილვას. თანამედროვე ტერორიზმმა წარმატებით აითვისა კაცობრიობის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით მიღებული პროდუქტები,

რამაც ტერორისტული ორგანიზაციების გავლენა და მოქმედების არეალი მნიშვნელოვნად გააფართოვა, რისი მაგალითიც არის ევროპაში განხორციელებული ტერაქტები, რომლებიც გამოირჩევინა შესრულების მრავაფეროვნებით, რისი გაქტიურებაც გამოიწვია აზიელი ლტოლვილების უპრეცედენტო ნაკადმა ევროპაში.

ნაშრომის ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ იდეოლოგიური დივერსია-ტერორის წარმოება ხდება სპეცსამსახურების მიერ მათ მიერვე შექმნილი და საფარველ ქვეშ მყოფი ორგანიზაციების მეშვეობით. ასევე ის, რომ რუსეთი იყენებს კიბერშეტევებს საქართველოს სახელმწიფო უწყებებში შესაღწევად ყველა ის მონაცემი, რომელიც მოიძებნება სახელმწიფო უწყებებზე თუ კერძო პირებზე ინტერენეტის თუ სახელმწიფო უწყებების მიერ გამოყენებული ქსელების მეშვეობით არის ხელმისაწვდომი რუსეთის სპეცსამსახურებისთვის და გამოიყენება საქართველოს წინააღმდეგ.

რუსეთის მიერ საქართველოს წინაარმდეგ პერმანენტულად წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებს წინ უსწრებს ჰიბრიდული ომის და სახელმწიფოს მიერ წარმოებული ტერორის ყველა ნიშნები.

შემოღებულია ახალი ტერმინოლოგია, გაცემულია რეკომენდაციების ახელმწიფო უწყებების მოწყობისა და არსებული საფრთხეების მიხედვით, გამოვლენილია უსაფრთხოების სფეროში არსებული სუსტი მხარეები.

**4. კვლევის ძირითადი საკითხები:** ნაშრომში წარმოდგენილი ისტორიული მაგალითებით და მსოფლიოში მიღებული პრაქტიკული გამოცდილებით ვეცდებით დავადგინოთ უსაფრთხოების ძირითადი მახასიათებლები, რაც შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო ტერორი და ჰიბრიდული ომი, როგორც დაპირისპირების ძირითადი ფორმები. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ტერორი მთლიანად შეიცავს ჰიბრიდული ომის ლელემენტებს სადაც ხდება სახელმწიფოს ძალაუფლების ყველა სპექტრის გამოყენება მათ შორის დიპლომატიური, ეკონომიკური, ენერგეტიკული, იდეოლოგიური, ეროვნული, სოციალური, სამხედრო და ა.შ. ეს ის ინსტრუმენტებია, რომლეთა გამოყენება იძლევა მოწინააღმდეგეზე გავლენის შესაძლებლობას, რიგ შემთხვევებში მისი ნაწილობრივი ან სრული ანექსიას.

ვცდილობთ გავაანალიზოთ სახელმწიფო ტერორის სტრატეგიული და ტაქტიკური შესაძლებლობები, მიმართლულებები, ქცევის ხასიათიდან გამომდინარე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ტერორის ან ჰიბრიდული ომის წარმოების ნიშნები თავიდანვე შსამჩნევია, რადგან მისი წარმოება მოწინააღმდეგეს უფრო მეტ ზარალს აყენებს ვიდრე უაეცარი თვდასხმა. სახელმწიფო ტერორის წარმოებისას საბრძოლო მოქმედებამდე საქმე შეიძლება არც მივიდეს ან განხორციელდეს პერმანენტული საბრძოლო მოქმედებები.

კვლევით ჩაანს, რომ სახელმწიფო ტერორი და ჰიბრიდული ომის წარმოება ხდება ერთიდაიგივე ელემენტების გამოყენებით და აღნიშნული დასახელებები აქტიურად შეიცავს ერთიდაიგივე ქმედებებს წარმოებულს სახელმწიფოს მიერ. აღსანიშნავია, რომ რუსეთი არ ხმარობს სიტყვებს ჰიბრიდული ომი და ის გამოიყენებს „ახალი თაობის ომს." ახალი თაობის ომის დოქტრინის შემქმნელად რუსეთში განიხილება გენშტაბის უფროსი ვალერი გერასიმოვი. კვლევიდან ჩანს, რომ სახელმწიფო ტერორიზმი, ჰიბრიდული ომი, ახალი თაობის ომი ეს მხოლდო სხვადასხვა დასახელებებია, ხოლო დაპირისპირების მეთოდები აღნიშნული ქმედებებისას ერთიდაიგივეა. შესაძლოა შემდგომში კიდევ გამოჩნდეს ახალი დასახელებები მაგრამ მოქმედების და დაპირისპირების ფორმები ასევე მეთოდები რჩება იგივე.

აღსანიშნავია ერთი თავისებურება, რომ ყველა ცდილობს არ გამოიყენოს „სახელმწიფო ტერორი," როგორც შეფასების ფორმა რადგან სიტყვა ტერორი მისი ყველა გამოვლინებით, საერთაშორისო კანონმდებლობით დასჯადია და არ აქვს გამართლების ფორმა, ამიტომ თავიდანვე წამგებიან დადანაშაულებრივ პოზიციაში ჩაყენებას ყველა სახელმწიფო ერიდება.

კვლევით ჩანს რომ რუსეთი საქართველოს და უკრაინის წინააღმდეგ ეწევა სახელმწიფო ტერორიზმს და ანუ ჰიბრიდულ ომს ჩვენ ვეძებთ შესაძლებლობებს მათ შორის ისტორიული წარსულის გამოყენებით თუ როგორ უნდა დავუპირისპირდეთ რუსულ საფრთხეს. ნაშრომში განხილულია ყველა ის ფორმა რაც გამოიყენება სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოსთან ბრძოლისას და მოყვანილია ამის კონკრეტული ისტორიული მაგალითები ასევე მოყვანილია ბრძოლის და დაპირისპირების მეთოდები რათა მინიმუმამდე ან სულაც განეიტრალდეს ასეთი დაპირისპირებისას გამომდინარე საფრთხეები.

გამოყენებულია აკადემიურ წრეებში სახელმწიფო საფრთხეებთან არსებული მოსაზრებები. ვცდილობთ გავაანალიზოთ რუსეთის აგერსიული ბუნება და მისგან ისტორიულად გამომდინარე იმპერილაისტური პოლიტიკის საფრთხეები. ასევე მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და მასში ჩართული სახელმწიფოების დაინტერესების ფორმები, მათ მიერ გამოყენებული საფრთხის შემცველი თუ უსაფრთხოების მისაღწევად გადადგმული ნაბიჯები.

**5.კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები:**

1.სადისერტაციო ნაშრომის გეგმით გათვალისწინებული საკითხების კვლევა განხორციელდა სამეცნიერო ანალიზის საფუძველზე. მეცნიერული კვლევის დროს გამოყენებული იქნა უცხოელი და ადგილობრივი ავტორთა ნაშრომები.

2.ისტორიული გამოცდილება სახელმწიფო ტერორიზმთან ბრძოლის და ჰიბრიდული დაპირისპირებისას.

3.სისტემურად მოხდა ტერორიზმის შეფასება მისი ფორმების მიხედვით, როგორიცაა „საერთაშორისო ტერორიზმი“ და „შიდა სახელმწიფოებრივი ტერორიზმი.“

4.გაკეთდა შედარებითი ანალიზი მიზეზებისა, სახელმწიფო ტერორსა და რელიგიური მიზნით განხორციელებულ ტერორს შორის.

5.ვიხელმძღვანელე პოლიტიკურ მეცნიერებაში ფართოდ დამკვიდრებული მეთოდებით, როგორიცაა: დოკუმენტების შესწავლა, შედარებითი მეთოდი, დაკვირვება, გამომწვევი მიზეზის გამოვლენა.

6.შესრულებული ნაშრომის კომპლექსურად განხილვისას და ჩამოთვლილ პრობლემათა ანალიზისას, გამოყენებული იქნა კვლევის მიზეზობრივი შედეგობრივი და სისტემური ანალიზის მეთოდები. ნაშრომში გამოყენებული მასალა ეყრდნობა საქართველოს შ.ს.ს და დაზვერვის სამსახურის, ნატოს საინფორმაციო ბაზებს, ასევე უცხოელ - პოლიტიკოსთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა რეკომენდაციებს, ლიტერატურას. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, მათ ანალიზს და შეფასებას.

**6. ნაშრომის მეცნიერული სიახლე:** მეცნიერული მიდგომის კვლევისა და გაანაზლიზების შედეგად ვფიქრობთ, რომ რუსეთი სახელმწიფო ტეორიზმს აქტიურად იყენებს, როგორც ჰიბრიდული ომის ნაწილს და საფრთხეს უქმნის

მისთვის არასასურველ სახელმწიფო მოწყობებს და იდეოლოგიებს. რუსეთის დიპლომატიური წრეებისათვის და მასში შემავალი სპეცსამსახურებისთვის სახელმწიფო ტერორი გამოიყენება, როგორც სახელმწიფო ზეწოლის ინსტრუმენტი გეოსტრატეგიული მიზნების მისაღწევად და ინტერესების გასატარებლად.

1. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურის ბრუნვაში, შემოგაქვს უცხოელი ავტორების შრომები და მოსაზრებები, რომლებიც შესწავლილია კრიტიკული ანალიზის საფუძველზე და გვაქვს მცდელობა დავამკვიდროთ ახალი ტერმინი „სახელმწიფო ტერორიზმი" როგორც ჰიბრიდული ომის ნაწილი.

2. სამეცნიერო ბრუნვაში შემოგვაქვს ახალი ტერმინი „დიდი გადასახლება" რაც გულისხმობს ახლოაღმოსავლეთში ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოსთან" დაკავშირებული მოვლენების შედეგად ლტოლვილთა უპრეცედენტო ნაკადს, ევროპის ქვეყნებისკენ მიგრაციის პროცესს.

3. შესაწავლილი და გაანალიზებულია ამჟამად მსოფლიოში უსაფრთხოების წინაარმდეგ მიმართული გამოვლინებები და ევროპასა და საქართველოს გეოპოლიტიკური თავისებურებების გათვალისწინებით გვაქვს მცდელობა მოსალოდნელი საფრთხეების განსასაზღვრისა და წარმოდგენილია ჩვენეული ხედვა ამ საფრთხეებისა და არსებობის შესახებ.

4. წყაროების ანალიზის საფუძველზე წარმოვადგინეთ ე/წ „ისლამური სახელომწიფოს" მხარეს მებრძოლი საქართველოს მოქალაქეების შესახებ ინფორმაცია. განვხაზღვრეთ მათი მოქმედების მასტიმულირებერი კომპონენტები და ამ მონაწილეობის აღსაკვეთად გასატარებელი ღონისძიებები.

5. ნაშრომში დეტალურად შევისწავლეთ და განვიხილეთ ანტი ტერორისტულ ოპერაციებში საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობის დადებითი და უარყოფითი მხარეები. დავადგინეთ სახელმწიფო ტერორის წინააღმდეგ ჩატარებული ანტი ტერორისტული მოქმედებების დადებითი მხარეები. ვფიქრობთ დაინერგოს ახალი ტერმინი „ჰიბრიდული ჯარები."

6. შესაწავლილი და განხილული გვაქვს საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გასახურდიას წინააღმდეგ განხორციელებული სახედრო გადატრიალება (პუტჩი) რის შედეგად გამოიკვეთა სახელმწიფო ტერორიზმის რამდენიმე ფორმა:

იდეოლოგიური ტერორი, საბოტაჟი, დივერსია, პოლიტიკური მკვლელობა და სხ. სწორედ მსგავს ქმედებებს ვუწოდებთ „სახელმწიფო ტერორიზმს."

7. შევისწავლეთ და გავაანალიზის საფუძველზე განვიხილეთ სახელმწიფოს შიდა ტერორიზმი, როგორც სახელმწიფოს მართვის ერთ-ერთი მთავარი ფორმა.

8. შევისწავლეთ და გავაანალიზეთ კავკასიის რეგიონში ტერორისტული ორგანიზაციებისათვის შესაძლო ხელსაყრელი გარემო, განვსაზღვრეთ მათი შესაძლო ინტერესები და მოსალოდნელი საფრთხეები.

9. დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე ვასკვნით, რომ საერთაშორისო უსაფრთხოების კუთხით საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე შეუძლია მეტად მნიშვნელოვანი როლი შესარულოს. განვსაზღვრეთ ამ როლისა და ადგილი, მოქმედების სფერო.

ხაზგასმით ავღნიშნავთ, რომ მსგავსი თემით ქართულ ენაზე სამწუხაროდ ძალიან მწირია ინფორმაცია, ამიტომ ჩვენი მუშაობის პროცესში ძირითადად ვიყენებდით უცხოურ ლიტერეატურას, აქედან გამომდინარე, დისერტაცია მნიშვნელოვანი შენაძენია საერთაშორისო უსაფრთხოების კუთხით დაინტერესებული მკვლევარებისთვის.

**დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა:** წარმოდგენილი ნაშრომი სრულიად აკმაყოფილებს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქციის მოთხოვნებს.

ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 171 გვერდს, შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, ძირითადი ტექსტისა და დასკვნისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

## ლიტერატურის მიმოხილვა

***ბრუს ჯენტელსონი:*** **„ამერიკის საგარეო პოლიტიკა“** (თბილისი, 2015 წელი.) აღნიშნული წიგნი საინტერესოა პროფესორ-მასწავლებლებისთვის, როგორც ამერიკის საგარეო კურსის მაჩვენებელი, საგარეო პოლიტიკა განიხილება, როგორც ქვეყნის კურსის და პოლიტიკის მაჩვენებელი ფაქტორი-რითაც განისაზღვრება აშშ-ს ეროვნული ინტერესები, საგარეო პოლიტიკა, როგორც საკვანძო საკითხების განმსაზღვრელი. აშშ პოლიტიკური კურსის გავლენა მისი ინსტიტუტების განვითარებაზე და ფუნქციონირებაზე.

აღნიშნული განხილული წიგნის პირველი ნაწილი ეძღვნება თეორიას და ისტორიას, რომელშიც განხილულია საგარეო პოლიტიკის სტრატეგია და საშინაო პოლიტიკის კონტექსტი და მასში შედის ინტერესთა ჯგუფები, საზოგადოების და მედიის აზრი. ამავე თავშია განხილული ლიტერატურა, სადაც საუბარია ამერიკის საგარეო პოლიტიკის შესახებ, მის საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკური კურსის ვექტორებზე.

ავტორი ნაშრომში დაწვრილებით აღწერს იმ პრობლემებს, რომლებსაც ერთმანეთთან ისტორიული წარსული აკავშირებთ. მასში განხილულია ცივი ომის დასაწყისი და მისი ეტაპები, მიღებული გაკვეთილები და დატოვებული მემკვიდრეობა.

წიგნში ადგილი ეთმობა რონალდ რეიგანის პოლიტიურ მოღვაწეობას, ადამიანის, რომელმაც დასაბამი დაუდო „ბოროტების იმპერიის“ კრახს. განხილულია მიხეილ გორბაჩოვი, საბჭოთა კავშირის უკანასკნელი ლიდერი, მისი პოლიტიკური როლი საბჭოთა კავშირის დანგრევაში. მიზეზები რაც დამატებით ბიძგის როლს ასრულებდა საბჭოთა იმპერიის ნგრევაში, ასეთ მნიშვნელოვან მიზეზად მოყვანილია საბჭოთა კავშირის შეჭრა და გაჭინაურებული ომი ავღანეთში.

საბჭოთა კავშირის ნგრევას ხელი შეუწყო მასში შემავალი დაპყრობილი ქვეყნების თავისუფლებისკენ სწრაფვამ. განხილულია რუსული იმპერიალისტური აზროვნება, როდესაც მ. გორბაჩოვს ბრალს სდებენ, თუნდაც პოლონეთის ან ჩეხოსლოვაკიის თუ სხვა ქვეყნების დათმობაში, სადაც ხალხმა მოიპოვა თავისი ბედის განკარგვის უფლება. საბჭოთა იმპერიის დანგრევას ხელი შეუწყო ხალხის

ისტორიულმა მახსოვრობამ, მათმა სწრაფვამ დაეღწიათ თავი იმპერიის მარწუხებისგან.

აღნიშნული წიგნის მეორე თავში განხილულია სტრატეგია და ის ძირითადი საკითხები, რომლის წინაშეც დგას აშშ. განხილულია ცივი ომის შემდგომი პოლიტიკური საკითხები, მოცემულია საგარეო პოლიტიკის ანალიზი. განხილულია სტრატეგია ახალი ეპოქისთვის ძალა და მშვიდობა, კეთილდღეობა და მისი პრინციპები, პერსპექტივები. ასევე განხილულია საგარეო პოლიტიკის ამოცანები ცივი ომის შემდგომ, რადგან დაიშალა სამხედრო ბლოკები და ხდება ძალთა გადანაწილება. მასში ასევე განხილულია აზიის სტატეგია, მისი წინ წამოწევა მსოფლიო პოლიტიკაში და იმ პრობლემური ნიშის შევსება, რასაც იკავებდა საბჭოთა კავშირი და რის დაკავებასაც ეხლა ცდილობს რუსეთი თავისი აგრესიული პოლიტიკით.

განხილულია ტერორიზმის წარმომშობი პრობლემები და სახელმწიფოთა ინტერესების კვეთა, რამაც ხელი შეუწყო აზიური ტერორიზმის გავრცელება მსოფლიოში მისი გამოწვევები.

წიგნში გადმოცემულია აშშ-ს ისტორიული პერსპექტივები, გამოყენების თეორია და პრაქტიკა, მითითებულია პირველწყაროები. მრავლად არის საერთაშორისო სამართლის საკითხები, რომლის გათვალისწინება პოლიტიკაში მნიშვნელოვანი შედეგის მომცემია.

წიგნში აღწერილია „საბჭოთა ქცევის მიზეზები“ რაც დღევანდელი რუსული პოლიტიკის გაგრძელებაა. ასევე განხილულია ველა პოლიტიკური კრიზისი, რომელსაც გავლენა ქონდა ან ამჟამად აქვს მსოფლიო პოლიტიკაზე. მასში ასევე განხილულია რუსეთ-საქართველოს ომი და და მისი შედეგები.

აღნიშნული წიგნი შეიძლება მივიჩნიოთ პოლიტიკოსის სახელმძღვანელოთ. წიგნში გაანალიზებულია სახელმწიფო პოლიტიკის წარმოების მეთოდები და სახელმწიფოთაშორისო არსებული საკანონმდებლო ბაზები. დღეს არსებული მსოფლიო პოლიტიკური კრიზისების ასახვა წიგნს ანიჭებს აქტუალობას სახელმწიფო პოლიტიკური წრეებისათვის.

***კაიუს ბეკკერის*** წიგნში **„გერმანელი საზღვაო დივერსანტები“** (მოსკოვი 1958 წელი) აღწერილია გერმანელი საზღვაო დივერსანტების საბრძოლო მოქმედებები მეორე მსოფლიო ომში.

ავტორი საკმაოდ ფართოდ აღწერს ძირითად დივერსიულ-საიერიშო საშუალებებს, რითაც მოქმედებდნენ წყალქვეშა დივერასნტები. წიგნი განკუთვნილია ფართო საზოგადოებისთვის და განსაკუთრებულად სამხედრო საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობისთვის. წიგნი დაიწერა 1956 წელს ქ. ჰანოვერში დასავლელი მწერლის კაიუს ბეკკერის მიერ, გერმანლი წყალქვეშა დივერსანტების შენაერთის „მცირე ბრძოლების დანაყოფის“ მეთაურის ადმირალ ჰელმუტ ჰეიეს შემდგომში ბუნდესტაგის დეპუტატის დახმარებით.

წიგნში ხატოვნად, ციტირებულია და აღწერილია ისტორიული ფაქტები, განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანი საბრძოლო მოქმედებები. ბრძოლა მოკავშირეების ფლოტის წინაარმდეგ სენასთან და პა დე კალეს ყურეში.

წარმოდგენილ ნაშრომში ავტორის მიერ აღწერილია სტრატეგიული მნიშვნელობის ხიდების აფეთქება მდინარე ორნზე და ნაიმეგენთან, ასევე ანტვერპენის შლუზის დანგრევა, განხორციელებულ დივერსიულ ტერორისტულ ქმედებებს ქონდა სტარტეგიული მნიშვნელობა გერმანული არმიისთვის და ის აფერხებდა მოკავშირეების აშშ-ს და ინგლისის არმიების წინსვლას.

წიგნში კარგად ჩანს, რომ მცირერიცხოვანმა დანაყოფებმა შეძლეს ის რასაც ხშირ შემთხვავაში ვერ ახერხებდა მთელი დივიზია ანუ რამდენიმე ათასი კაცი ბრძილის ველზე, საზღვაო ან საჰაერო ფლოტი. დანაყოფის მიერ წარმოებული ტავდასხმები ხდებოდა მცირე ზოგჯერ რამდენიმე მებრძოლის მიერ და მიიღწეოდა ის შედეგი, რასაც ვერ აღწევდა მთელი გერმანული საზღვაო ფლოტი, სადაც ირიცხებოდა რამდენიმიე ასი ათასი კაცი.

წიგნში ფაქტებად არის გამდოცემული და ხშირად დაწვრილებით აღწერილი ესა თუ ის ტავდასხმა მოწინააღმდეგეზე განხორციელებული საზღვაო დივერასანტების მიერ, არწერილია ის მცირე ბრძოლის საბრძოლი საშუალებები რიტაც ხდებოდა მოწინააღმდეგის პორტში შეჭრა ან გაშლილ ზღვაში აბსოლუტური უპირატესობის მქონე მოწინააღმდეგეზე თავდასმა და მათი განადგურება მცირედი დანაკარგის ფონზე.

აღწერილია გერმანელი მეთაურების პროფესიონალიზმი და ჯარისკაცური თვდადება. გერმანელებს არ ჰქონდათ არავითარი გამოცდილება ახალი საბრძოლო საშუალებების გამოყენების და ტაქტიკის შესახებ. მათთვის ცნობილი იყო, რომ მსგავს საშუალებებს იტალიელები იყენებდნენ მოწინაარმდეგის

წინააღმდეგ და მიაღწიეს ფენომენალურ შედეგებს და მათ წინააღმდეგ ინგლისელებმა გამოიყენეს მსგავსი საიერიშო დივერსიული საშუალებები რამაც გერმანიას დროებით დააკარგვინა მისი სიამაყე სახაზო გემი „ტირპიცი“ და სხვა დამხმარე საშუალებები. გერმანელების ამოცანა იყო: 1. დაემუშავებინათ და შეექმნათ სპეციალური წყალქვეშა ნავები, გაეწვრთნათ ეკიპაჟი. წიგნში აღწერილია დასახულ ამოცანათა სიძნელეები და მიღებული გადაწყვეტილების მეთოდები და საშუალებები. 2. საბრძოლო მომზადება მოიერიშე დანაყოფების, რათა უზრუნველყონ მცირე საშუალებების საიერიშო დივერსიული თავდასხმები მოწინააღმდეგეზე რადიო ლოკაციურ საშუალებებზე, სანაპირო დაცვის არტილერიის და სხვა ობიექტებზე, მოწინააღმდეგის წყალქვეშა თუ წყალზედა საბრძოლო საშუალებებზე, მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებზე.

წიგნში მოყვანილი ფაქტები აბსოლუტურად შეესაბამება სინამდვილეს და არ არის გადაჭარბებული მიკერძოება. ისტორიული ფაქტები აღწერილია სიზუსტით. სხვადსახვა დივერსიებთან ერთად გერმანელმა საზრვაო დივერსანტებმა ნორმანდიაში მიმდინარე ოპერაციების დროს გაანადგურეს ორი ინგლისური საესკადრო ნაღმოსანი, ათი ტრანსპორტი ააფეთქეს ხიდები, გაანადგურეს მოწინაარმდეგის ბაზები და მცურავი სარემონტო საშუალებები, ლა მანშის ყურის ფსკერზე გაჭიმულ ნავთობმომარაგების მილში უშვებდენ ისეთ ქიმიურ დანამატს რასაც მწყობრიდან გამოყავდა ძრავები და უკარგავდა ბენზინს საჭირო თვისებებს. ეს არასრული ჩამონათვალია მიღებული შედეგებისა.

წიგნი ნამდვილად იმსახურებს იყოს სახელმძღვანელო საზღვაო ფლოტის ოფიცრებისთვის, რათა მოწინაარმდეგემ ვერ განახორციელოს საქართველოს პორტებში და ზღვისპირა რეგიონებში დივერსიულ-ტერორისტული საქმიანობა.

წიგნში აღწერილი მოვლენები დღესაც არ კარგავს აქტუალობას, რადგან რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ახორციელებს ზუსტად ისეთ ქმედებებს, რომელიც აწერილია წიგნში და ფაქტიურად გამოიყენება ისეთივე ხასიათის დივერსიულ ტეორისტული საშუალებები, რისი მეშვეობითაც რუსმა წყალქვეშა დივერასნეტბა განახორციელეს არაერთი დივერსიულ ტერორისტული თვდასხმა საქართველოს პორტებში.

***ვ. ბრუ* „წყალქვეშა დივერსანტები“** (პარიზი 1955 წელი).

ავტორი არის სამხედრო პუბლიცისტი და საინჟინრო ჯარების ბელგიელი იოფიცერი ის აღწერს მცირე წყალქვეშა ნავების და დივერსანტ ტერორისტების მოქმედებას მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე და პორტებში. წყალქვეშა დივერსანტები იყენებდენ სპეციალურ საშუალებას დივერსიულ ტეორისტული აქტების ჩასატარებლად გამოიყენებოდა მცირე ზომის წყალქვეშა ნავები, ადამიანის მიერ მართული ტორპედოები, სპეციალურად გაწვრთნილი მებრძოლი მოცურავეები.

წყალქვეშა დივერასნეტების ძირითად ამოცანას შეადგენდა ფარული შეღწევა მოწინააღმდეგის ბაზებში, რათა ჩაეძირათ იქ მყოფი გემები. წიგნში აღწერილია მებრძოლი მყვინთავების საქმიანობა, რაც საჭირბოროტოა დღეს საქართველოსთვის.

მებრძოლი მყვინთავების საქმიანობა ასევე შეადგენდა მოწინააღმდეგის დაზვერვა, ხელოვნური წინაარმდეგობის გაუვნებელყოფა. ისტორიულად ცნობილია, რომ იტალიელები იყვნენ პირველნი ვინც გამოიყენეს მსგავსი საბრძოლო საშაულებები მოწინააღმდეგის მიმართ.

იტალიის მებრძოლი დივერსანტების მიერ მიღწეული გამარჯვებები აჭარბებდა მთლიანად იტალიის ფლოტირ მიერ მიღწეულ შედეგებს. მათ მიერ ჩაძირული იქნა ორი ინგლისური სახაზო გემი, თუ გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა და დღეს რუსეთის ფლოტს დღმდე არ ჰყავს სახაზო გემი გასაგები გახდება იტალიელი დივერსანტების წარმატებია მნიშვნელობა. ერთი კრეისერი, ერთი საესკადრო ნაღმოსანი, ოთხი ტანკერი, 23 სატრანსპორტო გემი. იტალიელთა ამ წარმატებებმა აიძულა საფრანგეთი მიელო კონტრ ზომები, ასევე მიებაძა მოწინააღმდეგისთვის.

ინგლისელებმა მიღებული გამოცდილება გაუზიარეს ამერიკელებს და მათ შექმნეს მცირე ზომის საბრძოლო საშუალებები მსგავსად იტალიელებისა თუმცა ამერიკის და ინგლისის შესაძლებლობებმა შედეგი გამოიღო და მცირე ზომის საბრძოლო სშუალებების მრავალეფროვნება შეიქმნა. მცირე ზომის საბრძოლო საშუალებები, ასევე შექმნეს იაპონელებმა, თუმცა მათ უფრო თვითმკვლელ კამიკაძეებზე ქონდათ აგადატნილი ყურადღება რაც ევროპელი მებრძოლებისთვის მიუღებელი იყო და ამიტომ მათ ჰყავდათ ბრძოლაში გამოწვრთნილი მებრძოლები, რომელთაც არაერთი საბრძოლიო დავალება ქონდათ შესრულებული. წიგნში

ხაზგასმულია მებრძოლის მიერ მიღებული პრაქტიკის მნიშვნელობა, მისი გამოცდილება უპირატესობას აძლევს მას ბრძოლის ველზე. წიგნში აღწერილი მოვლენები დამყარებულია მასში მონაწილე მებრძოლების მონაყოლზე. აღწერს სრულ სურატს საბრძოლო მოქმედებებისა და მცირე ბრძოლის საშუალებას, მის შესაძლებლობებს გაცილებით ძლიერი მოწინააღმდეგიმ მიმართ ბრძოლის წარმოებისას წიგნში ასევე არჭერილია ბრძოლის მეთოდები, თუ როგორ უნდა დაუპირისპირდეს სპეციალურად გაწვრთნილი ძალები რეგულარულ სამხედრო დანაყოფებს და მათი ეფექტიანი გამოყენების შემთხვევაში რამდენად დამაზიანებელია ის მოწინააღმდეგის მიმართ.

ასევე განხილულია ის მორალური ზარალი, რასაც ძლიერი სახელმწიფო იღებს მასზე სუსტი სახელმწიფოს მიერ წარმოებული წარმატებული საბრძოლო მოქმედებებისას. ასევე ჩანს, რომ მცირე ბრძოლის საშუალებებს შეუძლიათ მიაყენონ ისეთი დანაკარგი, რასაც ხშირად მოწინააღმდეგეს ვერ აყენებს რეგულარული მრავალრიცხოვანი საჯარისო შენაერთები და ასეთი დივერსიული აქტები, ფაქტიურად, ტერორში ამყოფებს მოწინააღმდეგეს და ის იძულებულია დახარჯოს უდიდესი ძალისხმევა და გაანაწილოს მისი რესურსი, რათა დაიცვას თავი მოუხელთებელი სწრაფად მომქმედი და ინოვაციებით აღჭურვილი მოწინააღმდეგის წინააღმდეგ.

წიგნი „წყალქვეშა დივერსანტები“ არის საინფორმაციო საშუალება, ის განკუთვნილია ფართო მასებისთვის და განსაკუთრებით საქართველოს საზღვაო ფლოტის თუ არმიის ოფიცრებისთვის.

წიგნში აღწერილი მოვლენები გვიჩვენებს აუცილებლობას საქართველოშიც შეიქმნას მსგავსი ოპერაციების ძალები, რომლებიც მოახდენს პრევენციას მოწინააღდეგის თავდასხმისა, რადგან ადვილად გამოავლენს დაცვის სუსტ წერტილებს. მოწინააღმდეგის თავდასხმის შემთხვევაში დაიცავს საქართველოს პორტებს და სტრატეგიულ ობიექტებს, ასევე მიაყენებს საპასუხო დარტყმას მოწინააღმდეგეს და დაზვერვით სამუშაოების ჩატარებისას ყოველთვის აღმოაჩენს მოწინააღმდეგის ომისათვის მზადების ნიშნებს.

წიგნი **„აკვარიუმი“** დაწერა დიდ ბრიტანეთში მცხოვრებმა ყოფილმა საბჭოთა სამხედრო დაზვერვის ოფიცერმა ვიქტორ რეზუნმა ფსევდონიმით **ვიქტორ სუვოროვი,** რომელიც საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურისას

მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ოფიცერი და გაიარა სპეცრაზმის სწავლების კურსი, ხოლო რაღაც პერიოდი ეწეოდა სპეცრაზმების შემოწმებას საარმიო დანაყოფებში. წიგნში გადმოცემულია საბჭოთა და ამჟამად რუსეთის სპეციალური დანაყოფების მუშაობის მეთოდოლოგია, ტაქტიკა, ხასიათი, რომელიც დღემდე დიდად არ შეცვლილა, რადგან რუსეთის არმიას ხელმძღვანელობენ საბჭოთა არმიაში გამოზრდილი ოფიცრები და მათი იდეოლოგია დღესაც უცვლელია.

რაც შეეხება სპეცრაზმების მუშაობის მეთოდოლოგიას ის ფაქტიურად არ იცვლება თუ მთლიანად არ უარყვეს ძველი წეს-ჩვეულებები და მიღებული გამოცდილება. ხოლო ასეთის განხორციელება, როგორც წესი აკარგვინებს სპეცრაზმს ეფექტურობას გარკვეული პერიოდით და ითხოვს ახალი გამოცდილების მიღებას, შემდგომ მიღებული მეთოდების დახვეწას რასაც წლები სჭირდება და იწვევს სახელმწიფოს დასუსტებას.

წიგნში აღწერილია ასეთი ძალების მნიშვნელობა ქვეყნისთვის. სპეციალური დანიშნულების ძალები გამოირჩევა ჩვეულებრივი საარმიო დანაყოფებიდან, რისი აღწერა შედარებაც ხდება წიგნში.

ვიქტორ სუვოროვმა მსოფლიოს ფართო მასებს გააგებინა საბჭოთა არმიის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს არსებობის შესახებ რამაც მისი წიგნები ბესტსელერად აქცია. სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდგომ ვ. რეზუნი მსახურობს სატანკო პოლკში და ის იღებს მონაწილეობას ჩეხოსლოვაკიაში მომხდარ მოვლენებში, რაც აღწერილია მის წიგნებში, განმარტებული აქვს საბჭოთა და დღევანდელი რუსეთის იდეოლოგია და სიცრუე, როგორც პოლიტიკური იარაღი და საბჭოთა იდეოლოგიის აუცილებელი ნაწილი.

წიგნში აღწერილია თუ როგორ ხდება სპეცრაზმებისთვის და შემდგომ სადაზვერვო სამმართველოსთვის კადრების შერჩევა. თუ შევადარებთ საქართველოში არსებულ დაწინაურების ტაქტიკას ვნახავთ, რომ დიამეტრულად განსხვავდება და საბჭოთა თუ დღეს რუსულ ჯარში არსებული კადრების შერჩევის და ინიციატივიანი მამაცი ხალხის დაწინაურების პოლიტიკა უკუპროპორციულია საქართველოში არსებულ საკადრო პოლიტიკასთან. ანუ თუ ასეთ ადამიანებს საბჭოთა და დღეს რუსულ არმიაში და სპეცსამსახურებში აწინაურებდნენ, საქართველოში ინიციატივიან და მამაც პატრიოტული გრძნობების ადამიანებს

სამსახურიდან ითხოვენ, რაც უკიდურესად ნეგატიურად აისახება სახელმწიფოზე და არსებული პრობლემებიც ასეთი საკადრო პოლიტიკის შედეგია.

წიგნში არსებული საკადრო შერჩევის ტაქტიკა დღესაც აქტუალური და გამოიყენება ნებისმიერ წარმატებულ სახელმწიფო სტრუქტურებში. საკადრო შერჩევის შემდგომ რეზუნი ხდება მთავარ სადაზვერვო სამმართველოში, ხოლო შემდგომ მთავარი სადაზვერვო სამმართველოს დიპლომატიურ აკადემიაში.

წიგნში აღწერილია საბჭოთა მზვერავ დიპლომატების სწავლების მეთოდები, რომელთა გავლასაც ყველა ვერ ახერხებს და იფილტრება აკადემიის კურსანტთა რიგებიც, რათა თავიდანვე გამოვლინდეს ის ადამიანური სისუსტეები რაც შეიძლება ახასიათებდეთ აკადემიის კურსანტებს.

აკადემიის დამთავრების შემდგომ ვიქტორ სუვოროვი ხვდება საბჭოთა დიპლომატების რიგებში და მსახურობს ქ. ვენაში შმდგომ ჟენევაში. თუმცა საბჭოთა მზვერავი ინტერესებიდან გამომდინარე ხშირად კვეთდა სხვადასხვა სახელმწიფოების საზღვრებს და ეწეოდა სადაზვერვო საქმიანობას. წიგნში აღწერილია საბჭოთა დაზვერვის მუშაობის მეთოდოლოგია და ტაქტიკა. წიგნში ჩანს, რომ ყველა დიპლომატმა არ იცის თუ სინამდვილეში რომელი სპეცსამსახურის წარმომადგენელია. სუვოროვი აღწერს თუ რამდენად მკაცრად უფრთხილდება საბჭოთა დაზვერვა თავის საიდუმლოს. სამხედრო დაზვერვის აბრევიატურის ცოდნა (გ.რ.უ.) მთავარი სადაზვერვო სამმართველო.

სისტემაში არ მყოფ ადამიანს მოახვედრებდა საგამოძიებო სკამზე და მისგან ყველა მეთოდებით შეიტყობდენ თუ ვინ განუმარტა მას აღნიშნული ასოების მნიშვნელობა და ასე გაგრძელდებოდა სანამ არ დაადგენდენ პირველ წყაროს ანუ იმ ადამიანს, ვისაც ანდეს საიდუმლო მან კი ეს საიდუმლო გასცა, ხოლო ასეთი ადამიანების დასჯის მეთოდი მხოლოდ ერთი იყო სიკვდითლით დასჯა.

წიგნში ასევე აღწერილია აგენტურასთან კავშირები გადაბირების მეთოდოლოგია, რაც აქტუალური ჩვენთვის, სუვოროვი აღწერს მის მიერ აგენტურულ ქსელში გადაბირებულ პიროვნებაზე, რომელმაც მას გადასცა საბრძოლო მნიშვნელობის აპარატურა და დოკუმენტაცია, ხოლო ასეთი გადაბირებისას მან შეთავაზა ჟურნალისტური ლეგენდა, რომ მისი მეცნიერული ნაშრომები გამოიცემოდა საბჭოთა კავშირში შეზღუდული ოდენობით არ

გახდებოდა ყველასთვის ხელმისაწვდომი მაგრამ ყოველ ნაშრომში მას გადაუხდიდნენ თანხას.

წიგნში ასევე ვხდებით საბჭოთა დაზვერვის მაღალჩინოსნებს, რომლებიც მსოფლიოასთვის ცნობილნი არიან, როგორც ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციის წევრები. სუვოროვის განმარტებით უფლება დამცველთა დამფინანსებელი და შემქმნელი, როგორც წესი არიან სპეცსამსახურები და მათ მიერ გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ლეგენდები რათა დამალონ სინამდვილე.

წიგნში აღწერილია თუ როგორ უთვალთვალებს საბჭოთ დაზვერვა მოწინააღმდეგეს და ყოველი მისი ქმედება წინასწარ აქვს გათვლილი და გააზრებულია სავარაუდო ქმედებისთვის აუცილებელი კონტრქმედება. განმარტებულია თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ერთი საარმიო კორპუსის გადაადგილებას, თუნდაც სწავლების ჩატარებას და ამას წინ რამხელა სადაზვერვო ანალიტიკური სამუშაო სჭირდება რადგან ასეთი გადაადგილება არ რჩება მოწინააღმდეგის ყურადღების გარეშე.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ საარმიო სწავლებები ყოველ წელს იმართება საქართველოს საზღვრებთან ჩრდილო კავკასიაში და მსგავსი სწავლებისას „კავკასია 2008“ მობილიზებული საარმიო დანაყოფების შედეგად მოხდა 2008 წლის რუსეთ საქართველოს ომი და საქართველოში რუსული არმიის ოპერატიული შემოჭრა.

წიგნი ნადვილად საყურადღებოა საქართველოს არა მარტო სპეცსამსახურების და არმიისთვის, არამედ სახელმწიფო მოღვაწეების და დიპლომატებისთვის, რომლებიც მუშაობენ საქართველოს დიპლომტიურ კორპუსში. მსგავსი მოვლენები დღესაც ხდება და დაუცველად დატოვებული ქართველი დიპლომატები ადვილი გადასაბირებელია რუსეთის თუ სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ.

საინტერესოა წიგნში აღწერილი მოვლენა, როდესაც სუვოროვს მისი ხელმძღვანელობა ესაუბრება საელჩოს დაცულ ტერიტორიაზე არსებულ სპეციალურად განკუთვნილ და დამატებით დაცულ ოთახში და აძლევს დავალებას. თუ ჩვენ შევადარებთ საქართველოს დიპლომატიური კორპუსს მის მუშაობას და საიდუმლოს დაცვის წესს და მეთოდებს, ვნახავთ, რომ ასეთი რამ ფაქტიურად არ ხდება. მაგალითად საქართველოს საელჩოები განთავსებულია

მრავალსართულიანი შენობის ნაქირავებ ოფისებში, მათში არ ხდება სადღეღამისო მორიგეობა, ხოლო ზოგიერთ საელჩოს ოფისს არ აქვს ფარდები. არ ტარდება სხვა მრავალი ღონისძიება, რასაც მოითხოვს უსაფრთხოება ან თუნდაც დიპლომატიური ეტიკეტი და ეს წარმოადგენს ქვეყნის დისკრედიტაციის საგანს, გამომდინარე აქედან, ზოგიერთ ქვეყანაში არსებულ საელჩოში არ ხდება არცერთი დიპლომატიური შეხვედრა სხვა ქვეყნის დიპოლომატებთან, რადგან ისინი უფრთხილდებიან თავიანთ რეპუტაციას და საიდუმლოს.

**წიგნი „სპეცრაზმი“ (მინსკი 2012წ.)** ეკუთვნის ***ვიქტორ სუვოროვს.*** წიგნი გამოცემულია ბრიტანეთში, საფრანგეთში, აშშ-ში, გერმანიაში.

სპეცრაზმში განხილულია სპეციალური ძალების მოქმედების სფერო. გარდა საბრძოლო დანაყოფებისას სპეცრაზმებს ჰყავთ სადაზვერვო აგენტურული ქსელი, რომელიც გამოიყენება დივერსიულ ტერორისტული აქტების მოსამზადებლად ან უკვე განხორციელებული ტერაქტის შემდგომ უკანდახევის უზრუნველსაყოფად.

წიგნში აღწერილია დივერსიულ ტერორისტული დანაყოფის გამოყენების სპეციფიკა. სპეციალური დანიშნულების ძალები გადაისროლება მტრისზურგში, რათა მოწინააღმდეგეს მიაყენონ მაქსიმალური ზარალი, გაანადგურონ განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტები, მოწინააღმდეგის სამხედრო დაჯგუფების ჯგუფები, მწყობრიდან გამოიყვანონ კომუნიკაცია, დეზორგანიზაცია და ტერორი დათესონ მოსახლეობაში, შეაფერხონ ხელისუფლების მუშაობა, მომაზადონ ტყვე სამხედრო მომსახურეთა გაქცევა. მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე მომზადდეს სადაზვერვო ქსელი, რათა ჩატარდეს ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო და მორალური პოტენციის შეფასება.

სპეციალური დაზვერვის ძირითადი დანიშნულებაა: მოიპოვოს სადაზვერვო მონაცემები მნიშვნელოვანი ეკონომიკურ პოლიტიკურ და სამხედრო ობიაქტებზე. მომზადება და ორგანიზება დივერსიულ ტერორისტულ საბოტაჟური ქმედებებისს. მტრული პროპაგანდის წარმოება, სადამსჯელო ოპერაციის წარმოება, აჯანყებების და სეპარატისტულად განწყობილი მოქმედებების ორგანიზება და ა.შ.

სპეციალური დაზვერვის ორგანიზებას ახდენს სამხედრო უწყებები და სპეცსამსახურები. გამოიყენება სპეციალური იარაღი და აღჭურვილობა. სპეცდანიშნულების ძალები ასევე გამოიყენება საოკუპაციო რეჟიმის შესანარჩუნებლად.

წიგნში კარგად არის განმარტებული, რომ სპეცდანისნულების ძალები გამოიყენება მშვიდობიანობის დროსაც ისინი ეწევიან ომის წინა პირობის მომზადებას.

წიგნში მოყვანილი ფაქტები ანალოგია საქართველოში მოქმედი რუსული სპეცრაზმებისა. მასში აღწერილია სპეცრაზმებისთვის უცხო ტერიტორიაზე ბაზების აგენტურის მიერ მომზადების მნიშვნელობა, რაც განსაკუთრებით აქტუალური საქართველოსთვის.

ასეთი ბაზების არსებობა ხელს უწყობს მათ ჩაატარონ დივერსიულ-ტერორისტული აქტები, გამოიყენონ ეს ბაზები შეკრებისათვის, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებების, სურსათის, გატაცებული მძევლის ევაკუაციისთვის, აგენტურული შეხვედრებისთვის, ტურისტული მოგზაურობისთვის რა დროსაც შეისწავლება მომავალში საბრძოლო დავალების ადგილმდებარეობა გადაადგილების საშუალება. ამიტომ სპეცრაზმის აგენტის მთავარი ამოცანაა, მოამზადოს უსაფრთხო თავშესაფარი ადრევე, სანამ მებრძოლები იქ გამოჩნდებიან.

წიგნში აღწერილია გრუს აგენტის მოქმედება. გ.რ.უ-ს ფულით აგენტი აშენებს ან ყიდულობს სახლს დასახლების განაპირა ადგილზე, სასურველია ტყესთან, ხევთან ან მდინარესთან ახლოს. სახლი არის მყარი აქვს სარდაფი და ავტოფარეხის ადგილი და ინახება საწვავი, სურსათი დგას ძველი, მაგრამ ტექნიკურად გამართული სამხედრო მანქანა ან მისი მსგავსი მანქანა. აგენტს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია მიიღოს „ღამის სტუმრები“. გაშიფვრის საფრთხის შემთხვევაში, შეუძლია განაცხადოს, რომ მასზე მოხდა თავდასხმა, იმყოფებოდა მძევლად და ა.შ.

მაგალითები ბევრი შეიძლება იყოს, რადგან ბაზა მზადდება არსებული საჭიროების მიხედვით. წიგნში მითითებულია თუ როგორ შეიძლება სპეცრაზმის თავშესაფრის ამოცნობა. თავშესაფარი თუ საბრძოლო მოქმედებების დაწყებისთვის მოსამზადებელი გამაგრებული რაიონები მზადდება ძალიან ბევრი, გამოიყენება გამოქვაბულები, შახტები, მიტოვებული შენობები, საქალაქო კანალიზაციის მაგისტრალი, სასაფლაოები, ძველი გემები, ფურგონები, კონტეინერები, მიტოვებული თუ დაქირავებული სახლები და ა.შ., სადაც შეიძლება თავშესაფარი ნახოს სპეცრაზმელმა ტერორისტებმა.

სპეცრაზმის აგენტი ასევე გამოიყენება, როგორც მოთვალთვალე, დარაჯი, საფრთხის შემტყობინებელი, იმოქმედოს, როგორც მთარგმნელმა, ტაქსის მძღოლმა, ინფორმაციის შემგროვებელმა, პოლიციასთან ან გარშემომყოფებთან ნდობის მომპოვებელმა. ზოგიერთი აგენტი შეიძლება გადაბირებული იყოს შემდგომი ტერაქტების მოწყობის მიზნით ან დამხმარედ.

გასათვალისწინებელია წიგნში მითიებული გარემოებები, რომ საყურადღებოა, რომ ასეთ აგენტებზე სპეცსამსახურების მიერ პრობლემის შექმნის შემთხვევაში, ისინი ადვილად პოულობენ „უფლებადამცველებს" „პრესის თანამშრომლებს," რომლებიც სახალხოდ აშუქებენ და ატყობინებენ ქვეყანას საქართველოს სპეცსამსახურების მიერ, მათი ეთნიკური ნიშნით დევნის შესახებ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემთხვევაში „უფლებადამცველები" კატეგორიულად მოითხოვენ მათ თავდებში გაშვებას და საქმეს განიხილავენ, როგორც უსაფუძვლო პროვოკაციას, ანუ დემოკრატიის დაცვის სახელით ასრულებენ „აგენტის მფარველის როლს".

წიგნში გავლებულია პარალელები და მითითებულია სპეცრაზმის კავშირი საერთაშორისო ტერორიზთან და განმარტავს, რომ მოსკოვის დახმარების გარეშე ტერორიზმი ვერასოდეს მიაღწევდა მსოფლიო მნიშვნელობის დონეს. სუვოროვი განმარტავს თვითონ გრუ-ს სტრუქტურებს, და მათ დანაყოფების მუშაობის ტიპებს.

გრუ-ში არსებობს ორი დამოუკიდებელი ძალიან ძლიერი დანაყოფი, რომელიც დაკავებულია ექსტრემისტებით და ტერორისტებით, ეს არის გრუ-ს 3-ე სამმართველო, რომელიც სწავლობს ტერორისტულ ორგანიზაციებს და მათში შეღწევის საშუალებებს და მე-5 სამმართველო, რომელიც დაკავშირებულია დაზვერვასთან და სპეცრაზმთან.

წიგნში აღწერილია გრუ-ს აგენტებთან ურთიერთობის ფორმა. წიგნში გაშიფრულია ის, რომ აგენტს უფრო მეტად შეუძლია ავნოს მის ქვეყანას დამოუკიდებელი მოქმედების შემთხვევაში რამეთუ იცის, როგორ იმოქმედოს, ვიდრე სპეცრაზმის მიერ მიღებული მითითებისას. მათ არასდროს აძლევენ დავალებას, რადგან უკეთესად იციან როგორ უნდა დაანგრიონ თავიანთი ქვეყნის სიძლიერე. ასეთ სიტუაციაში მათ ექმნებათ ილუზია, რომ არიან დამოუკიდებლები, მათ შეიძლება უკარნახონ მიმართულება თუ რა მიმართულებით მოახდინონ

ქვეყნისთვის ძირგამომთხრელი მოქმედებები. ეროვნული ღირებულებების განადგურება ძირითადი სამიზნეა დივერსია-საბოტაჟის მომწყობი აგენტურული ქსელისთვის.

წიგნში მას ნახსენები აქვს ასეთი ფრაზა: ეშმაკის ყველაზე დიდი ამოცანა ის არის, რომ დაარწმუნოს ყველა იმ არ არსებობაში.

იდეოლოგიური დივერსია-საბოტაჟი, როგორც წესი სახელმწიფო ტერორის გარკვეულ ფორმას წარმოადგენს, რა დროსაც შექმნილი იდეოლოგიური ტერორის გამო სახელმწიფოსთვის დივერიის ან საბოტაჟის მოწყობა ჩვეულებრივ ადვილდება და ყოველდღიურ წესად იქცევა და ხორციელდება ჰიბრიდული ომის მწარმოებელი სახელმწიფოს მიერ.

***გუსტავ ლე ბონი*** **„ერებისა და ბრბოს ფსიქოლოგია“** მე-20-ე საუკუნის ცნობილი ფრანგი სოციოლოგი წერდა ერებისა და ბრბოს ფსიქოლოგიაზე, რაც დღეს ისევე აქტუალურია, როგორც მაშინ. აღნინული წიგნი აკრძალული იყო საბჭოთა პერიოდის ეპოქაში რადგან ეწინაარმდეგებოდა საბჭოთა უტოპიურ იდეოლოგიას. წიგნში მოცემული და აღწერილი პრობლემების გასაცნობიერებლად უფრო მეტი ცოდნაა საჭირო ვიდრე ამას ავტორი გადმოცემს. აღნიშნული წიგნი გათვლილია საზოგადოების განათლებული სფეროსთვის, რადგან საკითხში ჩასაწვდომად უფრო მეტი ცოდნაა საჭირო რისთვისაც მრავალი მეცნიერის ნაშრომის გაცნობა და შესწავლაა აუცილებელი. აღნიშნული ნაშრომი აქტუალურია საქართველოსთვის, რადგან გარე თუ შიდა ძალების მიერ წარმოებული იდეოლოგიური ტერორის შედეგად ბოლო ორ ათეულ წელიწადში (შეიძლება საუკუნეშიც) ზემოქმედების შედეგად ქართველი ერის ხასიათი შეიცვალა. ისტორიული წარსული გახდა სრულიად უცხო და ხშირად იწვევს გაკვირვებას, რატომ განსხვავდება დღევანდელი და წარსულის ქართული მენტალიტებტი, აზროვნება, მისწრაფება, მიზნები რაც იდეოლოგიური ბრძოლის შედეგებია. ნაშრომის მიზანია იდეების ფიქოლოგიური და ისტორიული საფუძვლები, თანასწორობის წარმოშობის და მისი განვითარება, მისი შედეგები და გავლენები მასებზე. აღნისნული ნაშრომი დაიწერა მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი ცდილობდა გაევრცელებინა თანასწორობის იდეოლოგია მსოფლიოში, რევოლუციების გზით. ლე ბონი აღწერს ცივილიზაციების დაშლის მთავრ მექანიზმს, რომელიც დღმდე ერთი და იგივეა დაცემის სიმპტომებად ისტორიული

მაგალითებით მოყვანილია 1. ეგოიზმის განვითარება, ინიციატივის და ნებისყოფის დასუსტება 2. ხასიათის და ზნეობის დაქვეითება. 3. თანამედროვე ახალგაზრდობა და განმარტავს, რომ ერის დაცემის მთავრი ფაქტორი მისი ხასიათის დაქვეითებაა. გავითვალისწინეთ რა აღნითნულ წიგნში მოყვანილი ფაქტები ჩვენ ნაშრომში განვმარტეთ თუ რა გავლენას ახდენს იდეოლოგიური ტერორი ქვეყანაზე.

***ნიკოლო მაკიაველი*** „**სამხედრო ხელოვნება**" (მოსკოვი 2014 წელი) ერთერთ ყველაზე მეტად ცნობილი იტალიელი მოაზროვნე და აღორძინების ეპოქის პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი, მწერალი, სამხედრო თორეტიკოსი. მან შექმნა არაერთი ისტორიკულ პოლიტიკური თხზულება. მაკიაველ განმარტავს, რომ ტირანია და მორალური პოლიტიკა ურთიერთ შეუთავსებელი მცნებებია ვინაიდან მოქალაქეთა ზნეობრივი გადაგვარება და ხელისოფლების პოლიტიკური ამორალიზმი აერთმანეთს განაპირობებს და ერთმანეთის ტოლფარდია, ისევე რგორც მათი შენიღვბის საშუალება. ტირან მათავრს არასოდეს გამოელევა იმის კანონიერი მიზეზი, რომ გაამართლოს თავისი ორპირობა.

მაკიეველი წერდა, ტირანის პოლიტიკის უპირველესი საზრუნავია, რომ არ გამჟღავნდეს, საგულდაგულოდ შეინიღბოს სიცრუე, რაც უფრო ოსტატურად იჩქმალება სიყალბე, მით უფრო უკეთესი და დახვეწილია ტყუილი. თუმცა არსებობს დემონსტრაციული ტყუილი, რაც არის ძლის დემონსტრირება. მაკიაველი ისტორიული მაგალითებით განმარტავს, რომ ყველა შეცდომა, როგორმე შეიძლება იყოს გამოსწორებული, ხოლო შეცდომები დაშვებული ომის დროს არ სწორდება, რადგან ისჯება დაუყოვნებლი ვ.მაკიაველი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყნის მართვის მორალურ მხარეს. მას მაგალითად მოყავს რომის იმპერიის დაცემის და განადგურების მიზეზები.

ჩამოთვლილი ლიტერატურის გარდა არსებობს უამრავი მასალა, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ უსაფრთხოების პრობლემები, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ტერორის პოლიტიკა. აუცილებელია გაანალიზდეს საქართველოს, როგორც ევრო ლურებულებების მისწარფების მქონე ქვეყნის წიაალმდეგ არსებული საფრთხეები რადგან აშკარაა, რომ ევროპაში მიმდინარე სახიფათო მოვლენები სარკისებურად აისახება საქართველოზეც. ამიტომ საკითხის სრულყოფილი შესწავლის და ანალიზისათვის აუცილებელია დამატებითი ლიტერატურის და ინფორმაციის მოძიება.

# კვლევის შედეგები და მათი განსჯა

## თავი I
## ტერორიზმი XX – XXI საუკუნეებში და მისი ძირითადი მახასიათებლები

### 1.1. საერთაშორისო ტერორიზმი, ისტორიულ-პოლიტიკური მიმოხილვა

ზრუნვა „საერთაშორისო უსაფრთხოების“ ერთიან კონცეფციის ჩამოყალიბებაზე, განსაკუთრებით სიმძაფრით მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდგომ დადგა მსოფლიოში, რა დროსაც დაიწყო ცივი ომი საბჭოთა ბანაკთან. საერთაშორისო უსაფრთხოება უზრუნველყოფს ერთობლივ ღონისძიების გატარებას მშვიდობიანი თანაცხოვრების შნარჩუნების მიზნით. საერთაშორისო უსაფრთხოება მიღებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ და ჩართულია საერთაშორისო შთანხმებებში, კონვევციების სახით. უსაფრთხოების შეფასება არ შეიძლება მხოლოდ კონვენციებით თუ საერთაშორისო შეთანხმებებით, რომ გავიგოთ აუცილებელია გავარკვიოთ რა ქმნის საერთაშორისო საფრთხეს.

ისოტიული მაგალითებმა გვიჩვენა, რომ **საფრთხეს ქმნიან სახელმწიფოები,** რომლებიც მის დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურებს იყენებენ აგრესიული მიზნებით და სხვადსხვა სახით ეწევიან სახელმწიფო ტერორის პოლიტიკას. დღევანდელი მსოფლიო არაერთი საფრთხის შემცველი გამოწვევის წინაშე დგას, ესენია: სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს, ეთნიკური, იდეოლოგიური, სარწმუნოებრივი, ეკონომიკურ-პოლიტიკური ტერორი. სახელმწიფოს მიერ წარმოებული მრავალფეროვანი ტერორის სწორი განმარტებაა ჰიბრიდული ომი, რაც თავის მხრივ შეიცავს სახელმწიფო დაპირისპირების ყველა სახეს მათ შორის შეიარაღებულ კონფლიქტს. დღევანდელი მსოფლიო უსაფრთხოებისთვის განსაკუთრებით საშიშია საერთაშორისო ტერორიზმი, რომლის ისტორიული მაგალითია: შუა საუკუნებში შექმნილი ასასინების სექტა, „გადმოცემით ასასინები თვითმკვლელი-ტერორისტები იყვნენ. ასასინთა ამბები ისლამურ სამყაროსაც გასცდა და ბევრი ევროპელი მმართველი იხდიდა გადასახადს, რომ ასასინთა რისხვა არ დატეხოდა თავს“ [1].

სიტყვა „ტერორი“ ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს შიშს. ტერორიზმი არის მიზნის მისაღწევად გამოყენებული სხვადასხვა სახის ძალადობა: მისი გავრცელებული ფორმაა მკვლელობა, აფეთქება, გატაცება, მძევალთა აყვანა, საინფორმაციო ტერორი, იდეოლოგიური ტერორი, კიბერშეტევა და ა.შ. მისი მიზანია მოახდინოს ზემოქმედება, რომელიც მუდმივ შიშში ამყოფებს, როგორც მოსახლეობას, ისე ხელისუფლებას.

წარმოდგენილ ნაშრომში ვეცდებით **სახელმწიფოს მიერ წარმოებული ტერორის** ჭრილში გავაანალიზოთ მოვლენები. ტერორი სხვადასხვა სფეროში არის სახელმწიფოს გავლენის გაძლიერება და მოწინააღმდეგის დასუსტების ფორმა. ასეთი ტერორი გამოიყენება, როგორც სხვა სახელმწიფოს ასევე საკუთარი ხალხის მიმართ. სახელმწიფო ტერორის მაგალითია „ საფრანგეთის 1793 წლის 5 სექტემბერს დაწყებული მოვლენები, რორმა 40,000-მდე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. მხოლოდ ამ პერიოდის ბოლო თვეს 1900 ადამიანს მოკვეთეს თავი“ [2].

უნდა ავღნიშნოთ, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში მეფის რუსეთში ტერორი განსაკუთრებულად მძვინვარებდა. „ხშირი იყო თავდასხმა სახელმწიფო მოხელეებზე მათ შორის მეფის ოჯახის წევრებზე და მინისტრებზე.“ [3. 57].

სახელმწიფო ტერორის კლასიკური მაგალითია 1917 წლის რუსეთში მომხდარი რევოლუციით ხელისუფლებაში მოსული ბოლშევიკები, რომლებმაც დაამყარეს ტერორისტული მმართველობა. „წითელი კომუნისტური მხეცობა, ჩრდილავს ყველაფერს, რაც აქამდე ადამიანებმა იცოდენ სისასტიკეზე და სადიზმზე“ [4. 186].

წითელი არმია და ბოლშევიკური მთავრობის პოლიტიკური სადამსჯელო ორგანოები რუსეთის საგანგებო კომისია ატარებდა სისხლიან პოლიტიკას, მათ მიერ დაპყრობილ და კონტროლირებად ტერიტორიებზე, რათა დაშინებით მიეღწიათ მოსახლეობის სრული მორჩილებისთვის. მოსახლეობის იმ ნაწილს, ვინც წინააღმდეგი იყო ბოლშევიკური მმართველობისა უწოდებდნენ „ბანდიტებს“. რეპრესიების დროს ფართოდ გამოიყენებოდა მძევლად აყვანა და დახვრეტა. საბჭოთა კავშირის მმართველი ელიტა აღიარებდა, რომ მათ უწევდათ ბრძოლა მოსახლეობასთან. „გვიწევს ომი ვაწარმოოთ არა ბანდიტებთან არამედ მთელ მოსახლეობასთან“ [5. 28].

ბოლშევიკური სახელმწიფო **იდეოლოგიურად წარმოადგენდა სახელმწიფო ტერორის მანქანას,** რომლიც ახორციელებდა ტერორს მათთვის მიუღებელი კლასობრივი ფენის წინააღმდეგ, რა დროსაც საბჭოთა მეთაურები იჩენდენ განსაკუთრებულ სისასტიკეს, რომელიც გამყარებული იყო საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვნით და ბრძანებებით. „მთავარი არ იყო პროფესიონალიზმი, არამედ პოლიტიკური საიმედობა და მზაობა შეასრულოს დანაშულებრივი ბრძანებები" [5. 255].

ბოლშევიკები სახელმწიფო სამსახურში ამწესებდენ გაუნათლებელ ადამიანებს, რათა ჰქონოდათ მათი ერთგულების გარანტია. „კომისრებს უნდა მიეცეთ ფართო გასაქანი და დაინიშნონ თანამდებობებზე, ზოგიერთ მათგანს მიეცეს მცირე თეორიული ცოდნა და დაინერგოს ლოზუნგი „გადავიდეთ კომუნისტურ მეთაურობაზე" [6. 44].

გათვლა იყო გაკეთებული „აგრესიული უმეცრების" ეფექტურობაზე. ბოლშევიკური ტერორის ასახვას ვაწყდებით ვ.სუვოროვის წიგნში „წმენდა", სადაც აწერილია წითელი არმიის სადამსჯელო ნაწილების მიერ განხორციელებული ტერორი ჩადენილი მოსახლეობის მიმართ. „ადგილზე მისვლისას რაიონი ალყაშემოირტყმება, აიყვანება 60-100 განსაკუთრებით ცნობილი ადამიანები, როგორც მძევლები. იკრიბება ხალხი, რომელთაც წაეკითხებათ უფლებამოსილი კომისიის ბრძანება. თუკი 2 საათში არ გასცემენ ბანდიტებს მათ ოჯახის წევრებს და იარაღის სამყოფელს. მოსახლეობას ამცნობენ, რომ მძევლები დაიხვრიტებიან. თუ დადგენილ ვადაში არ მოხდა მათი გაცემა ახლიდან აიყვანება მძევლები და მეორდება იგივე პროცედურა" [4].

1917 წლის 7 დეკემბერს შეიქმნა „კონტრრევოლუციისა და საბოტაჟთან ბრძოლის რუსეთის საგანგებო კომისია" (ვჩკ), რომლის თავმჯდომარედ ფელიქს ძერჟინსკი დაინიშნა. კომისიას ევალებოდა მდიდრებისგან ქონების კონფისკაცია, დაკანონებული ყაჩაღობა, ხალხის მტრების გამოვლენა ლიკვიდაცია. „ლენინის მდივანი ფოტიევა იხსენებს: მთავრობის ერთ–ერთ სხდომაზე ლენინმა ძერჟინსკის მისწერა: – რამდენი კონტრრევოლუციონერი გვყავს ციხეში? – დაახლოებით 1500 მიაწერა ძერჟინსკიმ. ლენინმა აღნიშნულ ციფრთან ჯვარი დასვა. იმავე საღამოს უკლებლივ ყველა დაპატიმრებული დახვრიტეს" [7. 56].

გვინდა აღვნიშნოთ, რომ იმ დროის ფრანგი ფილოსოფოსი გუსტავ ლე ბონი წერდა, რომ: „სოციალიზმი არის სახელმწიფო ტირანიის უკანასკნელი გამოხატულება. იგი შეიძლება განხორციელდეს ერებში, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ემორჩილებოდნენ რეჟიმს“ [8. 50].

ბოლშევიკურმა რუსეთმა განსაკუთრებული სისატიკით და „სახელმწიფო ტერორის“ მეშვეობით აწარმოა „ომი ყველას“ წინააღმდეგ. წითელი ტერორის შედეგად დახვრეტილია მილიონობით ადამიანი. დამოუკიდებელ საქართველოსთან ხანმოკლე ბრძოლის შემდგომ 1921 წლის 25 თებერვალს მე-11 წითელი არმია თბილისში შევიდა. ამრიგად მოხდა საქართველოს გასაბჭოება და „წითელი ტერორის“ საქართველოში გავრცელება. „რუსული იდეოლოგია მიმართულია დაპყრობილი ქვეყნების სახელმწიფოების ნგრევისკენ“ [9. 15].

„წითელი ტერორი“ ვრცელდებოდა არა მხოლოდ მოწინააღმდეგე კლასების მიმართ არამედ ტერორის განმხორციელებლებზეც კერძოდ: საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ირიცხებოდა 41 სახელმწიფო უშიშროების კომისარი, რომელთაგან 1937-1938წ.წ. 38 იქნა გასამართლებული და დახვრეტილი.

**სახელმწიფო ტერორი და დიქტატურა** ერთმანეთისგან განუყოფელი ნაწილია, რადგან დიქტატურა ვერ შედგება ტერორის გარეშე, რომლის წარმოების აუცილებლობას ხედავენ სხვადასხვა საბაბით. საბჭოთა კავშირი ევროპაში ყოველთვის ავრცელებდა იდეოლოგიურ ტერორს. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ესპანეთის სამოქალაქო ომი. „ესპანეთის სამოქალაქო ომში რესპუბლიკელების დამარცხება 1936-1939 იყო ასევე საბჭოთა პოლიტიკის დამარცხება, რომელიც სამხედრო დახმარებას უწევდა რესპუბლიკელებს“ [10. 390].

შემდგომში საბჭოთა იდეოლოგიური ტერორი გავრცელდა იტალიის ტერიტორიაზეც, რისი მეშვეობითაც საბჭოეთი ახდენდა გავლენას იტალიის მთავრობაზე. შეიქმნა კრიმინალური ორგანიზაცია „წითელი ბრიგადები“, კომუნიზმის „პროპაგანდა იარაღით.“ იტალიაში საბჭოთა სპეცსამსახურები ფარული თუ აშკარა მხარდაჭერით სარგებლობდნენ, ტერორისტული ორგანიზაციების უმრავლესობა კომუნისტურ იდეოლოგიას იზიარებდა. როგორც

ომის შემდგომი იტალიური პრესა წერდა „რომს ორი თავსატეხი აქვს: სამხრეთში „მაფია“ და ჩრდილოეთში კი „წითლებიო“ [11. 50].

1978 წელს „წითელმა ბრიგადებმა“ გაიტაცეს და მოკლეს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ალდო მორო. საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ მართული „წითელი ბრიგადები“ ფაქტიურად ატერორებდა იტალიის მსხვილ მრეწველებს. ზეწოლა მოახდინეს „ფიატის“ ქარხანაზე, რის შემდგომაც საბჭოთა კავშირს გადაეცა „ფიატის“ ტექნოლოგიები და სრული ალჭურვილობით. 1971 წლის შემდგომ „წითელი ბრიგადების“ მხრიდან „ფიატს“ პრობლემა არ შექმნია. „ფიატი“ მათი მფარველობის ქვეშ იყო.“

ამ დროისთვის საბჭოეთი ცდილობდა გავლენა ჰქონოდა ვატიკანზეც. 1978 წელს რომის პაპად აირჩიეს პოლონელი კარდინალი კაროლ ვოიტილასი, იდეოლოგიიდან გამომდინარე საბჭოეთმა ეს მარცხად აღიქვა, რადგან პოლონეთი შედიოდა საბჭოთა ბანაკში „1981 წელს 13 მაისს თურქი ტერორისტმა ალი აგჯა მძიმედ დაჭრა რომის პაპი. ვერსიების მიხედვით აღნიშნული კა-გე-ბეს საგარეო დაზვერვის „ს“ სამმართველოს (არალეგალური დაზვერვა) მე-8 განყოფილების ორგანიზებული იყო“ [12].

ევროპაში არესებულ ტერორისტულ ორგანიზაციებს მჭიდრო კავშირი ქონდა საბჭოეთთან, რომლის კონტროლის ქვეშ იყო, **„ირლანდიის რესპუბლიკური არმია“** ეთნიკური ნიშნით შექმნილი გასამხედროებული დაჯგუფება, რომელსაც არერთი ტერორისტული აქტი აქვს ჩადენილი ბრიტანელების წინააღმდეგ. „მეორე სმოფლიო ომის შემდგომ ირლანდიის რესპუბლიკური არმიის იარაღის მიმწოდებლად მოიაზრებოდა საბჭოთა...“ [13].

ასევე ორგანიზაცია **„ბასკეთი და თავისუფლება“ (ეტა)** „ერის ერთიანობა“ ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია ესპანეთის ხელისუფლების თავსატეხია რადგან ბასკებმა ესპანეთის ხელისუფლების წინააღმდეგ არაერთი ტერორისტული აქტი განახორციელეს. 1 ოქტომბერს კატალონიაში დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმი ჩატარდა. „ხმის მიცემა ესპანურ პოლიციასთან დაპირიპირებისა და შეტაკებების ფონზე მიმდინარეობდა. ბოლო ინფორმაციით დაშავდა, სულ ცოტა, 800 ადამიანი.“ [14].

ეტა-მ განაცხადა, რომ კატალონიას განიხილავს, როგორც მეგობრულ სახელმწიფოს და მის ტერიტორიაზე ტერაქტებს აღარ მოაწყობდა. აღნიშნულმა

ცუდად იმუშავა კატალონოოს პრემიერ-მიმისტრის წინააღმდეგ და ის სეპარატიზმში და ტერორისტებთან ურთიერთობაში დადანაშაულდა.

მეთოდოლოგიის განსაზღვრა თუ როგორ მოქმედებს რუსეთის სპეცსამსახურები საშუალებას მოგვცემს გამოვიმუშაოთ მათთან დაპირისპირების და თავდაცვის სტრატეგია. მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს არსებული პრობლემების გარდა აქვს მეგობრული ურთიერთობები ორგანიზაციებთან, რომლებიც სხვა ქვეყნებისთვის არის საფრთხის შემცველი. კერძოდ: „თურქებისათვის სისხლის გამშრობი „ქურთების მუშათა პარტია" საბჭოთა სპეცსამსახურებმა შექმნეს „ცივი" ომის დროს." [15. 10].

ქურთების მიერ წარმოებული საბრძოლო მოქმედებები სირიაში ამერიკელების დახმარებით დაპირისპირება თურქეთთან და ასადის მთავრობასთან მათ აქცევს საქართველოს მნიშვნელოვან მოკავშირედ.

უნდა გავიხსენოთ 1992-1993 წწ. რუსეთ-საქართველოს დაპირისპირება სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, რამაც შეიარაღებული კონფლიქტის სახე მიიღო, რუსეთის სპეცსამსახურებმა შეძლო და ჩრდილო კავკასიელი მუსულმანები საქართველოს წინააღმდეგ დარაზმა. თუმცა შემდგომში რუსეთის მიერ კავკასიაში შექმნილმა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა დაიწყეს, რუსეთთან დაპირისპირება.

„ჩრდილო კავკასიის საემირო, რომელსაც თანამედროვე რუსულ და დასავლურ მასმედიაში ვირტუალურ სახელმწიფოსაც უწოდებენ რადიკალ მუსულმანთა (ჯამაათების) არაფორმალური გაერთიანებაა." [16. 24]

პირველი ჩეჩნური ომის არასახარბილეოდ დამთავრების შემდგომ რუსეთმა დაიწყო მეორე ჩეჩნური ომისთვის მზადება, რასაც ანტიტერორისტული ოპერაცია ეწოდა. თუმცა ამის საბაბს ჩეჩენი ტერორისტები ხშირად აძლევდნენ. 1999 წელს ჩეჩენმა ტერორისტებმა მოაწყვეს პროვოკაციული ამბოხება დაღესტანში, რა დროსაც, სოფელ კარამახში და ჩაბანმახში რამდენიმე ასეული ჩეჩენი ტერორისტი შეიჭრა. რუსეთის რეაქციას დაუყოვნებელი იყო და „12 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის შ.ს. მინისტრის მოადგილე იგორ ზუბოვმა ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ასლან მასხადოვს, ისლამისტთა გასანადგურებლად დაგეგმილ ოპერაციაში მონაწილეობა მოსთხოვა" [16. 26].

ასლან მასხადოვმა უარით უპასუხა და რუსეთს ჩეჩნეთში ომის წარმოებისთვის ხელ-ფეხი გაეხსნა, რის შემდგომ ა. მასხადოვი რუსეთმა

ტერორისტთა სიაში შეიყვანა და მისი ლიკვიდაცია მოახდინა. რუსეთის სპეცსამსახურები მჭიდროდ თანამშრომლობენ ათასი ჯურის ტერორისტთან და მათი მეშვეობით აღწევენ მიზანს. მოწყობილი პროვოკაციის შედეგად, 2007 წლის 10 ოქტომბერს, ჩეჩნეთის პრეზიდენტმა დოქა უმაროვმა გააუქმა ჩეჩნეთის რესპუბლიკა და მისი ტერიტორია ჩრდილო კავკასიის სალაფიტური საემიროს ერთ-ერთ ვილაიეთად გამოაცხადა. ხოლო პრეზიდენტი დ. უმაროვი „ჩრდილო კავკასიის ემირად იწოდა", რამაც რუსეთის მოქმედებებს ჩეჩნეთში მისცა ლეგიტიმაცია და ჩეჩნეთს ჩამოაშორა დასავლეთის მხარდაჭერა. ჩეჩნეთის ემირატად გამოცხადებამ გააუქმა მანამდე არსებული ჩეჩნური სახელმწიფო წარმონაქმნი, ხოლო ტერორისტულ ორგანიზაცებთან დაკავშირებამ ჩეჩნეთი დატოვა დასავლეთის ყურადღების გარეშე, რამაც რუსეთს ხელ-ფეხი გაუხსნა ჩეჩნეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომში.

თუ „ტერორიზმი" ხასიათდება რელიგიური ნიშნით, მას ახორციელებენ რელიგიური დაჯგუფებები და გამოირჩევა ფანატიზმით განსაკუთრებით თუ საქმე გვაქვს მუსულმანურ დაჯგუფებებთან მაგალითად ჰესბოლა, ჰამასი, ალ-ქაიდა „თალიბანი" ჯაბჰატ ალ ნუსრა, ბოკო ჰარამი, „ისლამური ჯიჰადი" „მუსლიმანი ძმებიდა" და ა.შ. [17. 14]

ეს იმ ტერიორისტული ორგანიზაციების მცირე ჩამონათვალია, რომლებიც ისლამურ ფუნდამენტალიზმის აგრესიულ მიმართულებას წარმოადგენს. მუსულმანური ტერორიზმი სათავეს იღებს შუასაუკუნეებიდან, კერძოდ, ასასინთა სექტიდან 11-ე საუკუნის დამლევს ირანში შექმნილი საიდუმლო ორგანიზაცია, რომელიც პოლიტიკურ მკვლელობებს ახორციელებდა. თემის აქტუალობას განსაზღვრავს თანამედროვე ტერორიზმის გააქტიურება მსოფლიოში, რამაც საშუალება მისცა შექმნილიყო ისლამური სახელმწიფო. „ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბება ამერიკელების შეჭრის მერე დაიწყო, ხოლო დასრულდა ამერიკელების მიერ ერაყის დატოვების შემდეგ." [18]

**„ისლამური სახელმწიფო"** – ეს არის 2006 წლის 15 ოქტომბერს დაარსებული ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ისლამურ სახელმწიფოს" გააჩნდა სახელმწიფოებრივი სტრუქტურები და ატრიბუტები. მუსულმანური ტერორიზმით გაჯერებულმა სახელმწიფოს არსებობამ დიდი მხარდაჭერა მოიპოვა მუსლიმი

მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში და ქვეყნებში: „2018 წ. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საუდის არაბეთის საფეხბურთო ნაკრებმა უარი განაცხადა მატჩის დაწყების წინ პატივისცემა გამოეხატათ, ქ. ლონდონში ტერორისტული აქტების შედეგად დაღუპულთათვის [19].

აღნიშნულიდან ჩანს, რომ ისლამურ ტერორიზმს გაცილებით მეტი მხარდამჭერი ჰყავს მუსულმანურ სამყაროში, ვიდრე ამას ევროპის ქვეყნების ხელისუფლებები აღიარებენ. მუსულმანების მიერ ეს აღიქმება არაადეკვატურ რეაქციად და ევროპის სახელმწიფოების სისუსტედ. „ტერორიზმი რთული პოლიტიკურ-სოციალური გამოვლინებაა" [20. 82].

ტერორიზმი საშიში, მაგრამ იაფი ბრძოლის საშუალებაა. „პაკისტანელი „თალიბების" მეთაურმა პაკისტანის ოპოზიციის ლიდერის ბენაზირ ბჰუტოს მკვლელობაში 7 ათასი დოლარი გადაუხადა კილერს" [21. 20].

„ჯიჰადის ქამრის" ღირებულება დაახლოებით 80-90 დოლარია. 1984 წელს ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი, ხოლო 1991 წელს თვითმკვლელი ტერორისტის მსხვერპლი გახდა მისი შვილი რაჯივ განდი. „აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს ინფორმაციით, მსოფლიოში უდიდესი, 11 სექტემბრის, ტერაქტის მოწყობა „ალ-ქაიდას" სულ რაღაც 500 ათასი აშშ დოლარი დაუჯდა. 3000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა და ზარალმა 135 მილიარდ დოლარს მიაღწია." [21. 21]

ევროპაში მომხდარი ტერაქტები, მათი რელიგიური მოტივებიდან და განხორციელების ფორმებიდან გამომდინარე, ჯდება იაფი. „2004 მადრიდში მოწყობილი ტერაქტი, რომელსაც 200 კაცი შეეწირა 11,000 ევრო დაჯდა, ხოლო 2005 წლის ივლისის ლონდონის ტერაქტი, რომელსაც რამდენიმე ათეული ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა 300 გირვანქა სტერლინგი" [21. 22].

უსაფრთხოების საკითხების კვლევისას აუცილებელია განვიხილოთ ისტორიული მაგალითები, მოვახდინოთ შედარებითი ანალიზი, რაც გვიჩვენებს საფრთხეების წარმოქმნის რეალურ მიზეზებს, მის ფორმებს და მასთან ბრძოლის მეთოდების განსაზღვრაში დაგვეხმარება.

## 1.2. ტერორიზმის ფორმები და სახეები თანამედროვე მსოფლიოში

იმისათვის, რომ გავიგოთ რას წარმოადგენს ტერორი უნდა მოხდეს მისი კლასიფიცირება. ტერორიზმი კლასიფიცირდება ტერიტორიული ნიშნით: საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი; მოტივაციისა და სახეების მიხედვით: პოლიტიკური, ნაციონალური, რელიგიური, იდეოლოგიური, ეკონომიკური და ა.შ.; ტერორიზმის სახეობის, ხასიათის, მოტივის, განმხორციელებლისა და წარმოშობის მიხედვით უნდა განისაზღვროს მასთან ბრძოლის ტაქტიკა. სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ტერორი მიზნის მიღწევის საშუალება:

**ა) საერთაშორისო ტერორი** არის: მოქმედება განხორციელებული ქვეყნის გარეთ საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე.

**ბ) შიდა სახელმწიფოებრივი ტერორი**: ქვეყნის შიგნ საკუთარი ხალხის მიმართ და დიქტატურული სახელმწიფოს გამოვლინებაა.

„ტერორი ეს არის ფიზიკური ანგარიშსწორება (ან მუქარა)“ [22];

**ტერორს აწარმოებენ:** სახელმწიფო, ასევე ცალკეული დაჯგუფებები თუ იდეოლოგიური, პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებები, ასევე კერძო პირები და ა.შ. ტერორის განსაკუთრებული ფორმაა „სახელმწიფო ტერორიზმი.“

**სახელმწიფო ტერორიზმი** გამოიყენება, როგორც ზეწოლის ფორმა და შეიცავს დივერსია-საბოტაჟს, როგორც სხვა ასევე საკუთარი ქვეყნის მიმართ.

მდგომარეობის გაანალიზების შედეგად მივედით დასკვნამდე, თუ სახელმწიფო ატარებს აგრესიულ პილიტიკას ის სხვადასხვა ფორმით ტერორიში ამყოფებს მოწინააღმდეგეს, რადგან ამ დროს მშვიდობიან მოსახლეობას ექმნება სიცოცხლის საფრთხე, რომელიც უშუალოდ შეიძლება განხორციელდეს საბრძოლო მოქოედებებით მაგალითად დაბომბვით, ასევე ეთნიკური დევნით ანუ გენოციდით, როგორიც მოაწყო რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ სამაჩაბლოში და აფხაზეთში, რა დროსაც განდევნილ იქნა ქართული მოსახლეობა საკუთარი მიწაწყლიდან და ამას ეთნიკური დევნის ფორმა ქონდა.

გვინდა განვმარტოთ რომ ტერორის ფორმები სხადასხვა გვარია და სახელმწიფოს მიერ ასეთ მოქმედებებს შეგვიძლია ვუწოდოთ 21–ე საუკუნეში დამკვიდრებული ტერმინი **„ჰიბრიდული ომი.“** რასაც უწოდებენ „სამხედრო თუ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად დიპლომატიური, სამხედრო, ეკონომიკური, საინფორმაციო საშუალებებისა და კონვენციური, არარეგულარული (პარტიზანული

და ასიმეტრიული), ტერორის, კრიმინალური და კიბერ ბრძოლის მეთოდების ერთობლივ, კოორდინირებულ, ღია და ფარულ გამოყენებას." [23].

**ჰიბრიდი,** როგორც სიტყვა საკმაოდ ხშირად გამოიყენება ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში და მისი მნიშვნელობა ყველასათვის გასაგებია მაგრამ თუ განვმარტავთ, ეს არის რაიმე საგანი, მოქმედება ან არსება რომლესაც გააჩნია რამდენიმე განსხვავებული თვისება, მაგრამ კომბინირებულია ერთ ელემენტში.

სახელმწიფოს მიერ წარმოებული ტერორის თუ ჰიბრიდული ომის მთავარი შემადგენელია: **„დივერსია" და „საბოტაჟი"** რომლებიც თავის მხრივ იყოფიან სხვადასხვა ფორმებად.

**დივერსია:** - ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ობიექტების დაზიანება ან მწყობრიდან გამოყვანა მოწინააღმდეგის ზურგში. დივერსიის ჩატარების მიზანია მოწინააღმდეგის დასუსტება სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური ან სოციალური მიზნების მისაღწევად. „დივერსიის ტიპოლოგია დამოკიდებულია დასახული ამოცანის ხასიათზე. არჩევენ 4 ტიპის შემსრულებლებს: სახელმწიფო მოსამსახურეები, პროფესიული აგენტები, პარტიზანები, „მეხუთე კოლონის" წარმომადგენლები" [24].

**საბოტაჟი:** „ფრანგული სიტყვაა რაიმე საქმის წინასწარგანზრახვით ჩაფუშვა მასში მონაწილეობისაგან თავის არიდებით ან მისი არაკეთილსინდისიერი შესრულებით" [25].

დივერსია და საბოტაჟი შეიძლება იყოს „ასიმეტრიული ომის" მთავარი შემადგენელი ნაწილი, „ასიმეტრიული ეწოდება ისეთ ომს, როდესაც, მეომარი მხარეების სამხედრო ძალა ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება ან როდესაც, მათ მიერ გამოყენებული სამხედრო სტრატეგია და ტაქტიკა განსხვავდება მნიშვნელოვნად" [26].

**„ასიმეტრიულ ომის"** ფორმაა „პარტიზანული ბრძოლა" ისეთი შეიარაღებული ბრძოლა მოწინააღმდეგესთან, როდესაც ერთმანეთს ებრძვის რეგულარული სამხედრო ძალა და არარეგულარული შედარებით ცუდად აღჭურვილი მოწინააღმდეგე. ასიმეტრიული ომის სახე ქონდა ქართველი პარტიზანების 1998წლის დაპირისპირებას ქ.გალში აფხაზ და რუს ჯართან.

„ასიმეტრიული ომი" ხშირად იწყებს „მოჩვენებით" დამოუკიდებელი მხარე, თუმცა სინამდვილეში ფარულად დაკავშირებულია რომელიმე სახელმწიფოსთან ან

გაერთიანებებთან და დახმარებას იღებს მისგან. აღნიშნული იწოდება „არაპირდაპირ ომად“ ასეთ დროს, სახელმწიფოები ებრძვიან ერთმანეთს შუამავლების მეშვეობით, ბრძოლის მეთოდები, განისაზღვრება ტერორისტულ-დივერსიული მეთოდებით. ასეთი დაპირიპირისპირება მოხდა ავღანეთში და ვიეტნამში, როდესაც საბჭოეთი და აშშ ერთმანეთს ებრძოდა სხვა ქვეყნის მოსახლეობის ხარჯზე.

**„არაპირდაპირი ომის“** დროს გამოიყენება მესამე ძალა, როგორც ძირითადი საქმის შემსრულებელი, როგორც შემცვლელი, „არაპირაპირ ომში, შესაძლებელია მოწინააღმდეგისთვის ზიანის მიყენება, ისე, რომ პირდაპირ, ქვეყანა არ ჩაერთოს სრულმასშტაბიან ომში.“ [27]

დაქირავებული მეომრების გამოყენებით, გარკვეულწილად რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ იყენებს „არაპირდაპირი ომის“ ელენემტებს. ასიმეტრიული და არაპირდაპირი ომის კომპლექსური გამოყენების კლასიკური მაგალითია რუსეთის მიერ უკრაინის კუთვნილი ყირიმის ნახევარკუნძულის „ანექსია,“ რომელიც განხორციელდა საბრძოლო მოქმედებების გარეშე, ასევე დონბასის და ლუგანსკის რეგიონების ფაქტიური ანექსია, სადაც რუსეთმა ძირითადად გამოიყენა დაქირავებული მეომრები, გასამხედროებული ორგანიზაციები, „თავაზიანი ხალხი“, „მწვანე კაცუნები“, „ისინი იქ არ არიან“ სახელწოდებები რითაც აღინიშნებიან რუსეთის შეიარაღებული ძალები განმასხვავებელი ნიშნების გარეშე, რომლებმაც მოახდინეს სტრატეგიული ობიექტების ბლოკირება ყირიმში 2014 წ.“ [28].

**პარტიზანული ქმედებები:** დივერსია და საბოტაჟი ტერორიზმის თავისებური ფორმაა, პარტიზანული მოქმედებები ხორციელდება დაპყრობილი ქვეყნის ტერიტორიაზე, დამპყრობის ან მათი მოკავშირეთა წინააღმდეგ. საქართველოში 1990-1993 წლებში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულმა პირდაპირმა საბრძოლო მოქმედებებმა და ტერიტორიების ანექსიამ საქართველოს „ანექსირებულ“ ტერიტორიებზე წარმოშვა პარტიზანთა ჯგუფები, რომლებიც განაგრძობდენ ბრძოლას დამპყრობების წინააღმდეგ. პარტიზანული ბრძოლების კვლევით არაერთი მკვლევარია დაკავებული, ბრძოლის ეს სახეობა ყოველთვის მოიხსენიება ისტორიის მანძილზე.

**პარტიზანი** – მონაწილე შეიარაღებული ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებენ მტრის წინააღმდეგ ოკუპირებულ ტერიტორიაზე [29].

შეფასება პარტიზანი საკმაოდ სუბიექტურია რადგან, პარტიზანული ქმედება ხორციელდება დამპყრობის წინააღმდეგ, დაპყრობილ ქვეყანაში ან საერთო მტრის წინააღმდეგ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. თუ ამ ქმედებებს აფასებს მოწინააღმდეგე, ის ფასდება, როგორც ტერორიზმი (ბანდიტიზმი) კრიმინალი. ხოლო თუ ამ ქმედებებს აფასებს დამპყრობთან მებრძოლი ან მისი მხარდამჭერი ფასდება, როგორც ბრძოლა პარტიზანული მეთოდებით, მაგრამ არა როგორც დივერისა ან ტერორიზმი.

პარტიზანული მოქმედებისას განხორციელებული ტერორის და საბოტაჟის მაგალითები მრავლად არსებობს მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, რა დროსაც საბჭოთა, ნორვეგიელი, ფრანგი თუ იტალიელი პარტიზანების მიერ ხდებოდა არაერთი დივერსიულ-ტერორისტული ქმედება ფაშისტური გერმანიის ან მის მოკავშირეთა წინააღმდეგ. ტერორიზმის შეფასება უნდა მოხდეს მისი სახეობის, ხასიათის, მოტივაციის, განხორციელების და წარმოშობის მიხედვით, რა დროსაც განისაზღვრება მასთან ბრძოლის ტაქტიკა. სახელმწიფო მიერ განხორციელებული ტერორს შეგვიძლია ვუწოდოთ ჰიბრიდული ომი და პირიქით, ამ დროს მათი განსხვავება ფაქტიურად შეუძლებელია. ჩვენ მოვიძიეთ მასალები მაგრამ ვერსად ვნახეთ რომელიმე დასავლელი „წონიანი“ პოპიტიკური მოღვაწის თუ მკვლევარის შეფასება რუსეთის ქმედებების მიმართ, როგორც სახელმწიფო ტერორის განმახორციელებელი ქვეყნა. თუ ჩვენ განვიხილავთ იმ ფორმას რითაც რუსეთი მოქმედებებს საქართველოს და უკრაინის წინააღმდეგ აღმოვჩნდებით იმ ფაქტის წინაშე, რომ რუსეთის რეგულარული შეიარაღებული ძალები არის გადამწყვეტი საბოლოო ფაქტორი იმ სახელმწიფო ტერორის წარმოებისას, რითაც იწყება დაპირისპირება. სახელმწიფოს მიერ ტერორი ხორციელდება ასევე იმ სპეციალური ძალების მიერ, რომელთა დანიშნულებაა აწარმოონ დივერიულ ტერორისტული მოქმედებები მტრის ზურგში. ასეთი დანაყოფები თავისი ბუნებით არიან ძალზედ საინტერესონი, აღნიშნული დანაყოფთა არსებობა ლეგიტუმური და აღიარებულია თუმცა არავინ არ აღიარებს მათ მიერ შესრულებულ „სამუშაოს,“ რასაც მხოლოდ ერთი განმარტება აქვს: ეს არის „დივერსიულ ტერორისტული საქმიანობა,“ რაც აკრძალულია საერთაშორისო კანონმდებლობით, თუმცა ყველა

სახელმწიფოს გააჩნია ასეთი დანაყოფები და მათი მოქმედებები რეგულირდება კანონით. ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ სახელმწიფოს მიერ საბრძოლო მოქმედებების დროს წარმოებულ ფორმას, როგორიც არის დაბომბვა. სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული ტერორის მაგალითად შიძლება გამოვიყენოთ: **აშშ-ს ატომური შეტევა იაპონიაზე,** რა დროსაც იაპონიის ქალაქების ჰიროსიმას და ნაგასაკის განადგურებით მოხდა იაპონიის სახელმწიფოს „დატერორება." შიშის ფაქტორი იმდენად დიდი იყო, რომ „1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიამ გამოაცხადა კაპიტულაცია მოკავშირეთა წინაშე და ამით ოფიციალურად მეორე მსოფლიო ომი დასრულდა" [30].

საბჭოთა იდეოლოგიური ტერორის ნაწილი საკუთარი მოსახლეობის ბირთვული დაშინება, რომ დასავლეთი მზად იყო თვას დსხმოდა ბირთვული იარაღით. ამიტომ ყველა ღონისძიება მიმართული ბირთული თავდაცვისკენ იყო გამართლებული მისი აუცილებლობიდან გამომდინარე. სახელმწიფოს მიერ საკუთარი ხალხის მიმართ იდეოლოგიურ ომში წარმოებული „ბირთვული სწავლებით" განხორციელებული ტერორი, საბჭოთა კავშირის ისტორიაში ერთადერთი მაგალითია: „1954 წლის 14 სექტემბერს „ტოიცკის პოლიგონზე" პირველად ჩატარდა საჯარისო კვლევითი სწავლება ატომური იარაღის პრაქტიკული გამოყენებით. სწავლებაში მონაწილეობას იღებდა 45 ათასი სამხედრო მოსამსახურე" [31. 354-356].

საბჭოთა კავშირი იმ სახელმწიფოთა შორის იყო ვისაც ქონდა ბირთვული იარაღი და მას წარმატებით იყენებდა „ბირთვული შანტაჟისთვის", რასაც ფაქტიურად ტერორის სახე ჰქონდა აღნიშნულ შანტაჟს დღემდე ახორციელებს რუსეთი მსოფლიო საზოგადოების მიმართ. საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია ბევრი ეთნოკონფლიქტი, ტერორიზმის განვითარება პოსტსაბჭოურ ტერიტორიებზე, ეთნო კონფლიქტები, რუსეთის სპეცსამსახურები ახორციელბდენ. შემოღებულია ტერმინოლოგია ეთნოწმენდა, რაც გულისხმობს ტერორს ეთნიკური ნიშნით, თუმცა ეს ტერმინი პირდაპირი მაჩვენებელია ფაშისტური ქმედებებისა. „ომმა ბოსნიაში (1992-1995) დააზარალა დაახლოებით მილიონი ადამიანი, ბევრი დაიღუპა და დაიჭრა თითქმის ორმა მილიონმა ადამიანმა დატოვა საცხოვრებელი და ომის წარმოების ტერმინში გაჩნდა ტერმინი ეთნიკური წმენდა" [32. 359].

პირველად სიტყვა გენოციდი გამოყენებულ იქნა ჰიტლერის მიერ ჩადენილი საშინელებებისას ებრაელების და თყვეების მიმართ. „გენოციდი სიტყვა წარმოიშვა ლათინური სიტყვებისგან გენო ნიშნავს „რასას" „ტომს" სიტყვა ციდთან ერთად გვაძლევს სიტყვას მნიშვნელობით „მკვლელობა" [32. 452].

**სახელმწიფო ტერორიზმის** ერთ-ერთი ფორმაა სახელმწიფო გადატრიალება სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოში განხორციელებული ტერორისტული აქტების ნათელი მაგალითია საბჭოთა ჯარების ავღანეთში შეჭრამდე ჩატარებული ტერორისტული აქტები. კერძოდ, საბჭოთა სადივერსიო ჯგუფებმა მოახდინეს ქვეყნის მმართველის ლიკვიდაცია. 1979 წლის 5 დეკემბერს საბჭოთა დანაყოფი „მუსბატალიონი" ავღანეთში ბაგრამის ბაზაზე 345-ე ცალკეული საპარაშუტო სადესანტო პოლკის ბატალიონს შეუერთდა ამ დროს ავღანეთის მმართველი ამინი იმყოფებოდა „თაჯ-ბეკის" სასახლეში. „1979 წლის 27 დეკემბერს დილის 7 საათზე „მუსბატალიონმა" 345-ე სადესანტო პოლკის მებრძოლებმა და KGB-ს სპეცრაზმმა „თაჯ-ბეკზე" იერიში დაიწყო, როცა სროლა შეწყდა პრეზიდენტ ამინის ცხედარი იპოვეს. აღნიშნულ სახელმწიფო ტერორისტულ აქტს მოყვა სამხედრო მოქმედებები და საბჭოთა ჯარის შეჭრა ავღანეთში, რამაც შემდგომ დიდი მსხვერპლი მოუტანა ავღანელ ხალხს. ბრძოლა ამინის სასახლეში დიდხანს არ გაგრძელებულა საბჭოთა დანაყოფის მეთაური იხსენებს: „მე რადიოსადგურით დავუკავშირდი ხელმძღვანელობას: სასახლე აღებულია, მთავარი განადგურებულია. მას შემდეგ, რაც ოპოზიციონერმა ასავარიმ და მ. გლულიაბზოიმ ამოიცნეს ავღანეთის ლიდერი, ამინი შევახვიეთ ხალიჩაში და დავმარხეთ სასახლის ახლოს. დავალება შესრულებული იყო" [33].

სასახლის იერიშში მონაწილეობდნენ G.R.U. სპეცრაზი 2500 კაცი, ასევე KGB სპეცრაზმები „გრომი" და „ზენიტი" ასევე 345 პოლკის ასეული, „1979 წლის 27 დეკემბერს, დილის 7 საათზე, დათქმული სიგნალის „შტორმი-333"-ს, შემდგომ დაიწყო „თაჯ-ბეკზე" იერიში" [34. 52].

საბჭოთა სპეცსამსახურები ყოველთვის გამოირჩეოდნენ ხისტი მოქმედებით, საბჭოთა კავშირის არსებობისას სახელმწიფოს მიერ გაწეული პოლიტიკური ტერორის მაგალითი 1983 წელს საბჭოთა სამხედრო საჰაერო ძალების მიერ კორეული სამგზავრო **„ბოინგის"** ჩამოგდება სამასამდე მგზავრითურთ,

„საბჭოთა საჰაერო საზღვრის დარღვევის გამო საბჭოთა გამანადგურებელმა ჩამოაგდო სამხრეთკორეული სამოქალაქო ავიალაინერი 269 მგზავრით“ [35].

აღნიშნული ქმედებით საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა ძალის დემიონსტრირება, რომ არ მოერიდებოდნენ არავითარ მსხვერპლს იმ შემთხვევაშიც თუკი ეს არ იქნებოდა აშკარა აგრესია საბჭოეთის მიმართ.

**კომუნისტური იდეოლოგიის** გასავრცელებლად საბჭოეთი არ ერიდებოდა კრიმინალურ–ტერორისტულ ორგანიზაციების შექმნას და მათ დაფინანსებას მიზნების მისაღწევად და დივერსიის საწარმოებლად. დივერსიის მეთოდები განსხვავებულია მისი განხორციელების მეთოდის მიხედვით: დივერსიის მომწყობნი შეიძლება იყვნენ მოწინააღმდეგე ქვეყნის შეიარაღებული ძალები თუ სპეცსამსახურების (პროფესიონალი დივერსანტები) მოსამსახურენი, დიპლომატიური თუ საერთაშორისო ორგანიზაციების საფარქვეშ მოქმედი აგენტები, დაპყრობილი ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი პარტიზანები, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებზე მომუშავე „მეხუთე კოლონის“ წარმომადგენლები.“ „დივერსიის ჩატარების ძირითადი მიზნებია: სამხედრო, ეკონომიკური პოლიტიკური, ან სოციალური, მორალური ზიანის მიყენება დასახული მიზნის მიღწევის გასაადვილებლად [36].

**დივერსიულ-ტერორისტული აქტები,** რომელსაც აწარმოებს სახელმწიფო მოწინააღმდეგის მიმართ ხორციელდება სპეციალური დანაყოფების მიერ. ამისთვის სახელმწიფოები ქმნიან სპეციალურ ძალებს, რომელთა სპეციალიზაციაა დივერსიულ-ტერორისტული საქმიანობა ისინი გამოიყენება მტრის ჭარბი ძალების მიმართ, ძირითადად მოქმედებენ მტრის ტერიტორიაზე, გარდა პარტიზანული მოძრაობისა, რომელიც წარმოებს მტრის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე მოწინააღმდეგის დასუსტების ან მისგან განთავისუფლების მიზნით. პირველი სერიოზული წარმატებები მეორე მსოფლიო ომის დროს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, ზღვაზე მიაღწიეს იტალიელმა წყალქვეშა დივერასტებმა, რაც აღწერილია ბელგიელი სამხედრო პუბლიცისტის ვ. ბრუს წიგნში **„წყალქვეშ დივერსანტები.“** „ავტორის აზრით, იტალიელები პირველები იყვნენ ვინც გამოიყენა ახალი დივერსიული საშუალებები. მათ მიერ დაზიენებიული და ჩაძირული იქნა 2 ინგლისური სახაზო ხომალდი, 1 კრეისერი, 1 ნაღმოსანი, 4 ტანკერი, და 23 სატრანსპორტო გემი“ [37. 5].

წარმატებულმა თავდასხმებმა ბიძგი მისცა დივერსიულ-ტერორისტული საქმიანობის მეტად განვითარებას, როგორც იტალიელებისთვის, ასევე მოწინააღმდეგეებისთვის, კერძოდ ინგლისმა და ამერიკამ მოახდინეს მსგავსი დანაყოფების ფორმირება. სადივერსიო ტერორისტული დანაყოფები, მსგავსად იტალიელებისა, შექმნა გერმანულმა მხარემ, რომლემაც შექმნა მრავალფეროვანი დივერსიულ ტერორისტული დანაყოფები მათ შორის მებრძოლი მყვინთავები, რომლებმაც „1944 წლის 29 სექტემბერს გერმანელმა მებრძოლმა მყვინთავებმა ნაიმეგენიდან 10კმ-ში ააფეთქა რკინიგზის ხიდი და პირველი და მეორე ავტოსაგზაო ხიდი“ [38. 163].

**საზღვაო სადივერსიო-ტერორისტული** დანაყოფები იტალიელების დახმარებით და მიბაძვით შეიქმნა გერმანიაშიც, როგორც ძირითადი ძალების დანამატი. მეორე მსოფლიო ომის დროს ასეთ დანაყოფს წარმოადგენდა გერმანიის საზღვაო ფლოტში შექმნილი დანაყოფი „Kleinkampfverband" „მცირე ბრძოლების დანაყოფი", რომელიც შემოკლებით იწოდებოდა დანაყოფი „K". „შენაერთ „K"-ს შეუძლია იყოს მთავარი ძალების დანამატი და არ შეუძლია მათი შეცვლა" [38. 10].

მეორე მსოფლიო ომის დროს მიღებულმა გამოცდილებამ და საზღვაო დივერსანტების ეფექტურმა ქმედებებმა ბიძგი მისცა საბჭოეთს შეექმნა ანალოგიური დანაყოფები. დღეს სევასტოპოლის პორტში განთავსებულ **რუსული შავი ზღვის** სამხედრო ფლოტში შედის სადივერსიო დანაყოფები, რომელთა მოვალეობაა სამხედრო პორტის დაცვა და დივერსიულ-ტერორისტული აქტები მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე, მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის გატაცება, განადგურება, წყალში თუ ხმელეთზე, დასახული საბრძოლო ამოცანის მიხედვით მოქმედება. ასევე მოწინააღმდეგის პორტში მდგარი საბრძოლო საშუალებების განადგურება, მწყობრიდან გამოყვანა, გატაცება, დივერსიულ-ტერორისტული აქტები ხმელეთზე. „საბჭოეთის დაშლის შემდგომ, გვიწევს შევქმნათ ახალი სტრუქტურა წყალქვეშა სადაზვერვო-სადივერსიო სპეცდანაყოფებისთის. ამჟამად არსებობს ჩრდილო, წყნარი ოკენაეების, ბალტიისა და შავი ზღვის ფლოტის დაახლოებით 20 დანაყოფი, წყალქვეშა დივერსანტების წინააღმდეგ საბრძოლველად" [39].

**საქართველოს საზღვაო** ფლოტის ხელმძღვანელობამ ვერ გაითვალისწინა, საფრთხის არსებობა საზღვაო სწავლებებისას, რა დროსაც საქართველომ დაკარგა და დღმდე ვერ იპოვა ორი მყვინთავი, რომლებიც ჩვენი აზრით, ჩატარებული დივერსიულ-ტერორისტული აქტის შედეგად გატაცებულნი იქნენ რუსი მებრძოლი მყვინთავების მიერ, რომლებიც დისლოცირებულნი არიან ნოვოროსიისკში. ძებნისას ქართულმა მხარე დახმარებისთვის თურქეთს მიმართა. „თურქეთის საზღვაო ფლოტის გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა შავიზღვისპირეთში ჩატარებული საზღვაო წვრთნების დროს დაკარგული 2 ქართველი მყვინთავის ძებნის მიზნით თურქეთისგან დახმარება ითხოვა" [40].

კვლევა გვიჩვენებს, რომ პროფესიონალიზმის არსებობის შემთხვევაში, ქართულ სარდლობას უნდა ცოდნოდა მოწინააღმდეგის არსებობის და სავარაუდო მოქმედებების შესახებ, ომის დაწყებამდე სავარაუდოდ რუსი დივერსანტების მიერ მოხდა არაერთი თავდასხმა საქართველოს სამხედრო ობიექტებზე მათ შორის პორტებში. კერძოდ რუსმა დივერსანტებმა მოაწყვეს თავდასხმა ფოთის სამხედრო პორტზე, სადაც საქართველოს სამხედრო ბაზიდან გაიტაცეს სამხედრო ტექნიკა. „ბაზაში

**შემოვიდნენ პროფესიონალი დივერსანტები,** რომლებმაც ააფეთქეს და ჩაძირეს: „თბილისი“, „დიოსკურია“, „წყალტუბო“, „აიეტი“, „ორბი“.

გამომდინარე აქედან, აუცილებელი იყო იმის გათვლა, რომ რუსეთი შეეცდება ხელი შეუშალოს საქართველოს სამხედრო სწავლებებს წყალზეც. აღნიშნული დივერსიის თავიდან ასაცილებლად შეიძლებოდა გატარებულიყო თავდაცვითი ღონისძიებები, მათ შორის სასონარო, სარადარო სისტემის გამართვით და თუნდაც მცირე მუხტის სიღრმის ბომბების გამოყენებით, რაც პროფილაქტიკურად იმოქმედებდა რუსული წყალქვეშა დივერსანტებზე. საჭიროა ვიცოდეთ, რომ „გრუ-ს სპეც დანაყოფებმა „ზღვის ეშმაკები“ მიიღეს მონაწილეობა პრაქტიკულად ყველა კონფლიქტში, რაშიც იყო ჩართული საბჭოთა კავშირი. „მათ შორის „ანღოლა, ვიეტნამი, ეგვიპტე, მოზამბიკი, ნიკარაგუა, ეთიოპია ამ და სხვა ქვეყნების ტეროოტორიებზე ომობდნენ საბჭოთა სპეცრაზმები „ვიმპელი“ და „დელფინი.“ [40].

აღსანიშნავია, რომ დანაყოფი **„ვიმპელი“ აფხაზეთის ომში** იღებდა მონაწილეობას და ის შემდგომშიც გააგრძელებს მოქმედებებს საქართველოს წინააღმდეგ. დივერსიულ-ტერორისტული აქტები სახელმწიფოს მიერ დაქვემდებარებული დანაყოფების მიერ შეიძლება წარმოებდეს მშვიდობიანობის დროსაც მოწინააღმდეგის მიმართ.

დივერსიულ-ტერორისტული აქტის, შემდგომ განვითარებას, რომ ჰქონდეთ სასურველი შედეგები აუცილებელია იდეოლოგიური ომის წარმოება. აგენტურული ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც იმუშავებენ ქვეყნის წინააღმდეგ. ასეთ ორგანიზაციები იქცევიან მე-5-ე კოლონად და მათი შემწეობით ადვილი ხდება სასურველი შედეგების მიღება. ე.წ. **„მეხუთე კოლონის“** წარმომადგენლები ხშირად ავნებენ საკუთარ ქვეყანას ფსევდოიდელაების სახელით, რაშიც მათ

დახმარებას მტრულად განწყობილი ქვეყნის სპეცსამსახურები, რომლებიც უწევენ კოორდინაციას, აიარაღებენ, განსაზღვრავენ განსაკუთრებულად სუსტ წერტილს ქვეყნისთვის, ამ მხრივ განსაკუთებული ყურადღება ეთმობა ქვეყნის ენერგო მომარაგებას და ამ წყაროების დაზიანება-მწყობრიდან გამოყვანას. „ჩემი მანქანის საბარგულში ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნი „RPG-7“ და მისი ხუთი ყუმბარაა“ [41. 283].

რუსეთის სპეცსამსახურები დღესაც ცდილობენ გალენა მოიპოვონ **გარემოს დამცველებზე,** რითაც შეძლებენ მათ ქვეყანაში ენერგოკრიზისის შექმნას. ასეთ სიტუაციაში ხდება დივერსიულ-ტერორისტული აქტიც, რომელიც მიმართულია ქვეყნის საწინააღმდეგოდ მაგალითად: „RPG-7 სროლა მხოლოდ ჯავშან ლიმუზინისთვის როდი შეიძლება. გარემოს დამცველს შეუძლია, პროტესტის ნიშნად, ატომურ რეაქტორს ესროლოს. ატომური აფეთქება არ გამოვა, მაგრამ გაზეთები ისეთ ამბავს ატეხენ, რომ დასავლეთს განიარაღება მოუწევს“ [41. 285].

უნდა ავღნიშნოთ, რომ საფრთხეს ქვეყნისთვის წარმოადგენს **ტურისტის ეგიდით „შემოსული“** რუსული სპეცრაზმების წარმოამდგენელები, რომლებიც ახდენენ ადგელზე დაზვერვას. აღნიშნული ინფორმაცია სპეცრაზმებისთვის გამოიყენება საბრძოლო დავალებების შესრულებისას, ხოლო ფიზიკურად იმ მარშრუტების გავლა, სადაც მოუწევთ „მუშაობა“ წარმატების შანსს აორმაგებს.

ქვეყნის პოლიტიკური კურსის რეალური განსაზღვრა ხდება სპეცსამსახურების მუშაობის სპეციფიკით. კრიტიკას ვერ უძებს საქართველოს მინისტრთა კაბინეტი 2008 წლის ომის დროს. საბჭოთა და შემდგომ რუსულ დივერსიულ საბოტაჟური ქმედებების აღსაკვეთად და რუსეთის აგენტურის ლუსტრაციისთვის ბალტიისპირელებმა გადადგეს გადა-მწყვეტი ნაბიჯები. ლატვიაში შექმნილია „ტოტალიტარიზმის შედეგების დოკუმენტაციის ცენტრი“. რუსეთის სპეცსამსახურების აგენტურის წინააღმდეგ ლიტვა და ესტონეთშიც დაწესდა გარკვეული შეზრუდვები. მსოფლიოში გავრცელებული „ინტერნაციონალური სოლიდარობის“ და სხვა ლოზუნგების მიღმა საბჭოთა სპეცსამსახურები იდგა, ეკონომიკური დივერსიები და საბოტაჟი საბჭოთა სპეცსამსახურების ყოველდღიური საქმიანობა იყო. „დივერსიულ დაჯგუფებებს კა-გე-ბეს პირველი მთავარი სამმართველოს (საგარეო დაზვერვა) მე-8 განყოფილება (საზღვარგარეთ დივერსიების, მკვლელობების და ტერაქტების

ძირითადი ორგანიზატორი) ამზადებდა ანალოგიური სტრუქტურა იყო შექმნილი სამხედრო დაზვერვაშიც“ [42].

საბჭოთა კავშირში, როგორც ამჟამად რუსეთში შექმნილი იყო უცხოელ **ტერორისტთა მომზადების ცენტრები.** საქართველოში ასეთი ცენტრი მდებარეობდა ქ. ლაგოდეხში სამხედრო ბაზაზე, ასევე ეშერის სამხედრო ბაზა. ასეთ სასწავლო ცენტრებში ემზადებოდნენ საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული და უცხოელი მომავალი დივერსანტ–ტერორისტები. „1980 წლიდან სიმფეროპოლთან ახლოს 165–ე სასწავლო ბაზაზე სადაზვერვო დივერსიული მომზადება (ხიდების, რკინიგზის, ავტომობილების აფეთქება თვითმფრინავების ჩამოგდება, მძევლების აყვანა და სხვა ტერორისტული სიბრძნე 20 ათასამდე მებრძოლმა გაიარა“ [42].

ნატოს და ვარშავის ხელშეკრელების ქვეყნები ერთმანეთთან საბრძოლველად ქმნიდენ ტერორისტულ ორგანიზაციებს.

## 1.3. სახელმწიფო ტერორიზმი

კვლევით ვსაზღვრავთ, რომ სახელმწიფო ტერორიზმი შეიძლება გულისხმობდეს ტერორისტული ქმედებების ჩადენას სახელმწიფოს მიერ, სხვა სახელმწიფოს, ან ჩადენილს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. „ერთ–ერთი ყველაზე დიდი საერთაშორისო დილემაა, ბალანსი ძალასა და დიპლომატიის შორის“ [32. 357].

საგარეო ტერორი შეიძლება იყოს, როგორც ომით დამუქრება „ომით დამუქრება, ყოველთვის იყო დიპლომატიური ხელსაწყო, რისი დახმარებითაც სახელმწიფოები ერთმანეთს მათთვის სასურველი ნაბიჯის გადადგმაში უშლიდნენ ხელს.“ [32. 316].

ტერორი განხორციელების მიხედვით შეიძლება დავყოთ:

ა) „სახელმწიფო ტერორი“, რომელსაც **ახორციელებს სახელმწიფო** ან მასთან დაკავშირებული სტრუქტურები.

ბ) „ტერორისტული ორგანიზაციები“ ან „ცალკეული პირები,“ „თანამედროვე მსოფლიოში აღინიშნება ტენდენცია რა დროსაც იშლება საზღვარი ომსა და მშვიდობას შორის. ომი ოფიციალურად აღარ ცხადდება, ხოლო დაწყების შემდგომ აღარ მიმდინარეობს ჩვეულებრივი შაბლონური მეთოდებით“ [43].

ჰიბრიდულ ომებში ჩართული არის, როგორც სახელმწიფო ასევე არასახელმწიფო მოთამაშე და გამოიყენება ყველა არსებული რესურსი მოწინააღმდეგის დასასუსტებლად.

ჰიბრიდული ომის შედეგად მოხდა საბჭოთა კავშირის დემონტაჟი. „ამერიკელმა რეალისტებმა აირჩიეს ორი მიმართულება: საბჭოთა კავშირს მაქსიმალურად უნდა გაეზარდა სამხედრო ხარჯები, რაც უფრო დააუძლურებდა საბჭოთა ეკონომიკას. მეორე – ამერიკელებს ფარული მოქმედებებით უნდა შეემცირებინათ საბჭოთა კავშირის სავალუტო შემოსავლები, რაც ენერგორესურსებზე ფასის დაცემით უნდა გამოსულიყო" [44. 15].

**„დივერსია-საბოტაჟი"** არის „ჰიბრიდული და ასიმეტრიული ომის" მთავარი შემადგენელი ნაწილი, რომელიც მიმართულია პოლიტიკური ეკონომიკური, რელიგიური, იდეოლოგიური გაერთიანებების წინააღმდეგ.

**„ასიმეტრიული ომის,"** მაგალითია საქართველო რუსეთის მიერ წარმოებული საბრძოლო მოქმედებები, რომლებიც დღემდე მიმდინარეობს. რუსეთ საქართველოს შორის დადებულ არაერთ სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ჩვენ ვისაუბრებთ მე-2-ე თავში. ასევე რუსეთის და ჩეჩნეთის პირველი და მეორე ომი, რა დროსაც „რუსეთი იძულებული გახდა 1997 წლის 12 მაისს ჩეჩნეთთან დაედო საზავო ხელშკრულება „მშვიდობისა და კეთილმეზობლურ ურთიერთობის თაობაზე." [45. 60].

„ასიმეტრიული ომის" წარმოებას თან ახლავს ტერორი ერთი ან მეორე მხარის მხრიდან, ძირითადად **ასიმეტრიული ომი არსი პასუხე სუსტი მხარის,** მასზე განხორციელებული სახელმწიფო ტერორის საპასუხოდ და თვითონაც შეიცავს აგრესორისადმი ტერორის ელემენტებს. ასიმეტრიულ ომს ხშირად იწყებს „მოჩვენებით" დამოუკიდებელი მხარე (თავს აჩვენებს, თითქოს მებრძოლების დამოუკიდებელი ჯგუფია და არ აქვს კავშირი რომელიმე ქვეყანასთან), თუმცა სინამდვილეში ფარულად დაკავშირებულია რომელიმე სახელმწიფოსთან ან სიმპათიები აქ ამ სახელმწიფოს მიმართ. აღნიშნული იწოდება **„არაპირდაპირ ომად" ან ომად შუამავლების მეშვეობით**. ასეთ დროს, სახელმწიფოები ებრძვიან ერთმანეთს შუამავლების მეშვეობით, აწვდიან მათ იარაღებს და სხვა რესურსებს და ამგვარად ცდილობენ სახელმწიფოს დასუსტებას.

**„არაპირდაპირი ომის“** კლასიკური მაგალითია რუსეთის მიერ უკრაინის კუთვნილი ყირიმის ნახევარკუნძულის „ანექსია,“ რომელიც განხორციელდა საბრძოლო მოქმედებების გარეშე. ასევე დონბასის და ლუგანსკის რეგიონების ფაქტიური „ანექსია.“

შედარებისთვის უნდა გავიხსენოთ 1990-1993 წლებში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულმა საბრძოლო მოქმედებებმა და გარკვეული ტერიტორიების ანექსიამ საქართველოს „ანექსირებულ“ ტერიტორიებზე წარმოშვა პარტიზანთა ჯგუფები, რომლებიც განაგრძობდენ ტერორისტულ-დივერსიულ საქმიანობას დამპყრობების წინააღმდეგ.

რუსეთის ჰიბრიდული ომი რამდენიმე მიზანს ემსახურება: შეასუსტოს ნატო; შეარყიოს დასავლური ან პროდასავლური მთავრობები; შექმნას ომის წინაპირობა ტერიტორიის დაპყრობისთვის; მიიღოს ეკონომიკური-პოლიტიკური სარგებელი. რადგან რუსეთი არის დიქტატურული სახელმწიფო ხელისუფლება ცდილობს შეინარჩუნოს მდგომარეობა და საკუთარი ხალხის მიმართ ეწევა იდეოლოგიურ ტერორს.

**რუსული ჰიბრიდული ომი სულ მცირე ორ მიზანს ისახავს:**

1. **ტერიტორიის დაპყრობა ღია სამხედრო დაპირისპირების გარეშე.** მაგალითია ყირიმის 2014 წლის ანექსია, როდესაც სპეციალური დანიშნულების ძალებმა გავლენის ჯგუფების დახმარებით და საინფორმაციო ომის ფონზე დაიკავეს ყირიმი;
2. **სამხედრო ჩარევისთვის წინაპირობების შექმნა.** რუსეთმა შეიძლება გამოიყენოს სამიზნე ქვეყანაში ეროვნული უმცირესობები კონფლიქტური კერის შესაქმნელად და „განმათავისუფლებლის“ ან „მშვიდობისმყოფელის“ სახით მოახდინოს მედიატორის როლის შესრულება, როგორც ამას საქართველოში აკეთებდა 2008წ. ომამდე.

რუსეთი ცდილობს სამიზნე ქვეყნის შიდა პოლიტიკური სიტუაცია მის ეროვნული ინტერესის სასარგებლოდ გარდაქმნას.

რუსეთის მხრიდან საქართველოში და უკრაინაში განხორციელებული დივერსიულ–ტერორისტული საქმიანობა შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც სრულყოფილი ჰიბრიდული ომის წარმოება. „გერასიმოვის დოქტრინის“ მიხედვით ახალია თაობის ომის წარმოების წესები რუსეთმა გამოიყენა, საქართველოში

სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ხოლო უკრაინაში ყირიმის და დონბასში სეპარატისტული კერების შექმნით და მათი ფაქტიური ანექსიით. თვითონ გერასიმოვი არ ხმარობს ტერმინს „ჰიბრიდული ომი“ მისთვის უფრო მისაღბია ტერმინი „ახალი თაობის ომი“ რუსეთის მიერ წარმატების მიღწევის საწინდარია მის მიერ წარმოებული იდეოლოგიური დივერისა-ტერორი სამიზნე ქვეყნის მოსახლეობის წინააღმდეგ. მართალია რუსეთი უარყოფს მის მონაწილეობას, მაგრამ ეს ჰიბრიდული ომის ნაწილია ამ შემთხვევაში გამოიყენება იდეოლოგიური დივერსია რათა უარყონ განხორციელებული ანექსია. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ტერორის ელემენტები ყოველთვის შეიგრძნობა ანექსიის მიმდინარეობისას.

„21-ე საუკუნის ომმა შეიძინა აქამდე არნახული განზომილებები. აწი მთავარი ის კი არ არის ვისმა არმიამ გაიმარჯვა არამედ, ვისი ისტორია არის უფრო დამაჯერებელი [46. 5].

უკრაინამ რუსეთს ადეკვატურად უპასუხა სამართლებრივ სფეროში და **„უკრაინის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის** საქმე ფაქტზე „რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო მოხელეების მიერ უკრაინის წინააღმდეგ „ჰიბრიდული ომის“ წარმოების შესახებ. უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 437-ე მუხლით დაგეგმვა, მომზადება დაწყება აგრესიული ომის ან კონფლიქტის დაწყება ან მონაწილეობა შეთქმულებაში ასეთი მოქმედებების შესასრულებლად.“ [47]

სახელმწიფოს მიერ წარმოებული **ტერორისტული ომი აუცილებლად ეყრდნობა სიცრუეს,** რადგან არცერთი სახელმწიფო არ ცდილობს მსოფლიოს თავი აჩვენოს აგრესორად და ყოველთვის ცდილობს მის მიერ განხორციელებული ქმედებები ახსნას სამართლებრივად და თავის ან სხვისი დაცვის აუცილებლობით. აგრესიის განხორციელებამდე მე-5 კოლონის მეშვეობით ხდება იდეოლოგიური ტერორის განხორციელება სახელმწიფოს დასუსტების და საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში მისი აგრესიული და დიქტატორული სახელმწიფოს იმიჯის შექმნა და სახელმწიფოს დისკრედიტაცია, რითაც ხდება მხარდამჭრთა ჩამოცილება.

რუსეთის სპეცსამსახურები მოწინააღმდეგის მიმართ ფართოდ გამოიყენებს იდეოლოგიურ დივერსიას რითაც ამართლებს მის აგრესიულ ქმედებას.

**„იდეოლოგიური დივერსია:** ერთ-ერთი ძირითადი ძირგამომთხრელი ფორმა სადაზვერვო და სხვა სპეცსამსახურების, მათ იდეოლოგიურ პროპაგანდისტულ ცენტრებში, რომლებიც წარმოადგენს სააგიტაციო პროპაგანდისტულ ან ორგანიზებული სადაზვერვო ქმედებებისას.“ [48].

წარმოებული იდეოლოგიური დივერსიის შედეგად რუსეთი იყენებს საქართველოში და უკრაინაში შექმნილ სიტუაციას რითაც ახდენს ქვეყნის დოსკრედიტაციას. მაგალითად, საქართველოს დისკრედიტაციისთვის რუსეთის პრემიერ–მინისტრი ვ. პუტინი აცხადებდა, რომ ქართულმა მხარემ დაიწყო საბრძოლო მოქმედებები ხოლო ჯარმა დაბომბა მძინარე ცხინვალი სადაც ორი ათასზე მეტი ოსი მშვიდობიანი მოსახლე გაანადგურა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ქ. ცხინვალის ევაკუაცია გრუსეთის მიერ განხორციელდა ერთი კვირით ადრე საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე, ხოლო ცხინვალში განთავსდა რუსული სპეცდანაყოფები. პუტინის განცახდებას საფუძვლად დაედო „საქართველოს განათლების მინისტრის ლომაიას განცხადება ტელევიზიით, რომ: ცხინვალი აღგვილია პირისაგან მიწისა“ [49].

თავის მხრივ, იყო პროვოკაციული ტყუილი და რუსულმა მხარემ ის გამოიყენა განხორცილელებული აგრესიის გასამართლებლად, ქართველი მინისტრის ასეთი განცხადება სერიოზული პოლიტიკური აქტია. რუსული პროპაგანდის მიერ ასევე გამოყენებული იქნა საქართველოს პრეზიდენტის განცხადება. „კითხვაზე განვახორციელეთ თუ არა ჩვენ სამხედრო მოქმედებები აგვისტოს დასაწყისში იმისთვის, რომ აგვეყვანა კონტროლქვეშ ცხინვალი და ის ტეროტორიები, რომლებსაც ვერ ვაკონტროლებდით, მე ვაცხადებ, რომ დიახ, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გვეწარმოებინა სამხედრო მოქმედებები ცხინვალის რეგიონში. _ თქვა საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა“ მ. სააკაშვილმა [50].

აღნიშნული და სხვა განცხადებები ფართოდ გამოიყენება რუსეთის პოლიტიკოსების მიერ. ამ განცხადებებში იკარგება სიმართლე, იმის შესახებ, რომ საბრძოლო მოქმედბების დაწყებამდე ცხინვალი იყო დაცლილი მოსახლეობისგან და იქ განლაგებული იყო რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო მთავარი სამმართველოს სპეცნაწილები და ოსი სეპარატისტები. 58–ე არმიის დანაყოფები

უკვე შემოსული იყო ჯავის რაიონში, ხოლო აფხაზეთიში გაძლიერდა რუსული საარმიო დანაყოფები.

ამ კონფლიქტის მეშვეობით რუსეთმა უბრძოლველად მიითვისა კოდორის ხეობა სადაც არ მიმდინარეობდა დაპირისპირება. იგივე სცენარით მოქმედებდა რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ, განხორციელებული იდეოლოგიური ტერორის დროს რუსეთი უკრაინის ხელისუფლებას უწოდებდა ფაშისტებს. რუსეთის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომის და გატარებული სახელმწიფო ტერორის შედეგად უკრაინის ტერიტორიაზე შეიქმნა რამდენიმე უკონტროლო კერა კერძოდ; რუსეთმა თავის შემადგენლობაში შეიყვანა ყირიმის ნახევარ კუნძული, ხოლო დონეცკის და ლუგანსკის ოლქებში შექმნა სეპარატისტული რეგიონები და განხორციელებული სახელმწიფო ტერორის შედეგად განდევნა უკრაინული მოსახლეობა. ზემოხსენებულ რეგიონებში რუსეთი დღემდე ეწევა იდეოლოგიურ დივერსიას მოსახლებასთან და სახელმწიფო ტერორის მეშვეობით აკონტროლებს აღნიშნულ ტერიტორიებს. დაპირისპირებების წარმოშობისას მთავარი ყურადღაება უნდა ეთმობოდეს მოტივის ცოდნას თუ იცი მოწინააღმდეგის მიზანი შეძლებ მას დაუპირისპირდე. „იცოდე წინასწარ მოწინააღმდეგის მიზანი ნიშნავს, იმოქმედო, როგორც ღმერთი“ [51. 4].

**იდეოლოგიური დივერსიის** გატარებისას გამოიყენება ქვეყანაში არსებული პრობლემური საკითხები, რასაც ერთი შეხედვით პოლიტიკასთან არ აქვს კავშირი. დარტყმის ძირითადი სფეროა ასეთია: ზნეობის სფერო, კულტურული მემკვიდრეობა, ტრადიციები, დამკვიდრებული ჩვევები რა დროსაც ხორციელდება არაპირდაპირი შეტევა „ერმა შეიძლება ბევრი დაკარგოს, განიცადოს კატასტროფა და კვლავ შეძლოს წამოდგომა, ყველაფერს დაკარგავს და ვეღარასდროს წამოდგება თუ იგი დაკარგაცს სულს“ [8. 39].

**ზეწოლა ხდება ყოველდღიურ ცხოვრების წესზე,** შეხედულებებზე. ასეთი იდეოლოგიური ტერორით დათრგუნული მოსახლეობა ხდება უკმაყოფილო არსებული წყობილებისა, უჩნდება უნდობლობის, დაუცველობის და უსამართლობის გრძნობა, რის შემდგომ ადვილად ხდება იდეოლოგიური დივერსიის მსხვერპლი. ერთმანეთისთვის მტრულად განწყობილ ქვეყნებში ბრძოლის მეთოდად იდეოლოგიური დივერსია დიდი ხანია გამოიყენება, მაგრამ

განვითარებული საკომუნიკაციო საშუალებების პირობებში იდეოლოგიური დივერსია ტერორის ფორმას იძენს და განსაკუთრებულად ეფექტური ხდება.

„იდეოლოგიური დივერსია ხორციელდება პოლიტიკის, ფილოსოფიის, სამართლებრივ-ზნეობრივ, ესთეტიკურ, რელიგიურ და სხვა იდეურ სფეროში იქ, სადაც ხდება იდეათა ჭიდილი.“ [52].

საბჭოთა კავშირში „იდეოლოგიური მიმართულებით“ სამუშაოდ 1967 წელს შეიქმნა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის 5-ე სამმართველო, რომლის მოვალეობაში შედიოდა ბრძოლა „იდეოლოგიური დივერსიის წინააღმდეგ“. იდეოლოგიური დივერსიის საბოლოო ამოცანაა: „არსებული სახელმწიფო წყობილების ლიკვიდაცია ან მათი იმდენად დასუსტება, რომ შეიარაღებული აგრესიისას ვერ გაუწიონ სათანადო წინააღმდეგობა.“ [48]

რუსეთი, როგორც სახელმწიფო ფართოდ იყენებს ტერორის მეთოდებს სხვადასხვა ფორმით კერძოდ: ხაზს უსვავს ბირთვული საფრთხის შესაძლებლობებს მისი მხრიდან, რაც ბირთვული ტერორის სახეს იძენს.

„პუტინის თქმით, მის წინააღმდეგ არსებული ტექნოლოგიები უძლურია; ამიტომ რუსეთს უნდა მოუსმინონ; რუსეთის შეკავება ვერ მოხერხდა, მაგრამ ის არავის ემუქრება“ [53].

**იდეოლოგიური დივერსია-ტერორი** ჩვენი აზრით შეიცავს: წინასწარ ცრუ და დეზორიენტაციის მატარებელ ინფორმაციას, სიმართლესთან და ფაქტებთან შერეულ ან საერთოდ შეუსაბამო ინფორმაციას, პროპაგანდის ან დეზორიენტაციისთვის. ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის დესტა–ბილიზაციის გამოწვევის და სახელმწიფო მანქანის დისკრედიტაციის მიზნით. საქართველოს რეალობაში რუსეთი ეწევა ფარულ ტერორისტულ-ჰიბრიდულ ომს, რომლის ფორმები იმდენადაა გადახლართული ერთმანეთში, რომ მათი ცალკე გამოყოფა შეუძლებელი ხდება და სახელმწიფოს მოვალეობაა ისინი განიხილოს კომპლექსურად, ერთი გამაერთიანებელი სიტყვით ჰიბრიდული ომი სახელმწიფოსა მიერ წარმოებული ტერორი, რომელიც ამ ბოლო დროს დამკვიდრდა პოლიტიკურ ლექსიკონში, თუმცა მათი ფორმები ყოველთის არსებობდა.

**იდეოლოგიური დივერსიის საბოლოო** ამოცანაა: „არსებული სახელმწიფო წყობილების ლიკვიდაცია ან მათი იმდენად დასუსტება, რომ შეიარაღებული აგრესიისას ვერ გაუწიონ სათანადო წინააღმდეგობა“ [48].

ეს არის დივერსია და ტერორი მიმართული ადამიანების გონების წინააღმდეგ. პროპაგანდის საშუალებით ხდება ტყუილის დაკანონება, ყალბი აზრის და ღირებულებების შექმნა, რითაც ხდება მასების დამორჩილება. პროპაგანდა ეს არის ცნობები, რომლის გავრცელებაც ვიღაცას აწყობს, პროპაგანდის მთავარი ამოცანაა დაამტკიცოს, რომ ის არ არის პროპაგანდა და წარმოადგენს არსებულ ჭეშმარიტებას. „შემაკის ყველაზე დიდი ამოცანაა - დააუმტკიცოს ყველას, რომ ის არ არსებობს. მხოლოდ ასე შეიძლება მიზნის მიღწევა“ [54. 113].

საბჭოთა სპეცსამსახურების სამიზნე ყოველთვის იყო საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა დაფინანსების უდიდესი წილი დღესაც რუსეთზე მოდის. „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სრულიად საიდუმლოდ“ 26.09.1978 წ. ამონაწერი ცკ სამდივნოს ოქმიდან N126 ოქმი. „მიღებულ იქნას გადაწყვეტილება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს 1978 წ. ბიუჯეტში დამატებით 150 ათასი აშშ დოლარის შეტანის შესახებ“ [55. 21].

თანასწორობის, სოლიდარობის და სხვა ლოზუნგების მიღმა ყოველთვის საბჭოთა სპეცსამსახურები იდგა, ეკონომიკური დივერსიები და საბოტაჟი საბჭოთა სპეცსამსახურების ყოველდღიური საქმიანობა იყო. საბჭოთა სპეცსამსახურები თითქმის ყველა ტერორისტულ ორგანიზაციას უწევდა დახმარებას. „სამხედრო დივერსიულ დაჯგუფებებს კა-გე-ბეს პირველი მთავარი სამმართველოს (საგარეო დაზვერვა) მე-8 განყოფილება (საზღვარგარეთ დივერსიების, მკვლელობების და ტერაქტების ძირითადი ორგანიზატორი) ამზადებდა ანალოგიური სტრუქტურა იყო შექმნილი სამხედრო დაზვერვაშიც“ [42].

ვ. პუტინის რუსეთის ხელისუფლების სათავეში მოსვლით დაიწო „გამოცხადებული სახელმწიფო ტერორი“ რუსეთის სპეცსამსახურება დაიწყეს ნადირობა ყველა იმ ადამიანზე, ვისაც თვლიდენ მოწინააღმდეგედ. **პოლიტიკური მკვლელობები არის სახელმწიფო ტერორის** ერთერთი ფორმა, პოლიტიკური მკვლელობები სამწუხარო რეალობაა და თვე არ გავა, რომ მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში შეკვეთილი მკვლელობის მსხვერპლი არ გახდენენ პოლიტიკოსები,

ჟურნალისტები, ბიზნესმენები თუ სახელმწიფო მოხელეები. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრამა ტერეზა მეიმ განაცხადა, რომ სკრიპალები მოწამლეს სამხედრო ნერვულ-პარალიტიკური ნივთიერებით და განეკუთვნება „ნოვიჩოკის" ტიპს, რომელიც რუსეთში მზადდება. „დიდი ბრიტანეთი სკრიპალისა და მისი ქალიშვილის მოწამვლის გამო რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებასთან ყველა დონის ურთიერთობას წყვეტს. პოლიციის ინფორმაციით, მათ მოსაწამლად ნერვების პარალიზების გამომწვევი ნივთიერება გამოიყენეს" [56].

უკანასკნელ წლებში ბრიტანეთში საეჭვო ვითარებაში დაიღუპა ორი ათეული რუსი ბიზნესმენი, პოლიტიკოსი ყველა მათგანი რუსეთის პრეზიდენტის ვ. პუტინის პირადი მტრები იყვნენ. ალექსანდრე ლიტვინენკო რუსეთის სპეცსამსახურების ყოფილი ოფიცერი გარდაიცვალა ლონდონში 2006 წელს 2 3 ნოემბერს მოწამლეს პოლონიუმით.

ჟურნალისტი დანიელ მაკგრეგორი, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის გამო ლიტვინენკოს მკვლელობას იკვლევდა 2007 წელს სახლში გარდაცვლილი იპოვეს. იული გოლუბოვი რუსი ბიზნესმენი 2007 წელს გარდაცვლილი იპოვეს. ბადრი პატარკაციშვილი გარდაიცვალა ლონდონში. ბორის ბერეზოვსკი ლონდონში სახლში ჩამომხრჩვალი იპოვეს 2013 წელს. რუსეთის სპეცსამსახურების ასეთი მოქმედების მიზეზი ტერორის დანერგვა იყო ყველა მათ მიმართ, ვინც გაბედავდა წინააღმდეგობა გაეწია კრემლისთვის.

აუცილებელია გავიხსენოთ რუსეთის იდეოლოგიური მტერი ლეხ კაჩინსკის საეჭვო გარდაცვალება, რომელიც დაპირსპირებული იყო პუტინთან, ხოლო რუსეთში გაემგზავრა კატინის მსხვერპლთა პატივსაცემად. „პოლონეთის პროკურატურამ ლეხ კაჩინსკის მკვლელობის გამო, რუსეთს ოფიციალურად დასდო ბრალი. პოლონეთის პრეზიდენტი 2010 წელს მომხდარ ავიაკატასტროფაში გარდაიცვალა." [57]

ეს ფაქტი შეიძლება მივაკუთვნოთ ტერორს, რადგან ყველასთვის გასაგებია, რომ პუტინის იდეოლოგიურ მტერს პრეზიდენტობაც კი ვერ იცავს და საეჭვოა, როდესაც ზოგიერთი პოლიტიკოსი თავს პუტინს იდეოლოგიის მტრად აცხადებენ და მსოფლიოს მასშტაბით თავისუფლად დასეირნობენ.

ჩვენი აზრით, იდეოლოგიური დივერსია მიმართულია ქვეყნის ერთიანობის წინაარმდეგ, დაასუსტოს და შემდგომ დაიმორჩილოს ქვეყანა ან მოქმედი

სახელმწიფო ინსტიტუტები, ამიტომ იდეოლოგიური დივერსიის გატარებისას ინიღბება ნამდვილი მიზანი. ,,იდეოლოგიური დივერსია არის მართალსაწინააღმდეგო ჩარევა სხვა სახელმწიფოს საქმიანობაში“. [58]

საბჭოთა კავშირში ,,იდეოლოგიური მიმართულებით“ სამუშაოდ 1967 წელს შეიქმნა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მე-5 სამმართველო, რომლის მოვალეობაში შედიოდა ბრძოლა ,,იდეოლოგიური დივერსიის წინააღმდეგ“. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომ რუსეთის სპეცსამსახურებმა მუშაობა გააძლიერეს ყოფილი პოსტსაბჭოური ქვეყნების წინააღმდეგ იდეოლოგიური დივერისიის კუთხით. რუსული სპეცსამსახურების არსებული პრაქტიკით ანტისახელმწიფოებრივად და იდეოლოგიური დივერსიის გამტარებელ ორგანიზაციებს, არასამთავრობოებს უნდა ჰქონდეთ ზუსტად იმის საპირისპირო დასახელება, რასაც ისინი საქმიანობენ. ,,იდეოლოგიური დივერსია ხოცილედება პოლიტიკის, ფილოსოფიის, სამართლებრივ ზნეობრივ, ესთეტიკურ, რელიგიურ და სხვა იდეურ სფეროში, იქ, სადაც ხდება იდეათა ჭიდილი“ [52].

წარმოუდგენელია სახემწიფო ტერორის წარმოება **დეზინფორმაციული ტერორის** გარეშე. ,,დეზა“ როგორც მას უწოდებენ სპეცსამსახურებში, არის აშკარა ცრუ ინფორმაცია, ფაბრიკაციის შექმნა, გავრცელება წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. დეზინფორმციის გაძლიერება ხდება ქვევანაში არჩევნების ჩატარებისას ან რაიმე სხვა პოლიტიკური, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ძვრებისას. განსაკუთრებით გამოიყენება ნახევრად სიმართლის ფაქტორი, როდესაც სიმართლე მახინჯდება და ეძლევა საწინააღმდეგო სახე. საბჭოთა სპეცსამსახურების მემკვიდრე რუსეთის სპეცსამსახურები აგრძელებენ საბჭოთა ტრადიციებს ,,ბოროტების იმპერიისა.“ დეზინფორმაციული ომის გამოყენების დროს ვრცელდება მაქსიმალურად დამაჯერებლად სიმართლის და ტყუილის შერევა, რაც დეზინფორმაციას ხდის მაქსიმალურად დამაჯერებელს.

**ფსიქოლოგიური ტერორი** გულისხმობს პროპაგანდის და სხვა ფსიქოლოგიურ საშუალებათა გამოყენებას, რათა მოხდეს, როგორც მტრის, ასევე მეგობრების მორალზე, ემოციებზე, შეხედულებებსა და ქცევებზე ზეგავლენა. ფსიქოლოგიური ომის სამიზნე შეიძლება იყოს მთავრობები, ორგანიზაციები, ჯგუფები, ცალკეული ინდივიდები ან ერთდროულად რამდენიმე ან ყველა მათგანი.

**ფსიქოლოგიური საბოტაჟი** გამოიყენება, როგორც აგრესიის არაპირდაპირი საშუალება. აგრესიისგან თავდაცვა რთულია და ერთადერთი თავდაცვის მეთოდი, კონტრ-ფსიქოლოგიური ომის წარმოებაა, რასაც მეცნიერული შესწავლა სჭირდება. ტერორიზმი ფსოქოლოგიური ომის ნაწილია. „ტერორიზმი როგორც სოციალურ-პოლიტიკური გამოვლინება. მასთან ბრძოლა თანამედროვე პირობებში" [59].

მსგავს მონოგრაფიებს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მეტოდოლოგიის ჩამოყალიბებაში.

დივერსია-საბოტაჟისას ფართოდ გამოიყენება კომპიუტერული პროგრამები (ვირუსები), საწარმოს კომპიუტერული მართვის სისტემაში გასავრცელებლად. ფიქოლოგიური ტერორის ერტერთი ფორმაა ტროლინგი.

**ტროლინგი – „**ინტერნეტქსელურ კომუნიკაციაში ჩარევა ბოროტი განზრახვით, რომლის მიზანიცაა კომუნიკაციის მონაწილეთა შორის სიძულვილის, სიბრაზის, კონფლიქტის გაღვივება შეგნებულად თუ შეუგნებლად ცრუ და გაყალბებული ინფორმაციის გავრცელებით" [60].

ე.წ. „ტროლების" გამოყენება დაიწყო ბევრმა ქვეყანამ, მათი დანიშნულებაა დეზინფორმაციის გავრცელება და მოსახლეობის ტერორი ან პირიქით ასეთის აღკვეთა. „ტროლები არიან სპეცსამსახურებზე მომუშავე აგენტურული ორგანიზაციები. ე.წ. „ტროლების ქარხანა" 30 ქვეყანაში მუშაობს, რომლებიც სოციალურ ქსელებში კომენტარებს სახელმწიფო სტრუქტურების მითითებით ტოვებენ. [61].

*თუ ავიღებთ ამერიკის მაგალითს „ტროლები" უფრო აღვივებენ და ამწვავებენ პრობლემურ თემებს, რომელიც ამერიკის საზოგადოებაში დაპირისპირებას იწვევდა. ალექს სტამოსის ვარაუდით, „150 ათასი დოლარის რეკლამას დაახლოებით 130 მილიონი ამერიკელი გაეცნო, ანუ რუსეთიდან მართული „ტროლები" აშშ-ის მოსახლეობის 40 პროცენტზე მეტს ტვინს უწამლავდა [62. 32].*

ამერიკაში ამ დროს იყო გააქტიურებული უფლება დამცველი ორგანიზაციები, რომლებიც მართავდნენ მიტინგებს ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების დასაცავად. „2016 წელს „ტროლების ფაბრიკა" მიტინგების ორგანიზებითაც იყო

დაკავებული. მაგალითად, ივენისში გაიმართა მიტინგი სლოგანით „მხარი დაუჭირე ჰილარის, გადაარჩინე ამერიკელი მუსლიმები“ [63].

16 თებერვალს სპეციალური პროკურორის, რობერტ მიულერის მიერ მოწვეულმა კოლუმბიის ოლქის ფედერალურმა დიდმა ჟიურიმ სამ ორგანიზაციას ამერიკის საარჩევნო პროცესში ჩარევისათვის ოფიციალური ბრალდება წაუყენა. რუსეთის ხელისუფლებამ სოციალური ქსელების ფარული ზემოქმედებით წარმატებას მიაღწია დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გამოსვლის რეფერენდუმზე ზემოქმედებისას ასევე კატალონიის ესპანეთიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოყოფის მხარდასაჭერად სოციალური ქსელების გამოყენება. ბრიტანულმა გაზეთმა „თაიმსმა“ გამოაქვეყნა, რომ „2016წლის რეფერენდუმის დროს სოციალურ ქსელ ტვიტერის რუსმა მომხმარებლებმა 48 საათის განმავლობაში ბრექსიტის შესახებ 45 ათასამდე შეტყობინება გააგზავნეს და ბრექსიტის მხარდაჭერესკენ მოუწოდებდენ“ [64].

ესპანეთის მთავრობამ რუსი ჰაკერები კატალონიის კრიზისში ჩარევაში დაადანაშაულა. კიბერტერორისტების მიერ შექმნილი პროგრამების წყალობით კომპიუტერები მფლობელისგან დამოუკიდებლად ჰაკერების დავალებას ასრულებენ. „2007 წლის აპრილ მაისში, ერთი თვე დიდი შეფერხებით მუშაობდა ესტონეთის პრეზიდენტის, პრემიერ მინისტრის, პარლამენტის, მინისტრების, ბანკების, გაზეთბის საიტები.“ [62. 34].

**კიბერტერორიზმს** გამოყოფენ, როგორც ტექნოლოგიური ტერორიზმის ერთ-ერთ სახეს. ბოლო დროს კონფლიქტებსა და ომებში სამხედრო ოპერაციების პარალელურად გამოყენებულმა კიბერშეტევებმა აჩვენა, რომ მისი საშუალებით შესაძლებელია მნიშვნელოვანი ტაქტიკურ-ტექნიკური უპირატესობის მოპოვება კომპიუტერული სისტემების მართვიის დაზიანებით შესაძლებელია იქნეს მიღებული ისეთივე ეფექტი, რაც საჯარისო დანაყოფების მოქმედებისას მიიღება.

**ქიმიურ და ბიოლოგიური ტერორი** ამ იარაღს „ღარიბების ბირთვულ იარაღს“ უწოდებენ მათი შექმნის გაცილებით სიმარტივის გამო, რითაც ის ტერორისტებისთვის უფრო ხელმისაწვდომია. *ჩეჩნეთის ომის დროს რუსეთმა რამდენჯერმე გამოიყენა ქიმიური იარაღი მათ შორის ყოფილი სირიის არმიის ოფიცრის, შემდგომში ისლამისტი ტერორისტის „ჰატაბის მოწამვლისას. როგორც*

*ირკვევა, 2002 წელს ის ერთ-ერთმა კურიერმა გასცა. მან ჰაბატს მოწამლული წერილი მიუტანა, რომლის წაკითხვის შემდეგაც ის 3 დღეში გარდაიცვალა [65].*

რუსეთის სპეცსამსახურებს, როგორც საბჭოთა კავშირის მემკვიდრეებს მდიდარი გამოცდილება აქვთ ქიმიური იარაღის გამოყენებაში. „გამოითქმის შეშფოთება, რომელიც ეხება არა მხოლოდ რუსეთის ოფიციალურ პოლიტიკას, არამედ ტერორისტებისა და სხვა სახეების მიერ კომპლექსებთან ხელმისაწვდომობის გაჩენას." [32. 383].

**ბიოლოგიური იარაღი** (ბაქტერიოლოგიური იარაღი) მასობრივი განადგურების იარაღის ერთ-ერთი სახეობაა." [32. 383].

პრობლემას ქმნის ორმაგი გამოყენების საკითხი. „ძნელია განასხვავო ფარმაკოლოგიური და ბიოაგროკულტურული კვლევები ბიოლოგიური იარაღის კვლევებისგან" [32. 383].

**ქიმიური იარაღის,** ტერორის საფრთხე: კავკასიაში ერთ-ერთი მსხვილი მინერალური სასუქების მწარმოებელი „რუსთავის აზოტი" 1973 წლიდან აქარმოებს ნატრიუმის ციანიდს. ნატრიუმის ციანიდი გამოიყენება ოქროს მოპოვებისას, მზადდება ციანიდის აბაზანები, კაუსტიკური სოდა და ა.შ.

**ენტიმოლოგიური ტერორი** არის ბიოლოგიური ან ქიმიური ტერორის ტიპი, რომელიც გამოიყენება მწერებით სხვადსხვა სახის დაავადებების გვრცელებისთვის, რასაც ფართოდ გამოიყენებნ სპეცსამსახურები, რადგან მისი მტკიცების არავითარი საშუალება ფაქტიურად არ არსებობს.

**ბირთვული ტერორი,** არის სამხედრო კონფლიქტი ან პოლიტიკური სტრატეგია, როდესაც, ბირთული იარაღის გამოყენება ხდება მოწინააღმდეგეზე ზიანის მისაყენებლად მაგრამ მოქმედებს, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის ტერორის უტყუარი იარაღი. „ტერორისტებს სჭირდებათ მხოლოდ 25 კგ. გამდიდრებული ურანი ან 8 კგ. პლუტონიუმი ატომური ბომბის დასამზადებლად." [32. 381]

**„გეოფიზიკური ტერორიზმი"** 1970-იან წლებში შემუშავდა გეოფიზიკური იარაღი, რომელიც სახელმწიფოებს შორის გახდა ტერორის იარაღი. მოწინააღმდეგეს შეუძლია გამოიწვიოს ბუნებრივი კატაკლიზმები. ხელოვნური მიწისძვრა, კოკისპირული წვიმა, ცუნამი. „გეოფიზიკური ომები გულისხმობს: ლითოსფეროში, ჰიდროსფეროსა და ატმოსფეროში პლანეტის მყარ, თხიერ, და

გაზისებრ გარემოში მიმდინარე ფიზიკურ, ქიმიურ და სხვა ბუნებრივ პროცესებზე ხელოვნურ ზემოქმედობას [66. 7].

ასევე საბრძოლო მოქმედებების დროს სამხედრო მიზნებისათვის მოწინააღმდეგეზე დარტმის მიყენებას.

# თავი II
# ტერორიზმი და მისი აღქმა საქართველოში

## 2.1. ტერორიზმის გამოვლინება საქართველოს რეალობაში, საფრთხეები და გამოწვევები

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო შეიქმნა ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობის, ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის, მართლწესრიგის უზრუნველყოფის, კრიზისული სიტუაციების მართვის, პრევენციის და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მიზნით. საბჭოს პირველი მდივანი იყო ნუგზარ საჯაია.

შემდგომ დაინიშნა ყოფილი „საბჭოთა დიპოლმატი თედო ჯაფარიძე, ხოლო ვარდების რევოლუციის შემდგომ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტზე მცირე ხნით იყვნენ მერაბიშვილი, ბეჟუაშვილი, კემულარია, ლომაია, ტყეშელაშვილი, ბოკერია, რაც ადასტურებს, რომ უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელები ხშირად იცვლებოდნენ “ [67. 25].

მნიშვნელოვანია ის რომ ქვეყანას ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, ნაკლებ კონკრეტულად არ არის განსაზღვრული სტრატეგია მეზობელ სახელმწიფოთან, განსაკუთრებით კონფლიქტის და ჰიბრიდული ომის წარმოების პირობებში, არსებული საფრთხეები. ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია განისაზღვრება მისი პოლიტიკური კურსიდან გამომდინარე. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ეწეოდა ჰიბრიდულ ომს პერმანენტული საბრძოლო მოქმედებებით, რაც მნიშვნელოვანი საფრთხე აქვეყნისთვის.

წლების განმავლობაში მიმდინარე საჰაერო დაბომბვის მიზანი იყო საქართველოს ხელისუფლების ტერორი, რასაც სამხედრო ენაზე „მომქანცველი

ცეცხლი“ ქვია, რომლის მიზანია არ მისცე მოწინააღმდეგეს მოღუნების საშუალება და ხშირი შეწუხებით, გყავდეს მუდმივ ტერორში, რაც განსაკუთრებით აზიანებს, ტერორში მყოფი სახელმწიფოს უსაფრთხოებას. სახელმწიფო სტრატეგია ყალიბდება საფრთხის შეფასებით, სამოქმედო კურსით. სტრატეგიის მიხედვით მუშავდება ეროვნული უსაფრთხოების პროგრამები საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება მთავარ გამოწვევად განიხილავს რუსეთის ფაქტორს. გასათვალისწინებელია, რომ 2008 წლის ომის დროს რუსეთმა მოახდინა ბლოკირება ბათუმისა და ფოთის პორტების, გადაკეტა სამანქანო გზები, დივერსიულ-ტერორისტული აქტის შედეგად მწყობრიდან გამოიყვანა სტრატეგიული სარკინიგზო ხიდი და სამხედრო სტრატეგიული ობიექტები. აღსანიშნავია ის ფაქტებიც, რომ რუსეთის მიერ არ იქნა მწყობრიდან გამოყვანილი სტრატეგიული ენერგომატარებლები (მაგ., ენგური ან სხვა ჰესები, ელექტრომაგისტრალები, ელექტროსადგურები) ნავთობ- და გაზსადენები, ნავთობბაზები, წყალსადენის და კანალიზაციის კომუნიკაციები, ფოთის პორტის ინფრასტრუქტურა, სტრატეგიული დანიშნულების ხიდები (ერთის გარდა) დიდი ჭოჭმანის შემდგომ რუსეთის ხელისუფლებამ არ განახორციელა საქართველოს სრული ანექსია და დედაქალაქი თბილისი არ დაიკავა. საერთაშორისო სამართლის მიხედვით უცხო ქვეყნის ჯარის მიერ დედაქალაქის დაკავება ითვლება ქვეყნის ანექსიად.

საქართველოს გეოსტრატეგიული მდგომარეობა დამოკიდებულია რუსეთის სურვილზე იქონიოს თუ არა საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობა. საჭიროების შემთხვევაში, რუსეთს შეუძლია მოახდინოს სატრანსპორტო არტერიების და სატრანზიტო დერეფნების ბლოკირება, რის შედეგადაც ვერ მივიღებთ სურსათს, ენერგორესურსებს, და სხვა აუცილებელ პროდუქციას. რუსეთის სამხედრო და სპეციალური ძალების მიერ განხორციელებული დივერსიულ-ტერორისტული აქტების შედეგად მწყობრიდან გამოვა ენერგომომარაგება, (ელექტრომომარაგება, გაზმომარაგება) წყალმომარაგება, კავშირგაბმულობა, სურსათით მომარაგება ქვეყანა მალე დადგება ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე ამას დაემატება რუსეთის მიერ წარმოებული საბრძოლო მოქმედებები, რაც რუსული ჰიბრიდული ომის დოქტრინის შესაბამისია. ომს თავის წესები აქვს არსებობს გამოთქმა „თუ გინდა მშვიდობა ემზადე ომისთვის“

ხელისუფლებამ თავი არ შეიწუხა „აგვისტოს ომამდე“ სამხედრო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და გეოპოლიტიკური ანალიზისა და მოსალოდნელ შედეგებზე, არ შეიქმნა სტრატეგიული რეზერვი. მიღებული შედეგებით, რუსეთის მთავრობამ გაიმყარა პოზიციები თავის ქვეყანაში, დამატებით მოახდინა საქართველოს ტერიტორიების ანექსია ზემო სვანეთის და ახალგორის მიმართულებით. საქართველოს შუაგულში საგზაო და სარკინიგზო არტერიიდან, რამდენიმე ასეულ მეტრში განლაგდა რუსული „ბლოკპოსტები“, რითაც ეწევა საქართველოს მოსახლეობის და ხელისუფლების მიმართ სახელმწიფო ტერორიზმს.

ანექსირებული ტერიტორიიდან, რუსი ჯარისკაცების მიერ ხდება ეთნიკურად ქართველების გატაცება, მკვლელობა, დივერსდიულ-ტერორისტული აქტების ჩატარება. რუსეთის მიერ სტრატეგიული ტერიტორიების დაკავებით ადვილი გახადა საჭიროების შემთხვევაში საქართველოს დედაქალაქის ანექსია. სტრატეგიული მაგისტრალების დაკავებით შეუძლიათ რამდენიმე წუთში ქვეყანა გაყონ შუაზე და დაიკავონ ქვეყნის დედაქალაქი, რითაც პოლიტიკურ ტერორში ამყოფებს ქვეყანას. თანამედროვე მსოფლიოში რუსეთის მიერ აგრესიულ ტერორისტული მოქმედებები სრულად ასახავს სიტყვა „სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ტერორის“ შინაარს. რუსეთმა მოახდინა საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის ანექსია. **„ანექსია** – ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის ან მისი ნაწილის ძალით დაპყრობა, მიტაცება (დაპყრობა) [68].

2008 წლის რუსეთ საქართველოს ომის შეფასების დროს რუსეთი დასავლეთის მიერ შეფასებულია, როგორც მშვიდობისმყოფელი და რუსეთის ქმედება ფასდება, როგორც არაპროპორციული ძალის გამოყენება, მშვიდობისმყოფელი მისიის შესრულების დროს.

აღნიშნული არის კლასიკური მაგალითი თუ როგორ უნდა აწარმოოს სახელმწიფომ იდეოლოგიური დივერსია-საბოტაჟი, რათა თავის სასარგებლოდ შეცვალოს მიმდინარე მოვლენები. რუსეთის მიერ განხორციელებული იდეოლოგიური დივერსიის შედეგად მსოფლიო საზოგადოება საქართველოში ანექსიას განიხილავს, როგორც ოკუპაციას. რაც ვფიქრობთ არ არის სწორი რადგან, შედარებისთვის მსოფლიო საზოგადოება ყირიმს განხილავს, ანექსირებულ ტერიტორიად; „აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა უკრაინის

პარლამენტს განუცხადა, რომ ისინი არასოდეს აღიარებენ ყირიმის ანექსიას.“ [69].

სავარაუდოდ საბოტაჟური ქმედებების განხორციელბის გამო მსოფლიო საზოგადოებას არავინ მოსთხოვა საქართველოს ტერიტორიები ელიარებინა დაპყრობილად ანუ ანექსირებულად, ხოლო სიტყვა ოკუპაციას ინგლისში შევხვდებით: საპირფარეშოს მაჩვენებელ აბრაზე თუ დაკავებულია საპირფარეშო, ტაქსის მაჩვენებელ აბრაზე თუ ზის მგზავრი, ავტობუსის აბრის წარწერაზე თუ დაკავებულია ყველა ადგილი და ა. შ. ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება რადგან კვლევისას გამოვიყენეთ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყენებული ტერმინოლოგიები და მათში აშკარად არსებობს განსხვავება.

სიტყვა ოკუპაცია არის უცხოური წარმოშობის და ჩვენთან მისი აღქმა ხდება სხვაგვარად, ხოლო ევროპელებისთვის ის იწვევს სხვაგვარ ასოციაციას და კონკრეტულ შემთხვევაში აღიქმება, არა რუსეთის მიერ საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაპყრობილ (ანექსირებულ) ტერიტორია, არამედ ადრე არსებული სახელმწიფოთაშორისო გარიგებების შედეგად ოფიციალურად რუსეთის მიერ, როგორც მშვიდობისმყოფელის მიერ დაკავებულ (ოკუპირებულ) ტერიტორია, რომლიც სახელმწიფოთა შორის არსებული გარიგებების გაუქმების გამო დარჩა ლეგიტიმაციის გარეშე და დაკავებული (ოკუპირებული) ტერიტორიაზე რუსეთი იმყოფება უკანონოდ. კანონით გაუქმებული შემდგომ არალეგიტიმური არსებობა გაცილებით სხვა რეალობაა ვიდრე საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაპყრობილი ანუ ანექსირებული ტერიტორია.

საქართველოსთან 2008 წელს წარმოებული ომის შემდგომ რუსეთის არმიის მოდერნიზება გახდა რუსეთის ხელისუფლების ძირითადი საზრუნავი, რა დროსაც გათვალისწინებული იქნა ის სუსტი მხარეები რაც გამოაჩინა ამ ომმა. ბევრი რუსი სამხედრო თუ პოლიტიკური ექსპერტი აღნიშნავს, რომ საქართველოში წარმოებულმა ომმა აჩვენა რუსული არმიის სისუსტეები, ხოლო საქართველოს სახელმწიფო და შეიარაღებული ძალების მმართველობის მხრიდან სათანადო წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში რუსეთის არმიას დამარცხებაც კი სავსებით რეალური იყო ამ ომში. რუსეთის მხრიდან უკრაინაში განხორციელებული დივერსიულ-ტერორისტული საქმიანობა შეგვიძლია

შევაფასოთ, როგორც სრულყოფილი ჰიბრიდული ომის წარმოება. „გერასიმოვის დოქტრინის“ მიხედვით ახალია თაობის ომის წარმოების წესები რუსეთმა გამოიყენა, ყირიმის ანექსიისას და დონბასში სეპარატისტული კერების შექმნით. გერასიმოვი არ გამოიყენებს ტერმინს „ჰიბრიდული ომი“ მისთვის უფრო მისაღებია ტერმინი „ახალი თაობის ომი.“

რუსეთ-საქართველოს დაპირისპირებას დიდი ხნის ისტორია აქვს, ხშირად ეს დაპირისპირება იღებდა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ტერორის სახეს, რუსეთი ყოველთვის მიმართავდა „ჰიბრიდული და ასიმეტრიული ომის“ ტაქტიკას. ტერორი, დივერსია, საბოტაჟი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში აუცილებელ მოვლენად იქცა. 1920 წლის 7 მაისს რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულების შემდგომ, საქართველო ცდილობდა არ წამოგებულიყო რუსეთის პროვოკაციებს და არ მიეცა რუსეთისთვის აგრესიის საბაბი, მაგრამ „ქართველი ბოლშვიკები არ ისვენებდნენ - ტერაქტებმა, გაფიცვებმა და პროვოკაციებმა მთელი ქვეყანა მოიცვა“ [70].

საქართველო იძულებული იყო დახმარებოდა ანტანტის ქვეყნებს, რათა თავი დაეცვა საკუთარ საზღვრებთან ბოლშევიკური რუსეთის მოახლოებისგან. 1918-1920 წლებში ბოლშევიკებთან მებრძოლი თეთრგვარდიელები დახმარებას იღებდენ ქართული პორტებიდან, სადაც ბოლშევიკური აგენტურა საკმაოდ აქტიურობდა და აწყობდა ტერაქტებს.

დივერსია საბოტაჟი ბოლშევიკების მიერ მხოლოდ პორტებში არ ხორციელდებოდა 1920 წელს საქართველოში დააპატიმრეს აზერბაიჯანის სსრ-ს წარმომადგენელი კალისტრატე საჯაია, რომელიც ქმნიდა შეიარაღებულ დაჯგუფებას. აღნიშნულის საპასუხდ აზერბაიჯანის მთავრობამ დააკავა საქართველოს წარმომადგენლები აზერბაიჯანში, ასევე საქართველოს კუთვნილი ქონება. რის შემდგომ გაავრცელა დეზინფორმაცია, რომ საქართველო აზერბაიჯანზე თვდასხმას გემავდა. რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ სომხეთის წაქეზებასაც ცდილობდა და ავრცელებდა დეზინფორმაციულ ცნობებს, სადაც საქართველოს ადანაშაულებდენ სომხეთის სარკინიგზო ტვირთების დაკავებაში, სინამდვილეში განხორციელებული ტერაქტების შედეგად რკინიგზა იყო დაზიანებული რის გამოც სომხეთს ვერ მიეწოდებოდა ნავთი და ფქვილი, რის

გამოც სომხეთის ხელისუფლება უკმაყოფილებას გამოთქვამდა. 70 წლის შემდგომ „ისტორიის“ გამეორება მოხდა რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

რუსი ბოლშევიკები ფიქრობდნენ, რომ საქართველოს ერთიანობა ყოველთვის წინააღმდეგობაში იქნებოდა რუსეთთან, ამიტომ აუცილებელი იყო საქართველოს დასუსტება და დანაწევრება. „აფხაზეთის ჩამოშორება საქართველოსგან ნაკარნახევია ყველა მოსაზრებით. საქართველოს რესპუბლიკის დანაწევრება ავტონომიურ ერთეულებად.“ [70. 29].

გამომდინარე რუსული იმპერიული ბუნებიდან, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა პერმანენტულად ომამდე მწვავდებოდა, რამაც მიიყვანა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომამდე. საქართველოს გასაბჭოების შემდგომ საქართველოს მთავრობას მოუწია ემიგრაციაში წასვლა. თუმცა საბჭოთა სპეცსამსახურები უცხოეთშიც განაგრძოდენ მათ დევნას. „ქართული ემიგრაციის დაქსაქსვა და პატრიოტი ემიგრანტების ლიკვიდაცია საბჭოთა საგარეო დაზვერვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო. ემიგრაციის პლიტიკური ლიდერების გადაბირება თუ არ ხდებოდა, მაშინ კომპრომატებით და სახელის გატეხას ცდილობდნენ თუ ესეც არ მოხერხდებოდა მაშინ გატაცებასა და ადგილზე ლიკვიდაცია ხდებოდა.“ [71. 66].

1930 წელს საფრანგეთში პარმენ ჭნუყვაძემ მოკლა ემიგრაციაში მყოფი ნოე რამიშვილი. აღნიშნული ტერაქტით მოგებული დარჩა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება. სპირიდონ კედიას მეუღლემ „სოფიო ჩიჯავაძემ დატოვა თავის მოგონებები „ნასმენ ნანახი“ რაც აღწერს ქართული ემოგრაციის ცხოვრებას. ემიგრაცია მოსკოვის კლანჭებში იყო, ყველაფერი უწყობდა ხელს, რათა ისინი რაც შეიძლება დაქსაქსულები ყოფილიყვნენ. ზოგიერთი პირდაპირ მტრის სამოსელში მუშაობდა მოსკოვის კარნახით.“ [71. 66].

1921 წელის საქართველოს გასაბჭოების შემდგომ წითელმა ტერორმა საქართველოში გავრცელების არეალი პოვა და დახვრეტების პრაქტიკა გაგრძელდა საქართველოშიც. წითელი კომისრების მიერ სოფელ „შორაპანის“ რკინიგზის სადგურზე დახვრეტილი იქნა ვაგონებში გამოკეტილი 96 ადამიანი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 1924 წლის ბოლშევიკური მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებაში. საბჭოთა დიქტატურა შესუსტდა სტალინის გარდაცვალების შემდგომ, მაგრამ პოლიტიკური ბუნება არ შეუცვლია. ტერორის

პოლიტიკა საბჭოთა მთავრობამ გააძლიერა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რითაც საბჭოთა კავშირმა დაიმსახურა აშშ პრეზიდენტის ცნობილი შეფასება - ,,ბოროტების იმპერია.“

,,საკუთარი ტერიტორიების გასაფართოებლად პოლიტიკურ-იდეოლოგიური გავლენის მოსაპოვებლად რუსეთი ქმნიდა ახალ იდეოლოგიებს: საბჭოთა ხალხი, სოციალური ერი, მცირე ერების სეპარატიზმი მათი დამოუკიდებლობა და ა.შ.“ [72. 15].

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომ, რუსეთი მცდელობას არ აკლებდა, შეენარჩუნებინა გავლენის სფეროები ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებზე, რუსეთმა წარმოებული დივერსიულ-საბოტაჟური პოლიტიკით საქართველოში შექმნა ორი კონფლიქტური რეგიონი: სამაჩაბლოში ქ. ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი. რუსეთის მიერ სამხედრო დახმარებით წახალისებულმა სეპარატებმა 1991-1993 წლებში განახორციელეს ეთნიკური წმენდა. რუსეთის სამხედრო დანაყოფების დახმარებით სამაჩაბლოში (ეგრეთ წოდებული „სამხრეთი ოსეთი“) და აფხაზეთში ჩატარდა ქართველების ეთნოწმენდა, რა დროსაც სამაჩაბლოდან გამოდევნილი იქნა 70 ათასი ადამიანი, ხოლო აფხაზეთიდან - 350000 ათასი ადამიანი ეთნიკურად ქართველები. ეთნიკურ ნიადაგზე ჩადენილ ამ დანაშაულს დღემდე არ მიეცა სამართლებრივი შეფასება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. არსებული ორმაგი სტანდარტებიდან გამომდინარე, საერთაშორისო ორგანიზაციები ერიდებიან სამართლებრივი შეფასება მისცენ რუსეთის ქმედებებს საქართველოს წინააღმდეგ, რადგან მოუწევთ შეცვალონ მიდგომა რუსეთის მიმართ. „გენოციდი და მასობრივი დანაშაულები პირდაპირი შეტევაა ადამიანის უნივერსალურ ღირებულებაზე.“ [32. 454].

სამხედრო სტრატეგიული თავდაცვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, რუსეთი ცდილობს საქართველოზე იქონიოს სამხედრო სტრატეგიული, ეკონომიურ პოლიტიკური, და იდეოლოგიური რელიგიური ზეწოლის საშუალება და შანსს არ უშვებს გამოიყენოს საქართველოს მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომები თუ თუ შეგნებულად გადადგმული არასწორი ნაბიჯები. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის 8 აგვისტოს სამხედრო დაპირისპირებისას, საქართველომ დაკარგა სტატეგიული ტერიტორიები სვანეთის მიმართულებით, რომელიც ესაზღვრება

რუსეთს და სეპარატისტული ე.წ აფხაზეთს. ასევე საქართველოს ცენტრში ქ. თბილისთან ახლოს სეპარატისტულ ე.წ. „სამხრეთ ოსეთს" ისტორიული სამაჩაბლოს მიმართულებით, რამაც გააჩნია ახალი ლტოლვილები. იტალიელი სახელმწიფო მოღვაწე და ფილოსოფოსი ნიკოლო მაკიაველი წერდა, რომ: „ყველა შეცდომა დაშვებული სხვა სფეროებში შეიძლება, როგორმე გამოსწორდეს, მაგრამ ომის დროს დაშვებული შეცდომების გამო ისჯებიან დაუყოვნებლივ" [73. 61].

რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ოს მოსახლეობაში ჩატარებულმა საბოტაჟმა ნაყოფი გამოიღო და ოსებმა საქართველოდან გამოყოფა ანუ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა მოითხოვეს. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ და ეროვნული ხელისუფლების პირობებში გაუქმდა დასახელება „სამხრეთი ოსეთი" და დაერქვა ისტორიული სახელი სამაჩაბლო. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საბჭოთა კავშირის მხრივ დაიწყო პროვოკაციების ტერორი და საბოტაჟური კამპანია, რომლის კულმინაციაც გახდა გორბაჩოვის მუქარა პრეზიდენტ ზ. გამსახურდიასადმი: „საქართველოს საბჭოთა კავშირიდან შეუძლია გავიდეს, მაგრამ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გარეშე"-ო [74].

1990 წლიდან რუსეთი აქტიურად იყენებს მეხუთე კოლონას და იწყება „რუსეთ-საქართველოს მეოთხე ომი, სახელმწიფო გადატრიალების შემდგომ რუსეთი პირდაპირ მონაწილეობს სამაჩაბლოსა და აფხაზეთის კონფლიქტებში" [75. 15].

ეთნიკურად ქართველების წინაარმდეგ რუსეთის მიერ განხორციელებული ტერორი გადაზრდილი „ეთნიკურად ქართველთა გენოციდში," რომელიც სატანადოდ ჯერ არ შეფასებულა ევროკავშირის და მსოფლიო საზოგადოების მიერ. **„გენოციდი"** ტერორის ერთ-ერთი ფორმაა" მიმართულია ეთნიკური კუთვნილების წინააღმდეგ. „მოსახლეობის გაჟლეტა რასობრივი (რელიგიური) მოტივებით ითვლება ერთ ერთ უმძიმეს დანაშაულად კაცობრიობის წინაშე" [76]

რუსეთის, როგორც გენოციდის მომწყობი ქვეყნის წინაარმდეგ დაპირისპირებას ხელს არ აძლევს მსოფლიო საზოგადოებას. თუმცა არსებობს რეაგირების მცირე დოზები. ქართველების მიზანმიმართული ხოცვა და ეთნიკური წმენდა აღიარებულ იქნა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის

ორგანიზაციის (ეუთო) მიერ 1994, 1996 და 1997 წლის კონვენციებზე, ბუდაპეშტის, ლისაბონისა და სტამბოლის სამიტებზე, სადაც დაიგმო ომის დანაშაულებანი ჩადენილი კონფლიქტის პროცესში. 2008 წლის 15 მაისს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია A/RES/62/249 რომელშიც იგი „ხაზს უსვამს იძულებით გადაადგილებულ პირთა, მათ შორის ეთნიკური წმენდის შედეგად დაზარალებულთა ქონების შენარჩუნებას აფხაზეთში, და მოუწოდებს ყველა წევრ ქვეყანას არ დაუშვან მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ მოქალაქეთა მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქონების უკანონო მოპოვება“ [77].

საქართველო რუსეთის დაპირისპირებისას ჩვენ შეგვიძლია თავისუფლად გამოვიყენოთ ტერმინოლოგიები: „სახელმწიფო ტერორი“, „ჰიბრიდული ომი“, „ასიმეტრიული ომი,“ „დივერსია“, „საბოტაჟი“. მათი ყველა ფორმის გათვალისწინებით, რომელიც თავის თავში შეიცავს არათანაბარ ძალთა დაპირისპირებას საბრძოლო მოქმედებების წარმოებისას თუ მშვიდობიანობის დროს. წინა თავებში ჩვენ განვიხილეთ ამ ჩამონათვალის გამარტებები და სმოფლიო პრაქტიკაში მათი გამოყენების ისტორიული ასპექტები. საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალებიდან გამომდინარე, ჩვენ „საბოტაჟის“ კიდევ ერთი ფორმა უნდა განვიხილოთ.

**საბოტაჟი პუტჩის დროს:** საბოტაჟი არის მნიშვნელოვანი ასპექტი წარმატებული პუტჩის (სახელმწიფო გადატრიალება) განსახორციელებლად, რომელიც მოითხოვს კომუნიკაციის საშუალებების კონტროლს [78].

საბოტაჟისთვის ძირითადად ორი მეთოდი არსებობს: ფიზიკური განადგურება-ლიკვიდაცია და აგენტ-პროვოკატორი - იგულისხმება აგენტი, რომელიც ცდილობს, ადამიანებში დააქვეითოს მორალი, გაავრცელოს ჭორები, მოაწყოს პროვოკაციები და სხვ. გამოიყენება საბოტაჟის, როგორც პასიური ისე აქტიური ფორმები. საბოტაჟის პასიურ ფორმებს მიეკუთვნება, არაკომპეტენტური ადამიანების დაწინაურება, მოვალეობის ცუდად შესრულება და სხვ. აქტიური საბოტაჟისას სტრატეგიული ობიექტების დაზიანება მწყობრიდან გამოყვანა, გასხვისება, უსაფრთხოების უგულებელყოფა, სტრატეგიული ტერიტორიების მოწინააღმდეგისთვის დათმობა, პროფესიონალი კადრების განდევნა, ქვეყნის საზიანოდ მე-5 კოლონის შექმნა ან მტრის მიერ შექმნილის ხელშეწყობა.

**„მეხუთე კოლონა“** ეწოდება ადამიანთა ჯგუფს, რომელიც უცხო ქვეყნის დავალებით ეწევა ძირგამომთხრელ საქმიანობას. მეხუთე კოლონის ქმედებები შესაძლოა იყოს დაუფარავი ან შენიღბული. გამოყენებულ ქმედებებს მიეკუთვნება საბოტაჟი, დეზინფორმაციის გავრცელება ან ჯაშუშობა, საკანონმდებლო ქაოსი, ადამიანთა ამ ჯგუფს, შეუძლია კოორდინირებულად იმოქმედოს მხარდამჭერ გარე ძალებთან და ხელი შეუწყონ მათ ჰიბრიდული ომის წარმოებისას. ამასთანავე, შესაძლოა განხორციელდეს, საბოტაჟი თანამდებობაზე მყოფი მოხელეების მიერ, რითაც გავლენას იქონიებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ან მათ შესრულებაზე. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ „თავდაცვის მინისტრმა

სამხედრო-სავალდებულო გაწვევის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას ხელი საჯაროდ, ჟურნალისტების წინაშე მოაწერა.“ [79].

ის იყო თავდაცვის მინისტრის უკანონო გადაწყვეტილება, რადგან კანონს სამხედრო სამსახურის შესახებ იღებს პარლამენტი.

**ტერმინი მეხუთე კოლონა,** „პირველად 1936 წელს, ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს გამოიყენეს; კერძოდ, ამბოხებულთა გენერალმა, ემილიო მოლამ, ჟურნალისტს უთხრა რომ, მისი ჯარისკაცების ოთხი კოლონა უახლოვდებოდა მადრიდს, ხოლო მხარდამჭერთა მეხუთე კოლონა, ქალაქის შიგნიდან გაუწევდა მათ დახმარებას – რესპუბლიკელთა მთავრობის დამხობაში [80].

მეხუთე კოლონის აქტიურობის შედეგად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან რამდენიმე თვეში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ მოეწყო სამხედრო პუტჩი, სადაც მონაწილეობას იღებდა რუსეთის დივერსიულ ტერორისტული დანაყოფები „ღამურები.“ სამწუხაროდ საქართველოს მთავრობამ არ გაითვალისწინა ავღანეთის გამოცდილება, რომელზეც ჩვენ წინა თავში ვისაუბრეთ. რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა სამხრედრო პუტჩი. დევნილობაში მყოფმა ზვიად გამსახურდიამ ოფიციალური ვერსიით თავი მოიკლა, მაგრამ ეს ნაკლებად სარწმუნოა რადგან მოგვიანებით საქართველოს პრეზიდენტის, გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე კონსტანტინე გამსახურდიას განცხადებით, საუბარია იმ არგუმენტებზე, რომლებიც „ადასტურებს, რომ 1993 წლის 31 დეკემბერს წალენჯიხის რაიონის სოფელ ხიბულაში ზვიად გამსახურდია მოკლეს“ [81].

პრეზიდენტის გარდაცვალების გარემოება მიუთითებს, რომ ეს იყო პოლიტიკური მკვლელობა და „ტერორისტული აქტი“ ჩატარებული სახელმწიფოს მეთაურის მიმართ. გამსახურდიას მთავრობის წინააღმდეგ მოწყობილ „პუტჩს“ წინ უძღოდა საბჭოთა კავშირის დანგრევა და საქართველოში ჩატარებული დამოუკიდებლობის არჩევნები. ე. შევარდნაძის მმართველობას საქართველოში მოჰყვა დაპირისპირება სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, სადაც რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ „ასიმეტრიული ომის“ მეშვეობით გარკვეულწილად აწარმოა „ტერორი“ ეთნიკურად ქართველების წინააღმდეგ, რაც გადაიზარდა ეთნიკურად ქართველების გენოციდში. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა

სპეცსამსახურები დაკომპლექტებული იყო პროფესიონალებით მათ ადვილად შენიშნეს საბჭოთა იმპერიის რღვევის პროცესი და დაიჭირეს თადარიგი მოვლენების შემდგომი განვითარებისთვის მოსამზადებლად დაიწყო ფართომასშტაბიანი დივერსიულ-საბოტაჟრი პროცესები მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ: თანამდებობაზე დაინიშნენ ნაკლებ პროფესიონალი და უპრინციპო ადამიანები. მოხდა ამ რესპუბლიკების „განიარაღება." მაგალითად, 1990 წელს, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობისას, საქართველოს მილიციას ჩამოერთვა და ქვეყნიდან გაიტანეს ფაქტიურად ყველა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ისე, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისას მილიციას ერიცხებოდა 500-მდე ავტომატი. აღნიშნული საბოტაჟით საქართველო დარჩა შეიარაღბის გარეშე, ამ დროს დაიწყო ტერორისტული თავდასხმები ეთნიკურად ქართველების მიმართ.

1992 წელის ზაფხულიდან საქართველოს წინააღმდეგ, რუსეთის მიერ განხორციელბული პოლიტიკური პროვოკაციების, საბოტაჟის, დივერსიის, ტერორისტული საქმიანობის შედეგად აფხაზეთში გამავალი „სატრანზიტო რკინიგზის მაგისტრალის დაცვის ოპერაცია", თანდათან გადაიზარდა სრულმასშტაბიან ომში. აფხაზეთის რეგიონში გახშირდა დივერსიულ-ტერირისტული თავდასხმები საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენლებზე, სტრატეგიულ ობიექტებზე, სარკინიგზო მაგისტრალზე რა დროსაც იძარცვებოდა სარკინიგზო ეშელონები. ამას დაემატა სომხეთის სახელმწიფოს პრეტენზიები მათი ტრანზიტული ტვირთების დაკარგვის გამო, რა დროსაც საქართველოს სახლემწიფოს წაუყენეს პრეტენზია ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით. ეს იყო კარგად გათვლილი პროვოკაცია, საბრძოლო მოქმედებების დაწყებისთანავე სომხეთი თავის მებრძოლებს აგზავნიდა აფხაზური ფორმირებების მხარდასაჭერად. საქართველოს ცენტრალურ მთავრობა იძულებული გახდა აფხაზეთის რეგიონში შეეყვანა მილიციის დამატებითი ძალები. სარკინიგზო მაგისტრალის კონტროლზე აყვანის მიზნით. შემდგომ განხორციელდა რამდენიმე ტერორისტულ-დივერსიული თავდასხმა საქართველოს მილიციაზე. ფაქტიურად გამოცხადდა სნაიპერული ომი რკინიგზის დამცველი მილიციის დანაყოფების მიმართ. თავდამსხმელებზე დევნის ოპერაციების განხორციელებისას ისინი თავს აფარებდნენ იმ დროს

საქართველოში განლაგებული რუსული ჯარების ბაზებს. გახშირებული თავდასხმების გამო ცენტრალურმა ხელისუფლებამ რკინიგზის დაცვის მიზნით 1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს სამხედრო ფორმირებები გადაადგილა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომლებმაც დაიწყეს განლაგება სარკინიგზო მაგისტრალზე. რუსულ აფხაზური მხარე მზად იყო ქართული სმახედრო დანაყოფების გამოჩენისთვის, რა დროსაც გაგრძელდა ტერორისტული თვდასხმები უკვე სამხედრო დანაყოფებზე. სამხედრო დანაყოფების შეყვანა და რკინიგზის მაგისტრალის პერიმეტრზე განთავსების „ოპერაცია იყო შეთანხმებული მაშინდელ სახელმწიფოს მეთაურ ე. შევარდნაძესთან და ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელ ვ. არძნიბასთან." [82].

1992-1993 წლების აფხაზეთის ომი მიმდინარეობდა საქართველოს რესპუბლიკის სამთავრობო ჯარებსა და რუსეთი სამხედრო დანაყოფებს შორის ასევე სეპარატისტულად განწყობილ ეთნიკურ აფხაზთა და ეთნიკურად სომეხ, ჩრდილოკავკასიელ დაქირავებულთა ასევე რუსეთის ხელშეწყობით სირიელი და თურქ დაქირავებულ მებრძოლებთან თუმცა, ამ კონფლიქტს აგრეთვე განიხილავენ, როგორც რუსეთ-საქართველოს ომს. სამხედრო დაპირისპირება 13 თვე გაგრძელდა (1992 წლის 14 აგვისტრო – 1993 წლის 27 სექტემბერი). გარდა რუსეთის ფედერაციის არმიის რეგულარული სამხედრო ნაწილებისა, აფხაზ სეპარატისტთა მხარეს ასევე იბრძოდნენ ადგილობრივი სომხები (ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი), რუსეთის მიერ დაქირავებული მებრძოლები ჩრდილოეთ კავკასიიდან, კაზაკთა შეიარაღებული ფორმირებები, თურქები, ასევე სირიის თავდაცვის სამინისტროს სპეციალური ძალების დანაყოფები, დნესტრისპირელი სეპარატისტები, რომელთაც არაოფიციალურად მხარს უჭერდა რუსეთი. ომის პერიოდში და შემდეგ განსაკუთრებული სისასტიკით განხორციელდა ქართველების ეთნიკური წმენდა ოკუპანტების მიერ.

„აფხაზეთის ომი 1992-1993 წლებში იყო ომი საქართველოს ჯარსა და სეპარატისტულად განწყობილ ეთნიკურ აფხაზთა ერთ ნაწილს შორის, რომელიც 13 თვეს გაგრძელდა." [83]

რუსეთის მიერ ადრევე მზადდებოდა „ქართველთა გენოციდი, რაც განხორცილედა ხუთ ეტაპად: 1. 1991 წლის 17 მარიდან 1992 წლის 14 აგვისტომდე

გუდაუთიდან 2. 1992 წ. 14 აგვისტოდან 2 ოქტომბრამდე – გუდაუთის რაიონიდან. 3. 1992 წ. 2 ოქტომბრიდან 1993 წ. 16 სექტემბრიდან – გაგრის ზონიდან. 4. 1993 წ. 16 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე – სოხუმიდან, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონებიდან. 5. 1993 წლის სექტემბრიდან" დღემდე [83].

რუსეთის მხრიდან პერმანენტულად მწვავდება კონფლიქტური რეგიონები, რაც გადადის სამხედრო დაპირისპირებებში.

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში საქართველოს წინააღმდეგ ომში რუსები იწვევდნენ სირიის მოქალაქეებსაც 1988 წელს აფხაზეთში ჩამოვიდა სირიული საამშენებლო კომპანიის წარმომადგენლები მათ მოყვნენ თურქეთის, იორდანიის, საუდის არაბეთის, ერაყის და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში მცხოვრები ჩრდილოკავკასიური წარმოშობის მოქალაქეები. მათ კანონიერიად საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნას აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. არშბა კურირებდა. გამარტივდა ჩაწერის პროცესი უცხოეთიდან ჩამოსულები ძირითადად ოჩამჩირის, გუდაუთის სოფლების მცხოვრები ხდებოდნენ, რაც სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა. საბჭოთა კავშირის მიერ უცხოეთთან წარმოებული პოლიტიკის გამო. ჩამოსულთა შორის ძირითადად ახალგაზრდა მამაკაცები ჭარბობდნენ და ზოგიერთს სამხედრო გამოცდილებაც ქონდა. საქართველოს წინააღმდეგ 1992-1993 წლებში „ომიის სხვადასხვა პერიოდშო 105 თურქეთის მოქალაქე იბრძოდა. ერთი ჯგუფი შეუერთდა შამილ ბასაევის ჩეჩნურ ბატალიონს, სადაც თურქეთიდან, სირიიდან, იორდანიიდან, პალესტინიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ჩრდილო-კავკასიელბთან ერთად საბრძოლო ჯგუფი „კავკასიის ერთა კონფედერაცია" შექმნეს [84. 15].

ამგვარად, შეიქმნა პირველი მუსულმანურ-ტერორისტული დანაყოფი პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად. ბატალიონის დისლოკაციის ადგილი გუდაუთა იყო და, ძირითადად, ჩეჩნებისგან შედგებოდა. თურქეთი საქართველოს ყოველთვის მხარს უჭერდა და უჭერს, მაგრამ საქართველოს წინააღმდეგ მოხალისეთა გამოგზავნას, ყოველთვის მხარს უჭერდა რადგან თურქული სპეცსამსახურების გარეშე ბოევიკების შეგროვება და მათი დაფინანსების მოძიება თურქეთში ვერ მოხდებოდა. გასათვალისწინებელია ის, რომ ტერორისტულმა მოძრაობამ მთელი მსოფლიო მოიცვა და მეზობელი

ქვეყნების სპეცსამსახურები იყენებენ ტერორისტებს საკუთარი მიზნებისათვის, რაც როგორც წესი საზიანოა საქართველოსთვის. აუცილებელია საინფორმაციო ბაზის არსებობა იმ ტერორისტებზე, რომლებიც იბრძოდენ საქართველოს წინააღმდეგ, მოხდეს მათი მოძიება და შესაძლებლობისდაგვარად განეიტრალება, რათა შემდგომში ისინი ისევ არ იყვნენ გამოყენებულნი საქართველოს წინააღმდეგ. განსაკუთრებით ყურადღება მისაქცევია მათი საქართველოში გადადგილების შემთხვევები, როგორც წესი ისინი შემოდიან თურქეთიდან აფხაზეთის ან სომხეთის მიმართულებით. ასევე რუსეთიდან და სამაჩაბლოს ტერიტორიებიდან სომხეთის, თურქეთის ან აზერბაიჯანი-ირანის მიმართულებით. „ოფიციალურად დადასტურებული ფაქტია, რომ ტოკჯანი, ჯუშკუნი, გიცბა და სხვა მუსულმანი ტერორისტები, აფხაზეთიში ჩეჩნური ბატალიონის წევრები იყვნენ, სავარაუდოდ ტოჯკანმა და ჯუშკუნმა რამდენჯერმე გადაკვეთს საქართველოს საზღვარი, რაც სპეცსამსახურების უსუსურობაზე მეტყველებს“ [85].

საქართველოს წინააღმდეგ ტერორისტულ დაპირისპირებაში დაინტერესებულნი იყვნენ ასევე სხვა მუსულმანური ქვეყნები, კერძოდ, საუდის არაბეთი და პაკისტანი, რომელთაც ხელს კავკასიის რეგიონში რადიკალური ისლამის გავრცელებას რაც ხდებოდა რუსეთის სპეცსამსახურების ყურადღების და ხელშეწყობის ქვეშ. ჩეჩნეთში განხორცილებული „ტერორისტული ომის“ შედეგად მოსახლეობას მოუწია იარაღის ხელში აღება.

კვლევაში გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ აფხაზეთის ომის დროს არაერთხელ დაიდო ე/წ. სამშვიდობო ხემშეკრულება რომელიც ოფიციალურად ფორმდებოდა აფხაზეთსა და საქართველოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება, რაც პოლიტიკურად იყო არასწორი, რადგან ომს აწარმოებდა რუსეთი და არა ფახაზეთი, ყოველი ხელშეკრულების შემდგომ საქართველო კარგავდა ტერიტორიების გარკვეულ ნაწილს და ცალმხრივად ხდებოდა არმიის განიარაღება.

შევარდნაძემ არაერთხელ საჯაროდ აღიარა, რუსეთის მეშვეობით აფხაზ სეპარატისტებთან სამჯერ მის მიერ დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებებისას „სამჯერვე მოატყუეს“, თუმცა, აღნიშნულის გამო, პოლიტიკური პასუხისმგებლობა მას არ აუღია. აღსანიშნავია ისიც, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებას რუსეთის შეთავაზებით კატეგორიულად მოითხოვდა ე. შევარდნაძე და მხოლოდ

მას სჯეროდა ამ მოლაპარაკების რეალურად შესრულების, რისი სავალალო შედეგიც საბოლოოდ იყო აფხაზეთის მთლიანად ოკუპაცია რუსეთის ჯარის მიერ და ეთნიკურად ქართველების წინააღმდეგ ტერორის მოწყობა და მათი გენოციდი. ჩვენი შეფასებებით მეხუთე კოლონის ნამოქმედარია, ქართულ-აფხაზური სამშვიდობო ხელშეკრულებები, რომლებიც იდებოდა ზუსტად იმ დროს, როდესაც მოწინააღმდეგეს აღარ შესწევდა წინააღმდეგო ბის გაწევის ძალა და იყო დემორალიზებული. ჩვენი შეფასებებით მეხუთე კოლონის ფუნქცია შეიძლება შეითავსოს ქვეყნის პრეზიდენტმაც თუ ის ამ ქვეყანაში წარმოადგენს უცხო ძალების ინტერესს. 1993 წელს აფხაზეთის ომის ტრაგიკულად დასრულების შემდგომ ქვეყანაში სუფევდა განუკითხაობა და მოქმედებდა არაერთი ტერორისტული-ბანდფორმირება. უცხოელი ტურისტების თუ სახელმწიფო წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმდინარეობდა მიზანმიმართული ტერორი, რომელიც იმართებოდა რუსეთის სპეცსამსახურებს დაქვემდებარებული, საქართველოს სპეცსამსახურებში მოქმედი რუსეთის აგენტურის მიერ, რომლებიც თავის მხრივ კურატორობდნენ და მფარველობდნენ პოლიტიკური ტერორის იარაღად ქცეულ ბანდფორმირებებს. ამ დროისათვის რუსეთი ცდილობდა საქართველოში არ შემოსულიყვნენ დასავლეთის წარმომადგენლები და ყოველ ღონეს ხმარობდა ურთიერთობების ჩასაშლელად.

დამკვიდრებულია შეხედულება, რომ მზვერავები და მათი აგენტები შემთხვევით არ იღუპებიან. აშშ-ის სპეცსამსახურები ცდილობდნენ კავშირი დაემყარებინათ საქართველოს სპეცსამსახურებთან 1993 წლის ბოლოს საქართველოში მოვლინებულ იქნა ფრედ ვუდროპი, რომელიც 30 წელი მუშაობდა კონტრდაზვერვასა და დაზვერვაში. საქართველოში რუსეთის მეხუთე კოლონა ყველა სფეროში იყო ფეხმოკიდბული, „ვუდროფის მოცილება მოსკოვში დაიგეგმა, შემსრულებლები კი საქართველოში იყვნენ, ვუდროფს ერთი ტყვია ესროლეს მანქანაში, რომელსაც ე.შევარდნაძის დაცვის ოფიცერი ე. გოგოლაძე მართავდა“ [86].

ეს მკვლელობა უდანაშაულო პირს დაბრალდა, ხოლო ტერაქტმა გამოუძიებელი საკითხების კითხვები დატოვა. 1994 წელს საქართველოს შსს-მ დაიწყო პოლიტიკურ-ტერორისტულ ორგანიზაციებად ქცეული ბანდფორმირებების თუ ცალკეული ბანდიტების განადგურება, ქვეყნის მასშტაბით „რეიდების“ ანუ

ანტიტერორისტული ოპერაციების ჩატარებამ შედეგი გამოიღო, ხოლო ბანდფორმირებები დაიშალა, თუმცა ამან ვერ შეაჩერა პოლიტიკური მკვლელობები. 1995 წლის 29 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტ ე. შევარდნაძეზე განხორციელებული თავდასხმის დროს იმელის შენობასთან მოხდა მძლავრი აფეთქება, ავტო მანქანაში მჯდომი შევარდნაძე შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. ოთხი წლის შემდგომ ე.შევარდნაძეზე თავდასხმა ისევ განმეორდა, რა დროსაც მის წინააღმდეგ გამოყენებული იქნა ყუმბარმტყორცნები.

1995 წლის 29 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტ ე. შევარდნაძეზე განხორციელდა ტერორისტული თავდასხმა იმელის შენობის ეზოში, რაშიც შემდგომში საქართველოს უშიშროების შეფი იგორ გიორგაძე დაადანაშაულეს. 1998 წლის 9 თებერვალს ე. შევარდნაძის ჯავშანმანქანას თავდამსხმელებმა ესროლეს ყუმბარმტყორცნის ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები და გაუხსნეს ცეცხლი სხვადასხვა იარაღიდან. სამთავრობო ტრასაზე, სადაც ის ყოველდღე მოძრაობდა, თავდამსხმელების მოგერიება მოხერხდა დაცავის მიერ, ხოლო მანქანა ინერციიით გავიდა საბრძოლო არეალიდან. არცერთი ჭურვი „მერსედესს" არ მოხვდა ისეთი ტრაექტორიით და იმ ნაწილში, სადაც იგი მანქანის სალონში შეღწევას შეძლებდა, რის გამოც შევარდნაძე გადარჩა. ტერაქტში მონაწილეობდენ 5 ჩეჩენი და 12 ქართველი თავდამსხმელები. ტერაქტს შეეწირა, როგორც თავდამსხმელები ასევე ესკორტის დაცვა. დივერსანტებმა მზადება გაიარეს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო ბაზაზე და უშუალო კავშირი ჰქონდათ რუსეთის სპეცსამსახურებთან. რუსეთის მოტივაცია ადვილი ასახსნელი იყო, კრემლი ყოველთვის ცდილობდა საქართველოში სიტუაციის არევას და მუდმივ ქაოსში ყოფნას. „1999 წლის 21 ოქტომბერს აშშ-ს ეროვნული უშიშროების საბჭოს ყოფილმა დირექტორმა უ. ოდემმა დაადანაშაულა რუსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ევგენი პრიმაკოვი ე. შევარდნაძის წინააღმდეგ ტერაქტის ორგანიზებაში" [87].

იმ დროისთვის შევარდნაძეს აქტიური ურთიერთობები ჰქონდა დასავლეთის პოლიტიკურ ლიდერებთან, რასაც უარყოფითად აფასებდენ რუსეთის სპეცსამსახურები, რის გამოც მასზე რამდენიმე თავდასხმა განხორციელდა. საქართველოს სასაზღვრო ზოლში ხორციელდებოდა საჰაერო თავდასხმები ქართულ ტერიტორიებზე. აღნიშნული ხდებოდა ქართული სახელმწიფოს

დატერორების მიზნით და იყო პოლიტიკური ტერორის იარაღი. ეს ქმედება სავსებით შეესაბამება სახელმწიფოს მიერ წარმოებული ტერორის განმარტებას. „შევარდნაძისა და პუტინის დღეს საღამოს დაგეგმილ შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტი აპირებს პუტინს რუსული საფრენი საშუალებების მიერ პანკისის დაბომბვის დამადასტურებელი დოკუმენტები გადასცეს.“ [88].

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან რუსეთი არ წყვეტს ჰიბრიდულ ომს საქართველოსთან. საქართველოში განთავსებული სტრატეგიული დაზვერვის და დივერსიის ბაზა კერძოდ; საბჭოთა კავშირის თვადაცვის სამინისტრო მთავარის სადაზვერვო სამმართველოს (შემდგომ რუსეთის) ერთ-ერთი მოსამზადებელ ბაზას წარმოადგენდა ქ.ლაგოდეხში განთავსებული დანაყოფი. მისი განსაკუთრებულობა განპირობებული იყო იმითაც, რომ საბჭოთა კავშირში შემავალი „15 რესპუბლიკიდან, მხოლოდ საქართველო და სასომხეთი ესაზღვრებოდა ნატოს ბლოკს სახმელეთო საზღვრით“ [34. 53].

საბჭოთა სპეცსამსახურების აქტიურობის შედეგია საქართველოში არსებული ეთნოკონფლიქტები, გატარებული იდეოლოგიური დივერსიით და პროვოკაციებით საბჭოეთი ქმნიდა ნოყიერ ნიადაგს კონფლიქტების წარმოშობისთვის მშვიდობიანობის პერიოდშიც, რათა საჭიროების შემთხვევაში აემოქმედებინა ჩადებული ნაღმები. თუმცა მათი მოქმედებები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საბჭოთა კვშირში შემავალი რესპუბლიკებით.

„გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მსოფლიოში არცერთ სამხედრო კონფლიქტს არ ჩაუვლია საბჭოთა სპეცდანიშნულების რაზმების მონაწილეობის გარეშე. საბჭოთა იმპერია სამხედრო ძალით და სადაზვერვო დივერსიულ ტერორისტული მეთოდებით ცდილობდა იმპერიული პოლიტიკის გატარებას“ [89. 20].

საქართველოს წინააღმდეგ მარტო რუსი სამხედროები არ მოქმედებენ, პოლიტიკური გავლენის მოსაპოვებლად ასევე იბრძოდა შიშროების კომიტეტი, რომლის დაქვემდებარებაში იყო სასაზღვრო ზოლი და საზღვრის ახლო ტერიტორიების სადაზვერვო საქმიანობა მათ შორის საქართველოს სასაზღვრო ზოლი თურქეთთან. „სამხედრო დივერსიული დაჯგუფებებს კგბ–ს პირველი მთავარი სამმართველოს (საგარეო დაზვერვა) მე–8 განყოფილება

(საზღვარგარეთ დივერსიების, მკვლელობების და ტერაქტების ძირითადი ორგანიზატორი) ამზადებდა [42].

საქართველოსთან ახლოს მათი მომზადება ასევე ხდებოდა ბაქოს, ტაშკენტის, სიმფეროფოლის, ოდესის სპეციალურ სამხედრო ნაწილებში. „1980 წლიდან სომფეროპოლთან ახლოს 165-ე სასწავლო ბაზაზე სადაზვერვო დივერსიული მომზადება 20 ათასამდე მებრძოლმა გაიარა“ [42].

აფხაზეთში დაიწყო სბჭოთა სპეცსამსახურებზე მომუშავე აზიური წარმოშობის ტერორისტების ჩამოსახლება, ძირითადად გუდაუთის არიონში და მათი შემდგომ საქართველოს წინააღმდეგ გამოყენებ. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში საქართველოს წინააღმდეგ ომში რუსები იწვევდნენ სირიის მოქალაქეებსაც. 1988 წელს აფხაზეთში ჩამოვიდნენ საუდის არაბეთის, თურქეთის, იორდანიის, სირიის, ერაყიში მცხოვრები ჩრდილოკავკასიური წარმოშობის ბოევიკები, რომელთაც მისცეს მოქალაქეობა გამარტივებული წესით. რასაც კურირებდა აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. არშბა. უცხოეთიდან ჩამოსულები ოჩამჩირის და გუდაუთის სახლდებოდნენ, რაც სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა. საბჭოთა კავშირის მიერ უცხოეთთან წარმოებული პოლიტიკის გამო. ჩამოსულთა შორის ძირითადად ახალგაზრდა მამაკაცები ჭრბობდნენ და ზოგიერთს სამხედრო გამოცდილებაც ჰქონდა. რუსეთის სპეცსამსახურებმა ისინი შემდგომში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ ომში გამოიყენა.

საბჭოთა სპეცსამსახურების აქტიურობის შედეგი საქართველოში არსებული ეთნოკონფლიქტები, გატარებული იდეოლოგიური დივერსიით და პროვოკაციებით საბჭოეთი ქმნიდა ნოყიერ ნიადაგს კონფლიქტების წარმოშობისთვის მშვიდობიანობის პერიოდშიც, რათა საჭიროების შემთხვევაში აემოქმედებინა ჩადებული ნაღმები. თუმცა მათი მოქმედებები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკებით.

რუსეთის სპეცსამსახურების მიერ მომზადებული ტერაქტები არ იგემება სპონტანურად, ან მოულოდნელი გადაწყვეტილების მიღების შედეგად. რუსეთის სპეცსამსახურები ყველა შემთხვევაში ამზადებენ ბაზას საჭიროებისამებრ ამის აუცილებლობა არსებობს თუ არა. ტერორისტული თავდასხმებისთვის გამოიყენება

აქტივისტები მშვიდობის დარგში, დემოკრატიის განვითარების სფეროში. „აქტივისტი რადიკალები, მშვიდობისთვის მებრძოლები, მწვანეთა პარტიის წევრები. ისინი გადაბირებისთვის მშვენიერ ბაზას წარმოადგენენ." [90. 24].

რუსული სპეცსამსახურებს დაქვემდებარებული სპეცრაზმები საქართველოს წინააღმდეგ მუშაობენ არა მარტო საკუთარი ტერიტორიებიდან, არამედ სომხეთის ტერიტორიიდანაც, რადგან სომხეთი, ფაქტიურად, რუსეთის სატელიტს და, სპეცამსახურების მხრივ, რუსეთის დანამატს წარმოადგენს. რუსეთ-საქართველოს და საქართველო-სომხეთის საზღვარი არის პირველი ფორპოსტი საქართველოსთან რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შემთხვევაში. რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ფართოდა გამოიყენება ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა, რადგან სომხეთი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაშია რუსეთთან. ეთნიკურად სომხები „პატრიოტული" გრძნობების გამო ყოველთვის ეაღვილათ ექცეოდნენ რუსეთის ზეგავლენის ქვეშ საქართველოს საზიანოდ.

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის ომის დროს სომხეთის მხრიდან საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა რამდენიმე რუსულმა სადივერსიო-ტერორისტულმა დანაყოფმა. საქართველო-სომხეთის საზღვარი არის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ, ქართული მხარის უყურადღებობის თუ სხვა ფაქტორების გამო სასაზღვრო ზოლი ორივე მხარეს, ფაქტიურად, სომხეთის მიერ კონტროლდება.

აღნიშნული საფრთხის სერიოზულობა გასათვალისწინებელია რუსეთის სპეცსამსახურების მოქმედებების ხასიათის გამო, რადგან რუსეთის სპეციალური დანიშნულების ძალები ამზადებენ შემდგომში ტერორისტულ ბაზებს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე აგენტურის მეშვეობით. ასეთი ბაზების არსებობა ხელს უწყობს მათ ჩაატარონ დივერსიულ-ტერორისტული აქტები, გამოიყენონ ეს ბაზები შეკრებისათვის, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებების, სურსათის, გატაცებული მძევლის ევაკუაციისთვის, აგენტურული შეხვედრებისთვის, ტურისტული მოგზაურობისთვის რა დროსაც შეისწავლება მომავალში საბრძოლო დავალების ადგილმდებარეობა გადაადგილების საშუალება. მაგალითად, ტერორისტული ბაზის შესაქმნელად გ.რ.უ-ს ფულით აგენტი აშენებს ან ყიდულობს სახლს

დასახლების განაპირა ადგილზე, სასურველია ტყესთან, ხევთან ან მდინარესთან ახლოს. სახლი არის მყარი აქვს სარდაფი და ავტოფარეხის ადგილი და ინახება საწვავი, სურსათი დგას ძველი, მაგრამ ტექნიკურად გამართული სამხედრო მანქანა ან მისი მსგავსი მანქანა. აგენტს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია მიიღოს „ღამის სტუმრები“. გაშიფვრის საფრთხის შემთხვევაში, შეუძლია განაცხადოს, რომ მასზე მოხდა თავდასხმა, იმყოფებოდა მძევლად და ა.შ. მაგალითები ბევრი შეიძლება იყოს, რადგან ბაზა მზადდება არსებული საჭიროების მიხედვით. ასეთი სახის თავშესაფარი თუ საბრძოლო მოქმედებების დაწყებისთვის მოსამზადებელი გამაგრებული რაიონები მზადდება ძალიან ბევრი, გამოიყენება გამოქვაბულებიი, შახტები, მიტოვებული შენობები, საქალაქო კანალიზაციის მაგისტრალი, სასაფლაოები, ძველი გემები, ფურგონები, კონტეინერები, მიტოვებული თუ დაქირავებული სახლები და ა.შ სადაც შეიძლება თავშესაფარი ნახოს სპეცრაზმელმა ტერორისტებმა. საყურადღებოა, რომ ასეთ აგენტები სპეცსამსახურების მიერ პრობლემის შექმნის შემთხვევაში, ადვილად პოულობენ „უფლებადამცველებს“ „პრესის თანმშრომლებს,“ რომლებიც სახალხოდ აშუქებენ ეთნიკური ნიშნით დევნის შესახებ და კატეგორიულად მოითხოვენ მათ გათავისუფლებას. აღნიშნული კვლევით ხაზს ვუსვავთ საქართველოს სავალალო მდგომარეობას საზღვრებზე, ზემოთ ჩამოთვლილი მდგომარეობა იმდენად თვალში საცემია საქართველო სომხეთის საზღვარზე, რომ ის არაპროფესიონალაც შეიძლება შეამჩნიოს, თუკი ზემოთ ჩამოთვლილი ჩამონათვალით ისარგებლებს.

საქართველო სომხეთის საზღვრის ეს მონაკვეთი განსაკუთრებულად კონტროლდება სომხეთში ქალაქ გიუმრიში არსებული რუსული ბაზის კონტიგენტისთვის, სადაც ასევე განთავსებულია გრუ-ს ბაზა.

„გრუ-ში არის ორი დამოუკიდებელი დანაყოფია, რომელიც დაკავებულია ექსტრემისტებით და ტერორისტებით, ეს არის გრუ-ს 3-ე სამმართველო, რომელიც სწავლობს ტერორისტულ ორგანიზაციებს და მათში შეღწევის საშუალებებს და მე-5 სამმართველო, რომელიც დაკავშირებულია დაზვერვასთან და სპეცრაზმთან.“ [90. 24].

იდეოლოგიური დივერსია-საბოტაჟი, როგორც წესი სახელმწიფო ტერორის გარკვეულ ფორმას წარმოადგენს, რა დროსაც შექმნილი იდეოლოგიური ტერორის გამო სახელმწიფოსთვის დივერიის ან საბოტაჟის მოწყობა ჩვეულებრივ

ადვილდება და ყოველდღიურ წესად იქცევა და ხორციელდება ჰიბრიდული ომის მწარმოებელი სახელმწიფოს მიერ.

„ფრაგმენტი მიხეილ სუსლოვის დახურული მოხსენებიდან: თუ ქართველები თავისუფლებას მოითხოვენ, მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან, ადრე თუ გვიან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარასა და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის ფუნქცია უნდა შევასრულოთ. პარალელურად, ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ ისინი სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს“ [91].

მსგავსი იდეოლოგიური დამუშავების ქვეშ დიდი ხანია არიან აფხაზები და ოსები, რაც მათ განაწყობს საქართველოს წინააღმდეგ.

დივერსია-საბოტაჟისთვის რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ იყენებს არა მარტო საქართველოში შეძენილ აგენტურულ ქსელს, არამედ მათაც, ვინც ცხოვრობს, მუშაობს ან სწავლობს საქართველოს საზღვრებს გარეთ და, განსაკუთრებით, რუსეთში, რათა შემდგომ ისინი დაბრუნდნენ საქართველოში და, რუსეთის სპეცსამსახურების ხელშეწყობით, დაწინაურდნენ სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურაში თუ პოლიტიკს სფეროში. საბჭოთა დაზვერვა მუშაობდა სტუდენტების წინააღმდეგ უმაღლეს სასწავლებლებში. საბჭოთა კავშირში უმაღლესი სასწავლებლის „ოპერატიულ მომსახურებას“ ახორციელებდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მე-5 იდეოლოგიური მთავარი სამმართველოს მე-3 განყოფილება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უცხოელ სტუდენტებს, რომლებიც საბჭოთა კავშირში სასწავლებლად ჩამოდიოდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის სპეცსამსახურების დახმარებით, მასთან აგენტურულ კავშირში მყოფი პირები შემდგომში პოლიტიკური მოღვაწეები გახდნენ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთი დღესაც „კავშირშია“ ძველ გადაბირებულ კადრებთან, მოსკოვში ხშირად ტარდება სსრკ-ში და შემდგომ რუსეთში უცხოელთა სტუდენტთა მსოფლიო ფორუმები. ასეთ შეხვედრებს არ ტოვებს უყურადღებოდ ვ. პუტინიც. რუსეთი თავის ბიუჯეტში ზრდის რუსეთში უცხოელ სტუდენტთა სწავლაზე გაწეულ ხარჯებს.

საქართველოს სპეცსამსახურებმა უნდა გააქტიურონ განათლების სისტემაში მუშაობა, რათა დაიცვან საკუთარი მოქალაქეები უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებისგან. მათ მიერ აგენტების და გავლენის აგენტების საწინააღმდეგოდ უნდა გატარდეს ღონისძიებები, ასეთების აღმოჩენა არცთუ ისე ძნელია, რადგან არსებობს სპეცსამსახურების მუშაობის მეთოდოლოგია, გაკვალული გზები, რისი გამოცდილებაც საქართველოს სპეცსამსახურებს ჰქონდა. ქვეყნის ყოფილი ხელისუფლების მიერ გატარებული „რეფორმების“ შედეგად სპეცსამსახურები დატოვეს უნიკლური გამოცდილების მქონე კადრებმა და მათი ადგილი დაიკავეს გამოუცდელმა და სპეცსამსახურის სპეციფიკის არ ცოდნის მქონე კადრებმა. სტუდენტის წინააღმდეგ მუშაობს რუსეთის ფსბ-ს ტერიტორიული და ცენტრალური დანაყოფები, რაც შანსს არ უტოვებს სტუდენტს დაამთავროს უმაღლესი საწავლებელი აგენტურულ ქსელში გადაბირების გარეშე. რუსეთში სპეცსამსახურების საკანონმდებლო ბაზა მოითხოვს, რომ უმაღლეს სასწავლებლებს ჰყავდეთ კურატორი F.S.B დანაყოფი, რომელთა მოვალეობაა რუსეთში სასწავლებლად ჩასული უცხოელი სტუდენტების გადაბირება და რუსეთის და აგენტურულ ქსელში ჩართვა. კანონით გათვალისწინებული „სავალდებულო გადაბირების“ არ შესრულების შემთხვევაში დგება ამ დანაყოფის, რომელიც კურირებს უმაღლეს სასწავლებელს, კურატორი ოფიცრების და მათი დანაყოფის ხელმძღვანელის პასუხისგების საკითხი, რაც შეიძლება დამთავრდეს „სამსახურებრივი მოვალეობის არ შესრულების გამო“ მათი სამსახურიდან დათხოვნით. რუსეთის სპეცსამსახურები იყენებს ყველა საშუალებას, მათ შორის, სასწავლებლიდან გარიცხვა შექმნილი პროვოკაციების შედეგად, დისციპლინის, აკადემიური მოსწრების, ან კრიმინალურ საქმიანობაში ჩართვის, პროვოკაციულად სისხლის სამართალში მიცემის გამო, რა დროსაც გამოიყენება დამხმარე აგენტურული ძალები, კრიმინალი, მოსყიდვა და ა.შ.

„უმაღლეს სასწავლებლებში გადაბირება ხდება GRU-ს ორი ორგანიზაციის მიერ. GRU-ს 3-ე სამმართველო ახდენს ინფორმატორების გადაბირებას, რომლებიც შემდგომ დარჩებიან „ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის რიგებში“ და გრუ-ს ხელმძღვანელობას მიაწვდინა შიდა საიდუმლოებებს. მე-5 სამმართველო ახდენს გადაბირებას სპეცდანიშნულების ძალების ქსელისთვის“ [90. 24].

რუსეთში უმაღლესი განათლების მიღებულ უცხოელ სტუდენტთა შემდგომი კარიერული გზა გავს ერთმანეთს, რუსეთში უმაღლესის დამთავრების შემდგომ ისინი აუცილებლად ხვდებიან ევროპის ან ამერიკის, რომელიმე სასწავლებლში, „განწმენდის“ გავლის მიზნით. ევროპაში ან ამერიკაში კურსების გავლის შემდგომ ისინი ბრუნდებიან სამშობლოში და მათ უხილავი ხელი „ახალგაზრდა“ „პერსპექტიული“ ევროპა ან ამერიკაში განათლება მიღებული სტუდენტის სახით. ასეთი „მოულოდნელი კადრების“ გამოჩენისას უნდა გატარდეს შესაბამისი ოპერატიული ღონისძიებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამ პიროვნებების მიერ შემდგომში ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული საბოტაჟი.

ასეთ სიტუაციებში ირევა ტყუილ-მართალი და რუსეთი ქმნის მართვად ქაოსს. საქართველოს სპეცსამსახურები ვერ და არ უწევს წინააღმდეგობას შექმნილ სიტუაციას. დასავლეთის ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ ფართოდ გამოიყენება ტყუილთან ბრძოლისთვის ტექნიკის მიღწევები, ერთ-ერთი ასეთია სიცრუის დეტექტორი. წარმოებული იდეოლოგიური ტერორის შესაჩერებლად შექმნილ სიტუაციაში საჭიროა ფართოდ იქნეს გამოყენებული ტუილთან ბრძოლის ეფექტური საშუალება სიცრუის დეტექტორი. სიცრუის დეტექტორის დახმარებით სახელმწიფო სტრუქტურებს შეუძლია გამოავლინონ უცხო ქვეყნის აგენტურა და მათზე მომუშავე ქსელი. კერძო კომპანიები პოლიგრაფს იყენებენ კონკურენტი ფირმების ინფორმატორებისგან თავის დასაცავად და კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით. ფართოდ გამოიყენება სიცრუის დეტექტორი კადრების შერჩევისას, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში პოლიგრაფზე შემოწმება ხდება პერიოდულად. მაგალითად მოვიყვანოთ აშშ, სადაც პოლიგრაფს გამოიყენებენ 1950-იანი წლების ბოლოდან. მოქმედი კანონები ამას არეგულირებს და ხდება მიღებული შედეგების გათვალისწინება. სიცრუის დეტექტორი არ იძლევა 100-პროცენტიან შედეგს, მაგრამ მისი შედეგი მნიშენელოვანია. უნდა აღვნიშნოთ, რომ

საქართველოში სატელევიზიო შოუში გამოიყენება სიცრუის დეტექტორი, ხოლო სპეცსამსახურებს დეტექტორის გამოყენება, აზრადაც არ მოსდით. „სიცრუის დეტექტორის ოპერატორთა კანდიდატებს მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ. კერძოდ, უნდა იყვნენ აშშ-ს მოქალაქე, არანაკლებ 25 წლის და ჰქონდეს გფბ-ში გამომძიებლად მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი, დამთავრებული უნდა ჰქონდეთ პოლიგრაფის ოპერატორის კურსები.“ [92. 28].

ზემოთ მოყვანილ ციტატაში აღნიშნულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამერიკაში სიცრუის დეტექტორის ოპერატორის პროფესიონალიზმის შერჩევის კრიტერიუმი უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში; პარლამენტარების, მინისტრების მისი მოადგილეების დეპარტამენტების თუ სამმართველოს უფროსების, რომ აღარაფერი ვ თქვათ, ოპერატიულ საგამოძიებო სტრუქტურების ქვედა რგოლებზე. ასეთი მიდგომა ხელშემწყობია მტრულად განწყობილი ქვეყნებისთვის, აწარმოონ დივერსია-საბოტაჟი სახელმწიფო სტრუქტურებში, პარლამენტში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომელთა მხრიდანაც ხდება ისეთი კანონების ინიცირება, მიღება რაც ლახავს ქვეყნის სუვერენიტეტს ავტორიტეტს, ანტიკონსტიტუციურია და ფაქტიურად ტერორში ამყოფებს ქვეყნის ძირითად მოსახლეობას. აღნიშნული მოსახლეობაში იწვევს უკმაყოფილებას და ხელისუფლებისადმი უნდობლობას. აუცილებელია ჩავატაროთ პრევენციული ღონისძიებები, რათა შეიზღუდოს რუსეთის და მისი აგენტურის გავლენა საქართველოს სახელმწიფოზე. თუ გავითვალისწინებთ ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებს და ჰიბრიდული ომის წარმოების მეთოდებს რუსეთ-საქართველოს საბრძოლო მოქმედებების განჭვრეტა არ გაგვიჭირდება. ასეთივე მდგომარეობაა რუსეთ-უკრაინის დაპირისპირების შემთხვევაშიც. სიტუაციის შეფასებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ რუსეთის არა მარტო საგარეო მდგომარეობა, არამედ საშინაო პრობლემები, რადგან შექმნილ კრიზისულ სიტუაციაში რუსეთის ხელისუფლებას სჭირდება პატარ-პატარა გამარჯვებები საგარეო „ფრონტზე,“ რითაც ახდენს მისი მოსახლეობის კონსოლიდაციას. ჰიბრიდული ომის წარმოება იმდენად დამაზიანებელია სახელმწიფოსთვის, რომ ის გაცილებით მეტ ზარალს აყენებს მოწინააღმდეგეს ვიდრე უეცარი თავდასხმით მიღებული წარმატება. საქართველოსთვის

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ რუსი სტრატეგების მიერ შემუშავებული „ახალი თაობის ომის“ ანუ „ჰიბრიდული ომის“ მაჩვენებლები რაც გამოიხატება:

- „ფარული“ მტრული მოქმედებები, მშვიდობიანობის დროს;
- ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური, ეროვნული, რელიგიური დაპირისპირება ან მისი ინსპირირება მოწინააღ-მდეგის ტერიტორიაზე;
- ფარული მტრული მოქმედებები ყველა სფეროში, სადაც ეს ხელმისაწვდომია;
- მეხუთე კოლონის გააქტიურება, რომელიც თუ გავითვალისწინებთ საქართველოს შემთხვევას უფრო მნიშვნელოვან ზარალს აყენებს სახელმწიფოს, ვიდრე წარმოებული საბრძოლო მოქმედებები, რომელიც იწვევს ხალხში უკურეაქციას პატრიოტული გრძნობების და საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებას;
- სპეცდანიშნულების ძალების და მათ მიერ მომზადებულ აგენტურის გამოყენება, დივერსიულ ტერორისტული საქმიანობის გააქტიურება;
- საინფორმაციო სივრცეში ბრძოლას რუსული ჰიბრიდული ომის დოქტრინაში დიდი ყურადღება ეთმობა და მისი წარმატება აგებულია ასეთი ბრძოლების მოგებაზე.

დასავლეთის ქვეყნებში „დემოკრატიის,“ „ლიბერალიზმის“ „თანასწორობის“ და „ადამიანის უფლებათა დაცვის“ სახელით იქმნება პროპაგანდისტული მანქანა. ასე მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ქ. ლონდონში ლიბერალიზმით და ლტოლვილების მიმართ თანაგრძნობით გამორჩეული გაზეთები, სატელევიზიო არხები. ზოგიერთი მათგანი ყოფილი საბჭოთა დაზვერვის თანამშრომლების საკუთრებაა და „მტკიცედ დგანან“ ევროლირებულების და დემოკრატიის სადარაჯოზე. რუსეთი თავისი დივერსიული საქმიანობის გასავრცელებლად ფართოდ იყენებს ინტერნეტს. რუსეთის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი თუ კონტროლირებადი მედია-საშუალებების

მათი მთავარი ამოცანა პოლიტიკური დისკუსიის კრემლის ინტერესების სასარგებლოდ წარმართვაა. ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოშიც, სადაც „ანტირუსული" განწყობის ტელევიზიის ფაქტიური მფლობელი შეიძლება იყოს რუსეთის მოქალაქე და რუსეთში „ბიზნესის მწარმოებელი" პირები. თუ როგორ უსწორდებიან რუსეთის სპეცსამსახურები თავიანთ მოქალაქეებს ან იმ პირებს, ვინც რუსეთში აწარმოეს ბიზნესი და რუსეთის წინააღმდეგია. ჩვენ განხილული გვაქვს 1 თავში, სადაც აღწერილია რუსეთის ხელისუფლების მიერ წარმოებული პოლიტიკური ტერორი და პოლიტიკური მკვლელობები იმ პირების მიმართ ვინც გახდა მისთვის მიუღებელი. რუსეთის მიერ წარმოებული „ჰიბრიდული ომი," რუსული დოქტრინით კი „ახალი თაობის ომი," ამ სიტყვების ხმარებისას ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ „სახელმწიფო ტერორი," როგორც რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის წარმოების მექანიზმი.

კვლევის შედეგად ვადგენთ, რომ საქართველოში რუსეთის მიერ წარმოებულ „ახალი თაობის ომის" დოქტრინაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ომის წინა მოსამზადებელ ფაზას, თუმცა საბრძოლო მოქმედებამდე საქმის მიყვანა ყოველთვის არ არის სასურველი რადგან რუსული „ჰიბრიდული ომის" წარმოება ითვალისწინებს: სამიზნე ქვეყნებში „მეხუთე კოლონის" შექმნას. ის შედგება ორგვარი ჯგუფისგან: ერთი რომელიც ცნობილია, რომ მომხრეა რუსული გავლენის, ეს ძირითადად ეთნიკური უმცირესობა, რომელიც ისტორიულად მომხრეა რუსეთის და „დემოკრატიის" „თავისუფლების" „სამართლიანობის" „უმცირესობის დაცვის" სახელით შექმნილი რუსული სპეცსამსახურების მიერ ფარულად მართული პოლიტიკური ორგანიზაციები.

რუსეთის კონტროლის ქვეშ შექმნილი ორგანიზაციები, დისკრედიტაციას უწევენ პატრიოტულად განწყობილ ძალებს და მათ აბრალებენ რუსეთთან ურთიერთობას. ასეთი პარტიები ხელისუფლებაში ყოფნის დროს განუწყვეტლივ ლანძღავენ რუსეთ მაგრამ საქმით აკეთებენ რუსეთისთვის სასარგებლო ქმედებებს და ყველა ვინც მათ შეწინააღმდეგება ცხადდება რუსეთის „აგენტად." ეს არის რუესეთის სპეცსამსახურების ოპერატიული თამაში, რაშიც სამწუხაროდ ქართული მოსახლეობა და სპეცსამსახურები დღემდე ვერ გარკვეულან. მეხუთე კოლონის მიერ, პროპაგანდის, საინფორმაციო–ფსიქოლოგიური ზეწოლის გამოყენებით, ხდება სამიზნე ქვეყნის ეთნიკურ ჯგუფებში, პოლიტიკურ ელიტასა და

სამოქალაქო საზოგადოებაში დაპირისპირების გაღვივება. პარალელურად, ხორციელდება საინფორმაციო სივრცის მომზადება საერთაშორისო აზრის შესაქმნელად და იდეოლოგიური დივერსიის წარმობისთვის: მაგალითად, საქართველოსთან 2008 წლის ომი, სადაც რუსული არმიის მიერ განხორციელებული სამაჩაბლოს და კოდორის ხეობის ანექსია შეფასდა როგორც „იძულება მშვიდობისკენ,“ რის გამოც დღემდე არ არის სათანადოდ შეფასებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი აღნიშნული შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც რუსეთის მიერ ორგანიზებული „დეზინფორმაცია.“

**დეზინფორმაცია** „დეზა“ ესაა აშკარა ტყუილი ინფორმაციის შექმნა-გადაკეთება მიმართულების შეცვლა, გავრცელება განზრახული გეგმის მიხედვით. **დეზინფორმაცია არის ორი სახის:**

ა) საომარი ვითარებისას, როცა მთავარი მიზანია მოწინააღმდეგის და შეცდომაში შეყვანა;

ბ) მშვიდობიან პერიოდში, როდესაც საჭიროა მოწინააღმდეგის დეზორგანიზაცია პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური რელიგიური, ეთნიკური ინფორმაციის მაგივრად ყალბი მონაცემების გავრცელება.

ორივე შემთხვევაში რუსეთი ცდილობს საერთაშორისო თანამეგობრობის შეცდომაში შეყვანასაც „დეზინფორმირებას“, რადგან მსოფლიოში იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენა და როლი.

მშვიდობიან პერიოდში რუსების მიერ დეზინფორმაციის გავრცელება და ამით საბრძოლო მოქმედებებში ჩათრევის ბიძგი მოხდა სამაჩაბლოს (ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“) ტერიტორიაზე განლაგებული სამშვიდობო ჯარების სარდლის გრუ-ს გენერალი მარატ კულახმეტოვის, მიერ 2008 წლის ივლის-აგვისტოში გაკეთებული განცხადებები, რომ „კოკოითი გაგიჟდა ჩვენ მას ვერ ვაკონტროლებთ“ მსგავსი ფრაზებით მოხდა ქართული მხარის პროვოცირება და გაჩნდა იმედი, რომ რუსეთი არ ჩაერეოდა საქართველოს საქმეში და ვითომდა მათი კონტროლიდან გამოსული სეპარატისტული „სამხრეთ ოსეთის“ ლიდერი ე.კოკოითი თავისი სეპარატისტული მცირერიცხოვანი ძალით დარჩა მარტო. განვითარებულმა მოვლენებმა გვაჩვენა, რომ ეს იყო რუსეთის მიერ ბრწყინვალედ ჩატარებული „დეზინფორმაციული ომი“ და დაგეგმილი

სპეცოპერაცია საქართველოს კონფლიქტში ჩასათრევად, რამაც საქართველოს შეუქმნა უდიდესი საფრთხე. ამ დროისთვის რუსული სამხედრო დანაყოფები იმყოფებოდნენ საქართველოს საზღვრებთან სამაჩაბლოს და აფხაზეთის მიმართულებით და ელოდნენ როდის მიეცემოდათ მიზეზი შეესრულებინათ „მშვიდობის მყოფელის“ მანდატით გათვალისწინებული მისია.

რუსეთის პრესაში პერიოდულად გამოჩნდება 2008 წლის ომთან დაკავშირებული ფაქტები. მაგალითად, საქართველოში შემოჭრილი 58-ე არმიის სარდლის მოადგილე ანატოლი ხრულოვი აღიარებს, რომ 5 აგვისტოს მიიღო ბრძანება გაეძლიერებინა რუსული სამხრედრო კონტიგენტი ქ. ცხინვალში. საქართველოს წინააღმდეგ ასევე გამოყენებული იქნა რუსეთის საჰაერო და შავი ზღვის ფლოტი. საფრანგეთის პრეზიდენტის ძალისხმევით და გაწეული შუამდგომლობით კონფლიქტურმა მხარეებმა საქართველომ და რუსეთმა 12 აგვისტოს მიაღწიეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას. საქართველომ 15 აგვისტოს მოაწერა ხელი, ცეცხლის შეწყვეტას, ხოლო რუსეთმა — 16 აგვისტოს. არსანისნავია ისიც, რომ საფრანგეთის პრეზიდენტის მოთხოვნის შედეგად 12 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა ცეცსხლის შეწყვეტის ბრძანება გასცა. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, რუსეთმა ჯარების უმეტესი ნაწილი გაიყვანა. მ. სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო რუს სამშვიდობოებს აცხადებს ოკუპანტად, „სამხრეთ ოსეთისა“ და „აფხაზეთის“ ტერიტორიებს ოკუპირებულ ტერიტორიებად. „2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთმა „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის დამოუკიდებლობა სცნო.“ [93].

საინტერესოა ისიც, რომ 2008 ომის დაწყებამდე არ გამოაცხადა რუსული ჯარი ოკუპანტად, გაუგრძელა სამშვიდობო მანდატი და ოფიციალურად მისცა უფლება კონფლიქტის შემთხვევაში ჩარეულიყო, როგორც „მშვიდობისმყოფელი.“ ჩანს, საქართველოს ხელისუფლება არ მოქმედებდა „გააზრებულად,“ ომის წარმოება მიმდინარფეობდა უცხო ქვეყნის ხელისუფლებების დახმარების იმედზე, თუმცა საჭიროა ემოქმედათ ისრაელის და უბადლო მხედართმთავრის მოშე დაიანის მოწოდების მიხედვით: „ჩვენ ვერ შევძლებთ ყოველთვის ყველაფრის დაცვას, მაგრამ შეგვიძლია დავაწესოთ მაღალი საზრაური ჩვენი დაღვრილი სისხლისთვის“ [94. 54].

ვფიქრობთ, რომ დსთ-დან გამოსვლა ადრე რომ მომხდარიყო და რუსეთს არ გაგრძელებოდა „მშვიდობისმყოფელის" მანდატი საერთაშორისო არენაზე შესაძლებელი იქნებოდა რუსული დანაყოფების საქართველოს ტერიტორიიდან გასვლის მოთხოვნა და იქნებ მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარებულიყო. რუსეთის მიერ მშვიდობისმყოფელის მანტია აძლევდა უფლებას და ევროპის ქვეყნების ლიდერები თხოვდენ კიდეც, რუსეთს შეესრულებინა დაკისრებული მშვიდობისმოყოფელის მისია და ჩარეულიყო ომის შესაჩერებლად. ისიც ადვილი გასათვლელი იყო, რომ საქართველოს მიერ დსთ-ს დატოვება და მშვიდობის მყოფელის მანდატის გაუქმება რუსეთს იძულებულს ხდიდა ეცნო ე.წ. „სამრეთ ოსეთის" და „აფხაზეთის" დამოუკიდებლობა, რათა ამ ტერიტორიებზე შეენარჩუნებინა თავისი სამხედრო კონტიგენტი. აღნიშნულის შემდგომ, რუსეთის სახელმწიფო დუმის სპიკერის მოადგილემ რუსეთს მოუწოდა „აფხაზეთისა" და „სამხრეთ ოსეთი" დამოუკიდებლობის ცნობა, კონფლიქტის გამო.

„ის, რომ ჩვენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჩვენ სამხედრო თვალსაზრისით უნდა დავრჩენილიყავით, ეს ცალსახა იყო, – აცხადებს რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის ყოფილი უფროსი ევგენი პრიმაკოვი რადიოსადგურ „Голос России“-სთან“ [95].

რუსეთი აცხადებდა, რომ რეგიონის დატოვებას არ აპირებდა. საქართველოს დსთ-ს დატოვების შემდეგ რუსეთი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან რუსეთს აღარ ექნებოდა ლეგიტიმაცია და გახდებოდა აგრესორი, ამიტომ რუსეთს ხელშეკრულება უნდა დაედოთ აფხაზებთან და ოსებთან. „ჩვენ ჩავდექით მძიმე მდგომარეობაში, საქართველომ დსთ რომ დატოვა, ჩვენ ან უნდა გვყოლოდა „ოკუპანტი“ ჯარი (რადგან ჩვენ უკვე აღარ ვიყავით მშვიდობისმყოფლები), ანდა დაგვედო ხელშეკრულება აფხაზეთთან და ოსეთთან, რის საფუძველზეც ჩვენ იქ გვექნებოდა სამხედრო ბაზები. ჩვენ იქ უნდა დავრჩენილიყავით სამხედრო თვალსაზრისით, ამაზე შეკითხვები არ არსებობდა“ – განაცხადა ევგენი პრიმაკოვმა [95].

ევროსტრუქტურების მიერ ამ მოვლენების შემდგომ საქართველოს მხარდაჭერა გამოიხატება, აღშფოთებებით და შეშფოთებით. ასეთი მიდგომა ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული საბოტაჟის ნიშნებს აშკარად შეიცავდა.

ამჟამად საქართველოს მოსახლეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე განიცდის განუწყვეტლივ ტერორს, განსაკუთრებით ევროსტრუქტურების წარმომადგენლების სიტყვიერი გააქტიურებებისას. საქართველოს პარლამენტის კომისიამ ზერელედ შეაფასა 2008 წლის კატასტროფის მიზეზები და ზოგადი შეფასებით შემოიფარგლა. ისრაელის სახელმწიფო არის სისიდით და მოსახლეობის ოდენობით საქართველოს მსგავსი ქვეყანა, მაგრამ ის არავის პატიობს მისთვის საფრთხის შექმნის მცდელობას.

**უპრეცედენტო სახელმწიფო ტერაქტი** განხორციელდა ისრაელის სპეცსამსახურების მიერ რუსეთის წინააღმდეგ, რაშიც საქართველოც იყო ჩათრეული. 2009 წლის აგვისტოში ზოგიერთ საჯაშუშო ვებ-გვერდებზე ჩნდება ინფორმაცია, რომ მშრალტვირთმზიდი „Arctic Sea“ რუსული ეკიპაჟით ბორტზე, შეპყრობილი იქნა ისრაელელი სპეცრაზმელების მიერ ხოლო 28 ივლისს ისინი შეიპყრო რუსულმა სპეცრაზმმა კაბო-ვერდეს კუნძულებთან, ხოლო 17 აგვისტოს მოსკოვში თავდაცვის სამინისტროს სამხედრო აეროდრომზე ჩამოიყვანეს გემის

ეკიპაჟი და ისრაელელი და ტყვე ისრაელელი სპეცრაზმელები. დაკავებულ დივერსანტებს ჰქონდათ ორმაგი ისრაელელ-ლატვიისა და ისრაელ-ესტონეთის მოქალაქეობა. აღნიშნული მეკობრული თვდასხმის „ჩავარდნა“ დიდი დარტყმა იყო ისრაელის სახელმწიფოსთვის, რადგან, სავარაუდოდ, რუსეთს გადაქონდა ატომური იარაღი, რომლის ხელში ჩაგდებაც სურდა ისრაელს. რუსულმა მხარემ განაცხადა: გემის დათვალიერებისას რაიმე, რასაც შეუძლია ჩრდილი მიაყენოს რუსულ მხარეს აღმოჩენილი ვერ იქნა. ცნობილი ფაქტია, რომ ჰილარი კლინტონი ამ დროს იმყოფებოდა კუნძულ კაპო ვერდეს მახლობლად. რუსეთის მხარის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციით ისრაელის დაზვერვას უნდოდა გემზე განეთავსებინა ატომური იარაღი მოეხდინა აფეთქება კუნძულთან ახლო სავარაუდოდ ამ აფეთქებას შეწირებოდა ჰილარი კლინტონი და ეს დაბრალებოდა რუსულ მხარეს. ძნელია ვივარაუდოთ საქმის ჭეშმარიტი არსი, მაგრამ რუსული პოლიტიკის გათვალსიწინებით თუ ვიმსჯელებთ ისრაელმა აღკვეთა ატომური იარაღის სირიაში მოხვედრა, რის შემდგომაც ველარავინ დაამტკიცებდა რუსეთის მიერ სირიისთვის ატომური იარაღის გადაცემის ფაქტს. ისრაელელი დივერსანტების გამოსახსნელად მოსკოვში, საქართველოდან თვითმფრინავით საიდუმლო ვიზიტით ჩადის ბენიამინ ნეთანიაჰუ ისრაელის პრემიერ-მინისტრი, რასაც რუსეთი საერთაშორისო პროტოკოლის ნორმების უპრეცედენტო დარღვევად აცხადებს. მნიშვნელოვანია ის, რომ რუსულმა მხარემ იცოდა ნეთანიაჰუს საიდუმლო ვიზიტის შესახებ თბილიში მისი სავარაუდოდ მოსკოვში გაფრენის შესახებ. მოულოდნელ ვიზიტს მოსკოვი შეხვდა „მომზადებული“ და ნეთანიაჰუს თითმფრინავს დიდხანს არ აძლევდენ ეროდრომზე დაჯდომის უფლებას. სავარაუდოდ, საქართველოში ნეთანიაჰუს ამ ვიზიტის შესახებ რუსეთმა შეიტყო შეატყო თბილისის აეროპორტის მეშვეობით.

დავუბრუნდეთ მოსკოვს: ნეთანიაჰუს მოუწია მძიმე მოლაპარაკების წარმოება, რის შემდგომაც ვერ იქნენ გამოხსნილი რუსული ტყვეობიდან ებრაელი სპეცრაზმელები რის შემდგომ ის ბრუნდება ისრაელში. ნეთანიაჰუს წარუმატებელი ვიზიტის შემდგომ ხდება თავდასხმა რუსეთის გულში ქ. ტამბოვში მდებარე გრუ-ს ბაზაზე, სადაც განთავსებული ყავდათ ებრაელი ტყვე სპეცრაზმელები. ავდასხმის შედეგად განადგრუებული იქნა სამხედრო საიდუმლო ბაზის დაცვადა სხვა დანაყოფები, ასევე იქ არსებული დოკუმენტაცია, ხოლო ებრაელ ტყვე

სპეცრაზმელები გატაცებული იქნენ, თუმცა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, თავდასხმის შედეგად დაიღუპა 7 რუსი სამხედრო „ამ მონაცემებს ადასტურებს რუსეთის ოფიციალური პირების განცხადებები, აღიარეს მებრძოლების დაღუპვა და ხანძარი ბაზაზე“ [96].

რუსეთის სპეცსამსახურების ქმედებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ტერიტორია, რაღაც სახით გამოყენებული იყო ებრაელი სპეცრაზმელების მიერ, თუმცა, რუსეთს პრესტიჟის გამო ამის შესახებ არ განუცხადებია, რადგან საქართველოს სპეცსამსახურებს, რომ ამ თავდასხმაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა რუსეთს ეჭვიც არ შეპარვია.

ისრაელის სახელმწიფოს გაბედული ქმედება რუსეთისთვის არის ისრაელის წინააღმდეგ წარმოებული ფარული დივერსიულ-ტერორისტული ომის შემაჩერებელი ფაქტორი. ძალიან ეფექტურია ისრაელის სახელმწიფო მოწყობა, სადაც სახელმწიფოს მაღალ ეშელონებში მხოლოდ ყოფილი სპეცრაზმელები და საბრძოლო გამოცდილების მქონენი ხვდებიან, რომლეთაც თავი გამოიჩინეს, როგორც მამაცმა და პროფესიონალმა სპეცრაზმელებმა.

თუ გავიხსენებთ საქართველოს მაგალითებს, თუნდაც გრუ-სთან დაპირისპირებისა, ჩვენ მოგვეპოვება ბევრი ფაქტი, როდესაც გრუ-ს მოუწია დათმობაზე წასვლა და ანგარიშის გაწევა საქართველოს სპეცსამსახურებისთვის. ასეთი ფაქტი ბოლოს კოდორის ხეობაში იყო, როდესაც საქართველოს სპეცრაზმებმა და კოდორის დამცველმა ადგილობრივმა მეომრებმა „მონადირემ“ მოახდინეს გრუ-ს სპეცრაზმების ბლოკირება. ასევე იყო შმთხვევები, როდესაც მომზადდა გრუ-ს რუსი და აფხაზი სპეცრაზმელების ლიკვიდაცია. ანალოგიური სპეცოპერაციები აგრესორების მიმართ ჩარატებულა სამაჩაბლოს ტერიტორიაზეც, რის შემდგომ გრუ-ს დივერსიულ-ტერორისტული რაზმები ნეიტრალდებოდა, რისი „გაბედვა“ დღეს დღის წესრიგშიც არც დამდგარა. რუსეთის აგენტურა ძალიან ძლიერია არასამთავრობო ორგანიზაციებში და პრესა-ტელევიზიაში. საგანგაშოა, რომ საქართველოში არსამთავრობო ორგანიზაციები დაფინანსებული უცხოეთიდან ხშირად ატარებენ აქციებს სხვადასხვა უმცირესობის დაცვის ეგიდით, მასობრივი გამოსვლებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადამიანის უფლებების დაცვას, თუმცა მათ მიერ ამის პროპორციული არცერთი საპროტესტო გამოსვლა არ მოჰყოლია რუსებისა და სეპარატისტების მიერ ქართველთა

გატაცებებს და მკვლელობებს, საზღვრის გადმოწევას თუ სხვა ტერორისტულ ქმედებას განხორცილებულს რუსეთის მიერ.

ისტორიადან გვახსოვს, რომ ჩრდილო კავკასიაში მოქმედმა რუსულმა აგენტურამ აფხაზეთის ომის მიმდინარეობისას საქართველოს გამოუცხადა „ჯიჰადი" და თბილისი უბედურების ზონად გამოაცხადა, რაზეც მაშინდელმა ხელისუფლებაში მყოფმა გასამხედროებულმა დანაყოფებმა რუსეთის ქალაქები, მათ შორის მოსკოვი და პეტერბურგი, გამოაცდახეს უბედურების ზონად. ამან რუსეთის ხელისუფლებაზე ცივი შხაპივით იმოქმედა და მან შეწყვიტა საქართველოს წინააღმდეგ იდეოლოგიური ომი და ღია მოწოდებები საქართველოს წინააღმდეგ ტერორისტული აქტების განხორციელებისა. აღნიშნული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რუსეთიც ისევე ექვემდებარება სახელმწიფო ტერორს, როგორც საქართველო.

## 2.2. ტერორიზმის სტატისტიკური მაჩვენებლები საქართველოში

**ბირთვული ტერორის** საფრთხე საქართველოში დღესაც არსებობს. 1957 წელს ქ. მცხეთაში დაიწყო ბირთვული რეაქტორის მშენებლობა, რომლის კვლევითი მუშაობა 1990 წლის 30 მარტამდე გაგრძელდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მიიღო რეაქტორის ფუნქციონირების შეწყვეტისა და მისი ექსპლუატაციიდან გამოყვანის გადაწყვეტილება. რეაქტორის სრულად დემონტაჟი დიდ თანხებთან არის დაკავშირებული გადაწყდა რეაქტორის დაბეტონება. გამომდინარე რუსეთ-საქართველოს ამჟამინდელი მდგომარეობიდან, აღნიშნული რეაქტორის არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს. ბირთვული რეაქტორიდან სულ რამდენიმე კილომეტრში 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მოქმედებდნენ რუსეთის სადივერსიო-ტერორისტული ჯგუფები, ერთ-ერთმა მათგანმა ააფეთქა საქართველოს სარკინიგზო ხიდი, აღნიშნულ დივერსიულ ტერორისტულ აქტს რუსეთი დღემდე უარყოფს. მართალია, რეაქტორი ამჟამად დაკონსერვებულია, მაგრამ არსებობს ტერორიზმის საფრთხე რუსეთ-საქართველოს გართულებული ურთიერთობიდან გამომდინარე, ის ტერორისტების თავდასხმის შემთხვევაში

ქვეყნისთვის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს, თუმცა რეაქტორის არსებობა შეიძლებოდა დადებითადაც გამოყენებულიყო, მაგალითად, „კვლევითი ბირთვული რეაქტორის არსებობა საშუალებას მოგვცემდა შექმნილიყო ბირთვული მედიცინის ცენტრი“ [97. 32].

საქართველოს გარდა კავკასიის რეგიონში ბირთვულ საფრთხეს შეიცავს სომხეთში არსებული ატომური ელექტროსადგური. სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის გამწვავების შემთხვევაში, არსებობს ბირთვული რეაქტორის დაზიანების საფრთხე. 1988 წელს სომხეთში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრით შეშინებულმა ატომური ელექტროსადგურის პერსონალმა მიატოვა ელექტროსადგური, დაიწყო რეაქტორების გადახურება, ხოლო პერსონალი უარს აცხადებდა სადგურზე დაბრუნებულიყო. სომხეთში შეიძლებოდა მომხდარიყო კატასტროფა, რომ არა საბჭოთა მთავრობის ოპერატიული მოქმედება, სამხედროებმა დაიწყეს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სადგურებიდან პერსონალის ჩამოყვანა და დაიწყეს რეაქტორების გაცივების პროცესი, რის შემდგომ 1989 წელს ბრძანება გაიცა ელექტროსადგურის დაკონსერვების შესახებ. 1995 წელს ენერგოკრიზისში მყოფმა სომხეთმა, რუსეთის დახმარებით, აამუშავა ატომური ელექტროსადგური. სპეციალისტები შიშობენ, რომ ომის დაწყების ან დივერსიულ-ტერორისტული აქტის შემთხვევაში, შესაძლებელია, მოხდეს ავარია ატომურ ელექტროსადგურზე, რომელიც საქართველოდან 177კმ-ში მდებარეობს.

**ქიმიური იარაღი,** ტერორიზმის საფრთხე საქართველოში. ასეთი საფრთხე ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობისას დადგა. 1989 წლის 9 აპრილს რუსული ჯარის მიერ გამოყენებული იქნა ქიმიური იარაღი მშვიდობიანი მიტინგის დარბევისას. ექიმები დაზარალებულებს ვერ ეხმარებოდნენ, რადგან არ იცოდნენ ამ ქიმიური იარაღის შემადგენლობა. სამხედროებმა კი, რა თქმა უნდა, ეს საიდუმლო არ გაამხილეს. ტოქსიკოლოგები არ გამორიცხავდნენ, რომ საქმე ჰქონდათ ორი ტიპის მოწამვლასთან, ერთი იყო გამაღიზიანებელი, ცრემლსადენი, ხოლო მეორე ატროპიის ეფექტის გამომწვევი მოწამვლა. კავკასიაში ერთ-ერთი მსხვილი მინერალური სასუქების მწარმოებელი „რუსთავის აზოტი“ 1973 წლიდან აწარმოებს ნატრიუმის ციანიდს. სხვადასხვა დანიშნულების მიუხედავად

ნატრიუმის ციანიდი ასევე გამოიყენება ლეტალური გაზის ზარინის დასამზადებლად. ასეთ ნივთიერებას ორმაგი დანიშნულების ნივთიერება ეწოდება.

2004 წელს ამერიკელი სენატორის, რიჩარდ ლუგარის, თბილისში ვიზიტისას საფუძველი ჩაეყარა თბილისში, აეროპორტთან ახლოს, ალექსეევკაში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის შექმნას, რომელიც 2011 წლის 18 მარტს გაიხსნა და რომელშიც ძალიან საშიშ ბაქტერიებსა და ვირუსებზე ატარებენ ცდებს. სხვათა შორის, წითელას ვირუსის გავრცელება დაიწყო აჭარიდან, სადაც ქალაქ ქობულეთში მუშაობს ლუგარის ლაბორატორიის ერთ-ერთი ფილიალი.

**ბიოლოგიური ტერორიზმის** საფრთხე გაცილებით მასშტაბურია. პრობლემას ქმნის ორმაგი გამოყენების საკითხი. „ძნელია განასხვავო ფარმაკოლოგიური და ბიო-აგროკულტურული კვლევები ბიოლოგიური იარაღის კვლევებისგან“ [32. 383].

**„გეოფიზიკური ტერორიზმი“** იგულისხმება მიწისძვრის ხელოვნური გამოწვევა დამტკიცებულია, რომ მიწისქვეშ ატომური თუ წყალბადის ბომბის აფეთქების შემთხვევაში შესაძლებელია შერჩეულ რეგიონში გარკვეული სიმძლავრის მიწისძვრის წარმოქმნა, ხოლო სეისმურად აქტიურ ზონაში ხელოვნურად გამოწვეული მიწისძვრა ნაკლებად საეჭვოა. თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთის აზროვნება განსაკურებით არ შეცვლია რა გარანტია გვაქვს, რომ აღნიშნულ იარაღს არ გამოიყენებს საქართველოს წინააღმდეგ, მით უმეტეს, რომ ამის დამტკიცება საკმაოდ რთულია და, დამტკიცების შემთხვევაშიც, ვინ მოსთხოვს რუსეთს პასუხს? ზოგადად სახელმწიფო საფრთხეების არსებობა შეიძლება იყოს გამოვლენილი კომპეტენტური პირების თუ ორგანიზაციების მიერ, მაგრამ მათი შეფასება და გათვალისწინება ხდება სახელმწიფო მოხელეების მიერ, რომელნიც ხშირად ვერ აფასებენ საფრთხის სერიოზულობას ან სულაც არ აღიქვავენ საფრთხედ და შეფასება ჰგონიათ გაზვიადებული ან მცდარი.

**სპეცრაზმების დივერსიულ-ტეორისტული თავდასხმები,** 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს რუსმა დივერსანტებმა მოაწყვეს თავდასხმა ფოთის სამხედრო პორტში, სადაც საქართველოს სამხედრო ბაზიდან გაიტაცეს სამხედრო ტექნიკა. „ბაზაში შემოვიდნენ პროფესიონალი დივერსანტები, რომლებმაც ააფეთქეს საქართველოს მცურავი საშუალებები, ხოლო ნაწილი წაიღეს.“ [98. 17].

ფოთის პორტში მიტოვებული იქნა თავდაცვის სამინსტროს კუთვნილი ყველა მცურავი საშუალება და მტრის დივერსანტების მიერ განადგურდა ყველა საბრძოლო საშუალება, რომელიც იყო დაქვემდებარებული თავდაცვის სამინისტროს უწყებას. 2008 წლის საბრძოლო მოქმედებების დროს არა მხოლოდ რუსეთის სპეცრაზმები ეწეოდნენ დივერსიულ ტერორისტულ საქმიანობას, არამედ ქართული დივერსიული დაჯგუფებები ახდენდნენ დივერსიულ-ტერორისტულ თავდასხმებს მოწინააღმდეგეზე. მაგალითად, 2008 წლის 10 აგვისტოს ქართული სადაზვერვო დივერსიული დანაყოფი ჩაუსაფრდა რუსულ სამხედრო კოლონას და თავდასხმის შედეგად გაუნადგურა რამდენიმე ჯავშანტექნიკა ეკიპაჟით, დანაყოფი ბრძოლაში არ ჩაება და განხორციელებული თავდასხმის შემდგომ განერიდა ბრძოლის ველს. აღნიშნულმა თავდასხმამ შეაჩერა რუსული ჯავშანკოლონა და განმეორებითი თავდასხმის მოლოდინში დაელოდა დამხმარე ძალებს. მზვერავთა ოცეულის თავდასხმა სამი ბატალიონისგან და დამხმარე დანაყოფებისგან შემდგარ კოლკონაზე (1000-მდე სამხედრო) არის ასიმეტრიული ომის მაგალითი. ასეთმა თავდასხმებმა მიიღო პარტიზანული დივერსიულ ტერორისტული ომის ხასიათი და რუსული ჯავშანკოლონები თავისუფლად აღარ გადაადგილდებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე.

საჭიროა საქართველოშიც შეიქმნას „კიბერ ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგიული გეგმა“ როგორც ეს ბევრმა სხვა ქვეყანამ გააკეთა, მათ შორის, ასეთი გეგმის არსებობის შესახებ განცხადება 2011 წლის ნოემბერში გააკეთა დიდმა ბრიტანეთმა, რომელმაც „სამთავრობო კავშირგაბმულობის სამმართველოს“ იმავდროულად ელექტრონული დაზვერვის სამსახურებს დაავალა გეგმის მიხედვით მუშაობა. ბრიტანეთმა კიბერტერორიზმთან ბრძოლისთვის 650-მილიონი ფუნტი სტერლინგი გამოყო.

**სახელმწიფო სამოხელეო საბოტაჟი,** საქართველოში ეკონომიკის მინისტრად დანიშნული კ.ბენდუქიძის მიერ განხორციელებულ პრივატიზაციას უფრო საბოტაჟის ფორმა ჰქონდა, ვიდრე სახელმწიფოს მიერ გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკისა. შეგვიძლია მოვიყვანოთ ფრაგმანეტები ლარისა ბურაკოვას წიგნიდან „რატომ გამოუვიდა საქართველოს“ იქ მოყვანილი ფაქტები არავის გაუპროტესტებია, რაც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ჟურნალისტის მიერ მოყვანილი ფაქტები ნამდვილია. წიგნში აღწერილია თუ როგორ გადაწყვიტა

საქართველოს მომავალმა ეკონომიკის მინისტრმა ქვეყანაში ჩამოსვლა, ის რომ მისი ჩამოსვლა საქრთველოში შეთანხმებული იყო პუტინთან, ხოლო ამის გაკეთბა მას თხოვა არკადი ვოლსკიმ, რომელიც 1992 წლიდა 2005 წლამდე იყო რუსეთის მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარე.

რატომ დასჭირდა მის დაბრუნებას საქართველოში პუტინის თანხმობა დარჩა გაურკვეველი ბენდუქიძის ლონდონში გულის შეტევით გარდაცვალების გამო. ეს კიდევ ერთი გამოცანაა იმათთვის, ვინც ლონდონში გარდაცვლილ და პუტინთან რაიმე კავშირში მყოფი ხალხის ბედით ინტერესდება. კონტრეტერორისტულ სამუშაოს საქართველოში ძირითადად ასრულებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომელიც ანგარიშვალდებულია პარლამენტთან.

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა (სუს) 2015 წლის საქმიანობის ანგარიში ჩააბარა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და თავდაცვის კომიტეტებს, რომელთა წინაშე მოხსენებით წარდგა სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან იზორია. ლევან იზორიამ გამოსვლის ძირითადი ნაწილი დაუთმო კონტრტერორისტულ მიმართულებებს, საქართველოს სასაზღვრო კონტროლზე აყვანილ იქნა 1286 პირი, ხოლო 1014-ს აეკრძალა საქართველოში შემოსვლა. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, აღკვეთილია საქართველოს მოქალაქეთა კონფლიქტის ზონაში გამგზავრების მცდელობის 40 ფაქტი. ლევან იზორიას თქმით, მნიშვნელოვანი იყო „ისლამურ სახელმწიფოსთან“ დაკავშირებული საქართველოს მოქალაქეების დაკავების ფაქტები: „დაიწყო გამოძიება ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ ე.წ. წარმომადგენელ აიუფ ბორჩაშვილისა და მისი დაჯგუფების წინააღმდეგ. დასრულდა მათი სასამართლო პროცესი და მათ სასამართლომ თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ქ.თბილისში 2017წ. 21-22 ნოემბერს ჩატარებული 17 საათიანი სპეცოპერაციის შედეგად, რომლის მიზანი იყო დაეშის (ისლამური სახელმწიფო) ჩეჩნური წარმოშობის 3 ტერორისტის ლიკვიდაცია მოხდა. პოლიციის სპეცრაზმმა ალაში მოახდინა ბინა სადაც იმყოფებოდნენ ტეროსიზმში ეჭვმიტანილი პირები. ალყაში მოყოლილ პირებს შორის იყო ახმედ ჩატაევი რომელიც ეჭვმიტანილი იყო სატამბოლის აეერროპორტში განხორციელებული ტერორისტული აქტის, რომელმაც გასულ წელს 45 ადამიანი ემსხვერპლა. საქართველოში შემოსვლისას ტერორისტმა სავარაუდოდ უკანონოდ

გადაკვეთა საქართველოს საზღვარი და ცხოვრობდა ბინაში, რომელიც სხვა ჩეჩენის, სახელად ასლანბეგ ჯაბრაილოვის სახელზეა რეგისტრირებული. აღნიშნული ნათლად აჩვენებს საქათველოს წინაშე არსებულ გამოწვევებს, რადგან საქართველოს მოქალაქეები აქტიურად არიან ჩართულნი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში. ადრე თუ გვიან აღნიშნულ პირებს მოუწევთ სამშობლოში დაბრუნება.

## 2.3. ტერორიზმის ასახვა საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკურ დოკუმენტებში

2008 წლის ომის დამთავრების შემდგომ რუსეთის გამარჯვებით გათავხედებული ოსი სეპარატისტები იპარავდნენ ყველაფერს რაც „ცუდად“ იდო. საქართველოს ხელისუფლება მხოლოდ პროტესტებით შემოიფარგლებოდა და აგრესიას სახელმწიფო დონეზე წინააღმდეგობას ვერ უწევდა. გათავხედებული ოსური ბანდფორმირებების დასასჯელად საქართველოს სპეცსამსახურებმა ჩაატარეს რამდენიმე წარმატებული სპეცპოერაცია. საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიიდან ოსური ბანდ ფორმირებები იტაცებდენ ტექნიკას და სატვირთო მანქანები, რომლებიც მუშაობდნენ გორი-თბილისის ავტომაგისტრალზე. ასეთი თავდასხმების შესაწყვეტად და მოწინააღმდეგის დასაჯელად საქართველოს სპეცსასმახურებმა დანაღმეს სატვირთო მანქანა და კონფლიქტის ზონასთან ახლოს „გზაზე მიატოვეს“ სეპარატისტები პროვოკაციას წამოეგნენ და გაიტაცეს მიტოვებული სატვირთო მანქანა რამდენიმე საათში აღნიშნული სატვირთო მანქანა აფეთქდა ცხინვალის სამშვიდობო ძალების შტაბთან და ორ ათეულამდე სეპარატისტი და ოკუპანტი დაღუპა. ქართული დივერსიულ ტერორისტული დაჯგუფებების მათ შორის პარტიზანების მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციოებს ჰქონდა სეპარატისტების მხრიდან ჩადენილი დანაშაულის პროფილაქტკის და პრევენციის ხასიათი. ასევე ისჯებოდნენ ის სეპარატისტები, რომლებიც თავს ესხმოდნენ ეთნიკურად ქართველებს. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ აფხაზმა სეპარატისტებმა, დივერსიულ-ტერორისტული აქტის შედეგად, ბათუმში ააფეთქეს პიკაპი, რა დროსაც დაიღუპა სამაშველო სამსახურის თანამშრომელი, აღნიშნული ტერაქტი ჩადენილი იყო ვინმე ვოლმერ ბუთბას

ხელმძღვანელობით. ქართველების მიმართ განსაკუთრებული სიძულვილის გამო მას აფხაზეთის გმირის წოდება ორჯერ ჰქონდა მინიჭებული. ტერაქტიდან ცოტა ხანში ვოლმერ ბუთბა და მისი თანამზრახველი კვეკვესკირი საქართველოს პარტიზანებმა გალის ცენტრში სახალხოდ სამაგალითოდ დასაჯეს. ამის შემდგომ აფხაზები ვეღარ ბედავდენ ქართველების შეწუხებას. აღსანიშნავია, რომ მანამდეც არაერთი სეპარატისტი დაისაჯა ქ. გალში. სამწუხაროდ, დღევანდელი სპეცსამსახურები თავიანთი არაპროფესიონალიზმის გამო ასეთ აქციებს ვეღარ აწყობენ, რის გამოც გახშირდა სეპარატისტების მხრიდან ქართველების მკვლელობები. ბუთბას დასჯის შემდგომ სოხუმში ჩავიდა პუტინი, რომლებმაც აფხაზ სეპარატისტებს დახმარება აღუთქვა თუმცა, აფეთქდა ის ნავი, რომლითაც პუტინის სურვილის შემთხვევაში ზღვაზე უნდა გაესეირნა, აფეთქება მოხდა სამზარეულოშიც იმ შენობასთან ახლოს, სადაც განთავსებული იყო რუსეთის ხელისუფლება. სეპარატისტების ან რუსი ოკუპანტების საჩვენებილი დასჯით ხდებოდა შურისძიება მათ მიერ ჩადენილ დანაშაულობებზე და ქართველების მიერ დათესილი ტერორის გამო ისინი ვერ ბედავდენ ქართველებზე თავდასხმას. გარდა იმისა, რომ ჩვენმა სპეცსამსახურებმა ბუთბა სამაგალითოდ დასაჯეს, მათ აფხაზეთში ჩამოსული პუტინი საშინელ დღეში ჩააგდეს. აფეთქდა ის ნავი, რომლითაც პუტინი აპირებდა ზღვაში გასეირნებას; აფეთქდა სამზარეულოც, რომელიც ახლოს მდებარეობდა რუსეთის სამთავრობო რეზიდენციასთან.

კვლევით დგინდება, რომ **ისლამური სახელმწიფოს** შექმნაში თავისი როლი ითამაშეს საქართველოს მოქალაქეებმაც, კერძოდ საველე მეთაური ამირ აბუ ომარ ალ-შიშანი იგივე თარხან ბათირაშვილი საქართველოს მოქალაქე და შსს სპეც. დანაყოფის ყოფილი თანამშრომელი, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს მსახურობდა საქართველოს შსს-ში. თ. ბათირაშვილი იყო ისლამური სახელმწიფოს ჩრდილოეთის ფრონტის სარდალი და პასუხისმგებელი იყო ალეპოსა და დამასკოზე. მის ფორმირებაში დაახლოებით 8 ათასამდე მებრძოლია მათ შორის რამდენიმე ასეული საქართველოს მოქალაქე ეთნიკურად ქართველი. ბათირაშვილი ბავშვობიდან იყო ჩართული რუსეთის წინააღმდეგ ომში და არაერთხელ ჰქონდა გადაკვეთილი საქართველო-რუსეთის საზღვარი ჩეჩნეთის მონაკვეთზე. ის მუშაობდა საქართველოს შსს სპეცდანიშნულების რაზმში, და მონაწილეობა მიიღო რუსეთის წინააღმდეგ 2008

წლის ომში. თ. ბათირაშვილი გარკვეული მიზეზების გამო წავიდა საქართველოდან და ის 2014 წელს აშშ-ს ხელისუფლებამ ტერორისტთა სიაში შეიყვანა. ბათირაშვილი გარდაიცვალა ავიაიერიშის შედეგად 2016 წლის 14 მარტს. ისლამური სახელმწიფოს რიგებში იბრძვის კიდევ ერთი ქართველი მეთაური მუსლიმ ალ შიშანი, იგივე მურად მარგოშვილი, „ქისტი ჯორჯი". აგვისტოს ომის დროს პანკისში მურად მარგოშვილის თაოსნობით შეიკრიბა ასამდე ადამიანი, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს ებრძოლათ რუს ოკუპანტებთან, თუმცა ხელისუფლებამ ეს არ გამოიყენა და ბრძოლაში გამოცდილი მეომრები არ ჩართო რუსეთთან ომში ისე როგორც უარი უთხრეს ქ. თბილისში შეკრებილ ათასამდე აფხაზეთის ომის ვეტერანს, რომლებიც კიდევ რამდენიმე ათასი ვეტერანის იარაღის ქვეშ დაყენებას შეპირდა ხელისუფლებას.

2017 წლის 22 ნოემბერს თბილისში განხორციელდა ანტიტერორისტული ოპერაცია რა დროსაც ლიკვიდირებული იქნა სტამბოლის აეროპორტის აფეთქებაში თანამონაწილე ახმედ ჩატაევი და მასთან თანმხლები ორი პირი. მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ ბინა, სადაც განხორციელდა ანტიტერორისტული ოპერაცია, ეკუთვნის პანკისის ხეობაში დაბადებულ ეთნიკურად ქართველს, რომელიც ამჟამად ავსტრიაში ცხოვრობს, ხოლო ბინა მდებარეობდა ქ. თბილისში გაბრილ სალოსის ქუჩაზე. სიტუაციას აქვს დატვირთვითი მნიშვნელობა ის, რომ მართლმადიდებელი წმინდანი ბერის სახელობის ქუჩაზე ქალაქის განაპირას ბინა ჰქონდა ნაყიდი ავსტრიაში თავშესაფარ მიღებულ ადამიანს და ბინა მიაქირავა ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებს. აღნიშნული არის სპეცსასმახურების მიერ დაშვებული ლაფსუსი, იმ შემთხვავაშიც კი თუ მათ იცოდენ აღნიშნული ტერორისტების ადგილსამყოფელი და ვერ მოხერხდა მათი გადაფარვა.

ანტიტერორისტული ღონისძიებები ასევე ტარდება ქ.ბ.რ.ბ-ს საკითხებში კერძოდ: *საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშის 01.08. 2015წ. 31.12.20.ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული (ქბრბ) უსაფრთხოება, მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა. ქიმიური, (ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული) (ქბრბ) უსაფრთხოება, მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფო უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური*

*და ბირთვული (ქბრბ) უსაფრთხოება. „ქ.ბ.რ.ბ" ინციდენტები, მასშტაბებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული საფრთხის* შემცველია საზოგადოებისთვის. ქ.ბ.რ.ბ საფრთხეების კუთხით, ზოგადად, რეგიონი არასტაბილურია. ცალკეულ სახელმწიფოებს გააჩნიათ კარგად განვითარებული ბირთვული ინდუსტრია, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ ბირთვულ ინციდენტს საქართველოზე უარყოფითი გავლენა ექნება. ქვეყანაში ასევე განთავსებულია რამდენიმე ობიექტი (ყოფილი საბჭოთა სამხედრო და სამეცნიერო ობიექტები), სადაც შესაძლებელია დღესაც მოიპოვებოდეს ქიმიური და რადიოლოგიური საფრთხის შემცველი ნივთიერებები. არსებობს რადიოაქტიური და ქიმიური ნივთიერებების განთავსების ადგილები, ბიოლოგიური პროფილის დაწესებულებები. შესაბამისად, უსაფრთხოების არასათანადო პირობებში, ბუნებრივი თუ ადამიანური ფაქტორების ზემოქმედებით, ასევე კრიმინალური ქმედებებით, მუდმივად არსებობს ქბრბ ნივთიერებების გარემოში მოხვედრისა და უკანონო დაუფლების რისკი. განსაკუთრებით ყურადსაღებია ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფებისა და ტერორისტების მიერ ამ ნივთიერებების ავი განზრახვის მიზნით ხელში ჩაგდების სურვილი. ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა, ასევე ხელსაყრელ გარემოს ქმნის იარაღის და ქბრბ ნივთიერებების უკანონო ბრუნვისა და ტრანზიტისთვის. ქბრბ უსაფრთხოების სფეროში უსაფრთხოების სამსახურის მიერ გადადგმულია ქმედითი ნაბიჯები.

2015 წლის 1 ოქტომბერს ბერლინში გამართულ დიდი შვიდეულის მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ გლობალური პარტნიორობის (G7 Global Partnership Against the Spread of the Weapons and Materials of Mass Destruction) სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე, სადაც UNICRI-სა და გერმანული მხარის მიწვევით ქართული მხარეც იმყოფებოდა.

2015 წლის 8 დეკემბერს, გაერო-ში საქართველოს მისიის თავმჯდომარეობით, გაიმართა ჯგუფის პირველი დამფუძნებელი სხდომა, რომელსაც 27 წევრი ქვეყანა ესწრებოდა. მეგობართა ჯგუფი მიზნად ისახავს ქბრბ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების გაერო-ს დღის წესრიგში დაყენებასა და განხილვას, სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული შესაძლებლობების

განვითარების მხარდაჭერას, გაერო-ს შესაბამისი რეზოლუციების იმპლემენტაციის ხელშეწყობას, ახალი რეზოლუციების ინიცირებას და ა.შ.

2015 წლის აგვისტოში თბილისში ამოღებულ იქნა უკანონოდ მოპოვებული რადიოაქტიური ნივთიერება „ცეზიუმ-135“-ის და „ცეზიუმ- 137“-ის ნარევის შემცველი ქარხნული წესით დამზადებული სპეციალური მინის ორი კონტეინერი (თითოეული წონით 600 გრამი).

2016 წლის 6 იანვარს, თბილისში ამოღებულ იქნა უკანონოდ მოპოვებული რადიოაქტიური ნივთიერება „ცეზიუმ-137“-ის შემცველი მცირე კონტეინერი. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 01.08.2015-31.12.2015 16-21 გვ

საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ განსაზღვრავს საქართველოში ტერორიზმთან ბრძოლის ორგანიზების ფორმებსა და სამართლებრივ საფუძვლებს, აგრეთვე ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში ხელისუფლების ორგანოთა კოორდინაციის წესს, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მონაწილეობის საფუძვლებს, მათ უფლებებს, მოვალეობებს და მათი სოციალური დაცვის გარანტიებს.

# თავი III
# ტერორიზმი და თანამედროვე ევროპა

## 3.1. ტერორიზმი როგორც ტრანსნაციონალური მოვლენა

ტერორიზმი ევროპაში საფუძველი გახდა ორი ყველაზე სისხლისმღვრელი ომისა მსოფლიოში პირველი და მეორე მსოფლიო ომის დაწყების მიზეზი ოფიციალური განცხადებით განხორციელებული ტერორისტული აქტები გახდა, რამაც შემდგომში ომში ჩაითრია მთელი მსოფლიო. ფრანც ფერდინანდის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერორისტულ აქტს ევროპაში დიდი დაძაბულობა და პირველი მსოფლიო ომის დაწყება მოყვა. პირველი მსოფლიო ომი (1914–1918), იყო ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტი, რომელსაც დაახლოებით 9 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

რის შემდგომ გერმანიამ დაკარგა გარკვეული ტერიტორიები, არსებული რევანშისტული განწყობით ისარგებლა ნაციონალისტურ სოციალისტურმა პარტიამ და მილიტარისტული პოლიტიკის გატარება დაიწყო, რასაც მეორე მსოფლიო ომის გაჩაღება მოჰყვა. მეორე მსოფლიო ომი იყო ყველაზე მასშტაბური კონფლიქტი, რომელიც დაიწყო გერმანიის თავდსხმით პოლონეთზე 1939 წლის 1 სექტემბერს. საომარი მდგომარეობა დასრულდა 1945 წლის 8 მაისის ვერმახტის კაპიტულაციით, ხოლო აზიაში 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიის კაპიტულაციით.

პირველი მსოფლიო ომი გახდა მიზეზი რუსეთში ბოლშევიკური რევოლუციისა. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით შეპყრობილმა ქვეყანამ გააჩაღა ტერორისტული ომი საკუთარი ხალხის მიმართ, რა დროსაც ანადგურებდა კლასობრივ განსხვავებებს მოსახლეობაში. სახელმწიფოს მიერ წარმოებულმა ტერორმა მილიონობით ადამიანი შეიწირა. ბოლშევიკები ხალხის კეთილდღეობის სახელით, თანასწორობის და ტოლერანტობის სახელით ტერორის მეშვეობით ანადგურებდენ მათთვის მიუღებელ მოსახლეობას. ლოზუნგით მიწები გლეხებს და ქარხნები მუშებს, მოხდა ექსპროპრიაცია მიწების და ქარხნების თუმცა არცერთი ხალხს არ გადაცემია მეტიც 1940 იან წლებში ქარხნის დირექტორს უფლება ჰქონდა პასუხისგებაში მიცემის მოთხოვნით მიემართა სადამსჯელო ორგანოებისთვის თუკი მისი თანამშრომელი აგვიანებდა სამსახურში, ხოლო ერთ წელზე მეტ ხანს უმუშევრობის შემთხვევაში „უსაქმურობის" გამო პიროვნების წინააღმდეგ იღძვრებოდა სისხლის სამართლის საქმე. „სტალინის დროს 1940 წ. 7 ივლისიდან მილიონნახევარი ადამიანი მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში სამსახურში დაგვიანების და სამსახურის გაცდენის გამო. შრომის იძულება იყო დაკანონებული საბჭოთა კონსტიტუციით მე-12 მუხლი „შრომა საბჭოთა კავშირი

არის სავალდებულო და წარმოადგენს ღირსების საქმეს – ვინც არ მუშაობს არ ჭამს“ [99].

ბოლშევიკური სახელმწიფოს შექმნას და მის ამბიციებს გაევრცელებინათ რევოლუციები მსოფლიოში, მოყვა აგრესიული დამპყრობლური პოლიტიკის წარმოება, ხოლო დაპყრობილ ქვეყნებში ტერორის გზით ბოლშევიკური დიქტატურის დამყარება. აღსანიშნავია, რომ ამ დაპყრობებს განსაკუთრებულ წინააღმდეგობას უწევდენ ის ქვეყნები, რომლებსაც გამოცდილება ჰქონდათ მეფის რუსეთთან ურთიერთობისა და იცოდენ რუსული დამპყრობლური პოლიტიკისა და დაუნდობლობის ხარისხი. საქმე იმაშიც იყო, რომ ბოლშევიკებმა ხელისუფლებაში მოიყვანეს გაუნათლებელი და უწიგნური ადამიანები, რომლებიც, მათი გონებაშეზღუდულობის გამო, ადვილად იმეტებდენ ადამიანებს სასიკვდილოდ და ატარებდენ მასობრივ რეპრესიებს.

ბოლშევიკური ტერორის 1937–1938 წლების ბოლოს საბჭოთა იმპერიამ მოინდომა სტრატეგიული ტერიტორიების შემოერთება და მსოფლიო ომისთვის მზადება დაიწყო. საბჭოთა კავშირის და **ფინეთის ომი 1939–1940** წლებში მიმდინარეობდა, რასაც „ზამთრის ომი“ ეწოდა. ომის დაწყების მიზეზი იყო საბჭოთა დივერსია განხორციელებული ფინეთის მიმართ. თუ ჩვენ გადავხედავთ ისტორიას თუ როგორ იწყებს რუსეთი ომს, ვნახავთ, რომ აგრესიული დიქტატორული ქვეყნების მიერ ომის დაწყების ფაქტიურად ერთი მეთოდი არსებობს. ისინი როგორც წესი აწყობენ პროვოკაციას და შემდგომ „აღშფოთებულნი უსამართლობით“ იწყებენ საბრძოლო მოქმედებების წარმოებას და „ჩაგრულთა დაცვას.“

სცენარი ყოველთვის ასეთია: ყველაფერი მზადაა საზღვრის გადასალახავად და ომის დასაწყებად მხოლოდ მიზეზია საჭირო და ამ დროს მოწინააღმდეგე, რომელიც ელის თავდასხმას რატომღაც მათ აძლევს საბაბს, რის შემდგომაც იწყება ქვეყანაში შეჭრა. ანალოგიური სცენარი გათამაშდა საბჭოეთის მიერ ფინეთთან ომის დაწყებამდე: „ჯერ ჩვენ რატომღაც განვათავსეთ ოთხი არმია ფინეთის საზღვართან, მერე რატომღაც ჩვენ გვესროლა ფინეთის არტილერიამ და, აი, აქ ჩვენ ავღშფოთდით და შეიჭრა კეთილშობილი წითელი არმია თავისუფლების დროშის აღსამართად სხვის ტერიტორიაზე“ [4. 273].

ფინეთს საბჭოთა ხელისუფლებამ მისივე მოწყობილი დივერსიულ ტერორისტული პროვოკაციის შემდგომ 1939 წლის 26 ნოემბერს საპროტესო ნოტა გაუგზავნა ფინეთის ხელისუფლებას საარტილერიო ცეცხლის გახსნის გამო, რომელიც იყო ვითომდა განხორციელებული ფინეთის მხრიდან და პასუხისმგებლობა ომის დაწყების გამო მთლიანად ფინეთის მხარეს დააკისრა. „ომის დამთავრების შემდგომ საბჭოთა კავშირმა ფინეთს წაართვა ტერიტორიების 11 პროცენტი და 430 ათასი ფინელი იძულებით გადასახლა საბჭოთა იმპერიის სიღრმეში. აღნიშნული აგრესიის გამო 1939 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირი გარიცხული იქნა ერთა ლიგიდან“ [100].

ფინელმა ხალხმა საბჭოთა კავშირს გაუწია მედგარი წინააღმეგობა რადგან არ სურდა საბჭოთა ტერორის ფინეთში გადატანა, მათ იცოდენ, რომ მოუწევდათ ტერორის წნეხში გავლა და საბჭოთა დაპყრობის შემდგომ არაადამიანური რეპრესიების გადატანა. ჩვენ ვიცით, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საბჭოთა ჯარმა „განმათავისუფლებელი მარშით“ გაიარა მთელი ევროპა. ბერლინი და გერმანია შუაზე გაყო ხოლო აღმოსავლეთ ევროპა მისი გავლენის ქვეშ მოაქცია. მაგრამ არსებობდა ერთი ქვეყანა ევროპაში ფინეთი, რომელმაც ისეთი წინააღმდეგობა გაუწია, რომ თვით სტალინიც კი შეაშფოთა, მიზეზი გახლდათ საბჭოთა მხეცობა, რასაც ხედავდა ფინელი ხალხი მათ საზღვრებთან. „ფინელმა ხალხმა იცოდა, რომ თუკი წითელი არმია დაიპყრობს მათ ქვეყანას მაშინ განმათავისუფლებელნი ტყავს გააძრობენ ცოცხალ ხალხს, თვში ჩაარჭობენ ლურსმნებს, წამებით მოკლავდენ უამრავ ადამიანს. ამიტომ მიუხედავად ყველა დანაკარგისა ფინეთი არ დანებდა“ [4. 103].

საინტერესოა მარშალი კარლ გუსტავ მანერჰაიმის მიმართვა საკუთარი ხალხის მიმართ, სადაც ის ამახვილებს ყურადღბას სბრძოლო დანაკარგებზე და დასავლეთის მიერ შეპირებული დახმარების არ არსებობაზე. მან შეახსენა ხალხს ომის სასტიკი კანონების შესახებ „თუ შენ არ მოკლავ შენ მოგკლავენ.“ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მარშალი მანრჰაიმი ფაქტიურად არ საუბრობდა ფინურად და რუსეთის იმპერიის შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა; იბრძოდა რუსეთ–იაპონიის ომში და პირველ მსოფლიო ომში რუსეთის მხარეზე, შემდგომ ხანებში წინამძღოლობდა ფინელებს დამოუკიდებლობის ომში 1918 წელს რუსეთის წინააღმდეგ.

დიქტატორული ხელისუფლების გაჩენის შემთხვევაში, მათი პირველი მტერი არის ხალხი. რუსეთში მომხდარი გადატრიალებით და დროებითი მთავრობის დაშლის შემდგომ ბოლშევიკების ამოცანა იყო, არ დაეშვათ ხალხის ნების გამოხატვა, რადგან ხალხი მართავდა დემონსტრაციებს და მოითხოვდა არჩევნების ჩატარებას, რისი დაშვებაც ბოლშევიკებს არ შეეძლოთ. ლენინმა და ტროცკიმ მიიღეს გადაწყვეტილება ტერორის გზით დაემორჩილებინათ მოსახლეობა და ხელისუფლება ჩაეგდოთ ხელში. მათ დაშალეს დამფუძნებელი კრება და მიიღეს გადაწყვეტილება დაეხვრიტათ დემონსტრაციებზე გამოსული ხალხი. აღნიშნული ქმედებები ხდებოდა თავისუფლების და ბედნიერების სახელით. ბოლშევიკურ ტერორისტულ ომს საბჭოეთში მოჰყვა „დიდი ტერორი", კერძოდ, უკრაინაში მოსახლეობას ჩამოერთვა სურსათი, რასაც მოყვა საყოველთაო შიმშილი. განვითარებულიმოვლენების დროს მილიონობით ადამიანი იქნა გარდაცვლილი შიმშილის გამო, რომელიც მოაწყო საბჭოთა ხელისუფლებამ ართა დაემორჩილებინა უკრაინელი ხალხი. ხალხს ტერორის ქვეშ მიერეკებოდენ კოლექტივში და აძალებდენ სახელმწიფოს მიწებზე ფაქტიურად უფასოდ მუშაობას. „კოლექტივიზაცია შესაძლებელი იყო მხოლოდ მუშურ-გლეხური წითელი არმიის ტყვიამფრქვევების ცეცხლის ქვეშ, რომლის მებრძოლი დანაყოფები ართმევდენ, რაც შეიძლებოდა ჩათვლილიყო საჭმელად და დაუნდობლად ანადგურებდენ" [4. 194].

საკუთარი ხალხის მიმართ განვითარებულ ტერორში საბჭოთა ხელისუფლება ხედავდა საშუალებას შეენარჩუნებინა ძალაუფლება, ხოლო უდანაშაულოდ განადგურებულ ხალხს უწოდებდენ კონტრრევოლუციონერებს. ასეთი მოქმედებები კლასიკური მაგალითია შიდასახელმწიფოებრივი ტერორისა, წარმოებული საკუთარი ხალხის მიმართ. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ იცოდა, რომ კომუნიზმის არსებობა შეუძლებელი იყო საზღვრების ჩაკეტვის და კომუნიზმის მსოფლიოში გავრცელების გარეშე, რის გამოც საბჭოთა კავშირი გერმანიის ხელისუფლებაში მოსულ ნაცისტებს ხელს უწყობდა ეწარმოებინათ საბრძოლო მოქმედებები და შემდეგ შეესრულებინათ ნაცისტებისგან განმათავისუფლებელის როლი, რაც ნაწილობრივ მოახერხა კიდეც და მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის გაწითლება შეძლო.

მსგავსად ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენებისა, დაიწყო **მეორე მსოფლიო ომი,** რისი მიზეზიც გახდა გერმანიის მიერ მოწყობილი პროვოკაციული თავდასხმა პოლონეთ-გერმანიის საზღვართან განთავსებულ რადიოსადგურზე, სადაც პოლონურ სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა გერმანელებმა მიიყვანეს საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეები დახვრიტეს და შექმნეს ბრძოლის იმიტაცია, რის შემდგომ მათ გადაუღეს სურათები, როგორც დახოცილი გერმანელი ჯარისკაცები და რადიოსადგურის ეთერში პოლონურ ენაზე სამი-ოთხი წუთის განმავლობაში გავიდა ეთერში, რათა მსოფლიოს გაეგო პოლონელების ვერაგული თავდასხმა გერმანელელებზე. ერთ-ერთი ამ თავდასხმელთა შორის იყო სს-ის ოფიცერი ნაუოქსი, რომლემაც შემდგომში აღნიშნულ ინციდენტზე ჩვენება მისცა ნიუნბერგის პროცესზე. მომზადების შემდგომ უხმეს ჟურნალისტებს, რომლებაც პოლონელი სამხედროების „დანაშაული" დააფიქსირეს ადგილზე. 1939 წლის 1 სექტემბერს ჰიტლერმა რადიოს საშუალებით მიმართა გერმანულ შეიარაღებულ ძალებს და გასცა პოლონეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების დაწყების ბრძანება. ჩვენთვის ნაცნობია სიტუაცია, როდესაც ხელისუფლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით იწყებს საბრძოლო მოქმედებების შესახებ ბრძანების გაცემას, რაც საზოგადოებაზე ზემოქმედების განხორციელების მიმანიშნებელია. გერმანელების მიერ პროვოცირებული ტერორისტული აქტის იმიტაცია მოაწყვეს სს-ის ოფიცრებმა და მისი შედეგი იყო მეორე მსოფლიო ომის დაწყება, რომელსაც სხვადასხვა შეფასებებით 40-დან 50 მილიონამდე ადამიანი შეეწირა.

მე-20 საუკუნის დასაწყისმა ევროპაში შვა სამი დიქტატორული სახელმწიფო: საბჭოთა კავშირი, ფაშისტური გერმანია და ფაშისტური იტალია. იტალიას დიდხანს უწევდა ტერორთან გამკვალება იყო ეს მაფიის წინააღმდეგ თუ იდეოლოგიური ტერორისტების წითელი ბრიგადების წინააღმდეგ ბრძოლა.

1935 წელს **იტალიამ ეთიოპიაში ომი** დაიწყო, იტალიელმა ოფიცრებმა გადაწყვიტეს არატრადიციული მეთოდებით ეომათ მოწინააღმდეგესთან და უპირატესობა მცირე საბრძოლო საშუალაებებს მიანიჭეს მათ მიერ შეიქმნა მართვადი ტორპედო „მაილაე", რომლის დანიშნულება იყო დივერსია-ტერორის შედეგად მოწინააღმდეგეზე ზარალის მიყენება. „მაიალეს" ეკიპაჟებს მოქმედება ღამით უწევდათ. იტალიელი სამხედრო ინჟინრები ყოველთვის გამოირჩეოდნენ ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნით. განსაკუთრებით კარგად გამოდიოდათ

ახალი საბრძოლო საშუალებების მცირე სერიებად წარმოება და მისი დროული ჩანაცვლება სხვა ტექნოლოგიიებით. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდგომ მოკავშირეებმა გაიყვეს იტალიის და გერმანიის ფლოტის ნარჩენები. საბჭოთა კავშირს შეხვდა და ნოვოროსიისკი ეწოდა. დივერსიულ-ტერორისტული საქმიანობის შემსწავლელთათვის გამოითქმის ვარაუდი, რომ იტალიელმა წყალქვეშა დივერსანეტბმა საბჭოთა კავშირზე შური იძიეს როდესაც 1955 წელის 29 ოქტომბერს დივერსიულ ტერორისტული აქტის ჩატარების შედეგად ააფეთქეს. წარსულის გამოცდილება გასათვალისწინებელია, რადგან რუსეთი ვერაფერს ახალს ვერ იგონებს და მოქმედებს ძველი მეთოდებით. რუსმა საზღვაო-დივერსანტებმა არაერთხელ შეძლეს ზარალი მიეყენებინათ საქართველოს საზღვაო ფლოტისთვის და მომხდარი ტერორისტული აქტები ძვირად დაუჯდა ჩვენ ქვეყანას.

მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან იტალიაში სერიოზულ იდეოლოგიურ საფრთხეს წარმოადგენდა იტალიის წითელი ბრიგადები, ევროპაში ყველაზე მრავალრიცხოვანი ტეორისტული ორგანიზაციაა, რომლეიც მემარცხენე იდეების გავრცელებას შეიარაღებული კომუნისტური პროპაგანდით ცდილობდა. წითელი ბრიგადები საბჭოთა სპეცსამსახურების დახმარებით მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს შეიქმნა. როგორც იტყობინებოდა იტალიური პრესა „2007 წელს იტალიის პოლიციამ დააკავა ბრიგადის 15 წევრი, რომლებიც პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონიზე გეგმავდნენ თავდასხმას“ [101. 41].

წითელი ბრიგადების სტრუქტურა დიდად არ განსხვავდება სხვა ტერორისტული ორგანოზაციისგან. ის შედგება იტალიის სხვადასხვა კუთხეში მოქმედი შეიარაღებული რაზმებისგან მათ გააჩნიათ პროლეტარული სასამართლოებიც. წითელი ბრიგადების გულშემატკივრებად მოიაზრება მილიონნახევარი იტალიელი. ბრიგადის ფილიალები ყველა ქალაქშია მათ აქვს მცირედი იდეოლოგიური განსხვავებებიც, მაგალითად ლენინის მიმდევრები მაოისტები, თუმცა ემორჩილებიან თავიანთ მეთაურებს და „კომუნიზმში შეიძლება იყოს სხვადასხვა ხედვა მარა მიზანი ერთია“ [101. 41].

იყოფა გავლენა იტალიაზე სამხრეთ იტალია, სადაც მაფია გაცილებით ძლიერია ნაკლებ პოპულარულია „წითელი ბრიგადები“ „წითელ ბრიგადებს“ წარმომადგენლობა აქვს: საფრანგეთში, შვეიცარიაში, მონაკოში, ავსტრიაში,

არგენტინასა და ბრაზილიაში. რეგისტრირდებიან, როგორც მემარცხენე იდეების ორგანიზაციები. მათი ტაქტიკა ტერორია, ასევე მასობრივი არეულობის მოწყობა, ამბოხება და ა.შ. ბრიგადის ტერორისტების აზრით, „ტერაქტი“ძალის დემონსტრირება უფროა, ვიდრე დასჯის საშუალება. ისინი მსხვერპლს ჩუმად არ ანადგურებენ. წინასწარ ავრცელებენ ინფორმაციას, რომ გამოტანილი აქვთ სასიკვდილო განაჩენი, რათა ხალხმა გაიგოს მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ, ხოლო მსხვერპლის განადგურების შემდგომ პასუხისმგებლობას იღებენ თავის თავზე. ასეთი ტაქტიკით „პოლიტიკურ ტერორში“ ამყოფებენ მოწინააღმდეგეებს. იმ შემთხვევაში თუ მსხვერპლს ვერ მიწვდებიან მას უწევს დამალვა და პოლიტიკური არენიდან გაქრობა რაც მიზნის მიღწევის საშუალებაა. „წითელი ბრიგადების „გარკვეული ნაწილი ცნობილია ისინი ფიქტიურად რეგისტრირდებიან სხვადასხვა სახელით გმობენ ტერორს, თუმცა აღიარებენ მემარცხენე რადიკალურ იდეებს. იტალიაში დარეგისტრირებულია კომუნისტური პარტია, გამოდის რადიკალური მემარცხენე გაზეთები. კავშირი აქვთ ანტიგლობალურ მოძრაობასთან. ითხოვენ იტალიის გასვლას ევროკავშირიდან, ფიზიკურად ეწინააღმდეგებიან ლტოლვილების ჩასახლება სიტალიაში. რასაც იზიარებს იტალიის მოსახლეობა, მაფია და მთავრობა, რომელმაც კანონმდებლობით აკრძალა იტალიის პორტებში იმ არასამთავრობოების გემების შესვლა, ვისაც ლტოლვილები გადაჰყავთ. იტალია ამხელს, ასევე, ადამიანით ვაჭრობაში არასამთავრობოებს, რომლებიც ხელს უწყობენ მუსულმანი ლტოლვილების ჩასვლას ევროპაში. „წითელ ბრიგადებს“ კავშირი აქვთ „იტალიის პოლიტიკურ-მილიტარისტულ კომუნისტურ პარტიასთან“, ასევე „იტალიის მებრძოლ კომუნისტურ პარტიასთან“ პარლამენტში მოღვაწეობს მემარცხენე რადიკალური პარტია „წინააღმდეგობის მხარდაჭერის კომიტეტები - კომუნიზმისათვის“ „წითელ ბრიგადებს“ მჭიდრო კავშირი აქვთ ლიბიასთან „ჰამასთან“ „ჰეზბოლასთან“ მათ რაღაც ნაწილში იდეოლოგია აერთიანებთ, თუმცა მათი ნამდვილი გამაერთიანებელია ყოფილი „კგბ“ და ამჟამად „ფსბ“. 1969 წლიდან საბჭოთის სპეცსამსახურების გავლენის ქვეშ მყოფი პარტიები იტალიაში იწყებენ გაფიცვებს ფაბრიკა ქარხნებში, უნივერსიტეტებში, რასაც წინ უძღოდა ფსიქოლოგიური დამუშავება მუშების და სტუდენტების უფლებების დარღვევების და თავისუფლების შეზღუდვის შესახებ, უარს აცხადებდენ ჯარში სამსახურზე, ითხოვდენ ნარკოტიკების დაკანონებას. წითელი ბრიგადები მოუწოდებდენ

წინააღმდეგობა გაეწიათ მთავრობისთვის და თავისუფლებისთვის ბრძოლაში იწვევდენ ყველას. თუმცა იყო საპირისპირო გამოსვლებიც, რომელთაც იტალიის „წითელი ბრიგადები“ ნათლავდნენ ფაშისტებად და მუსოლინის იდეოლოგიის მიმდევრებს უწოდებდენ, რომელთაც იტალიის ფაშიზმთან დაბრუნების და ბნელეთში ჩათრევის სურვილი ჰქონდათ. ჩვენ შეგვიძლია პარალელი გავავლოთ საქართველოს რეალობასთან და აღმოვაჩენთ, რომ ბევრი ლოზუნგთაგანი დღეს აქტუალურია საქართველოში. 1986 წელს „ბრიგადისტებმა“ მოკლეს ფლორენციელი ბიზნესმენი და განაცხადეს, რომ ის არღვევდა მუშების უფლებებს. აღარ ჩამოვთვლით „ბრიგადისტების“ მიერ მოწყობილ ტერაქტებს, ყოველი მათგანის გაცხადებული ოფიციალური მიზეზი მუშების, გლეხების და სტუდენტების „სწავლის და შრომის უფლებათა დაცვა“ იყო.

საქართველოს გასაბჭოების და ხელისუფლების ემიგრაციაში წასვლის შემდგომ პერიოდულად დევნილი ხელისუფლება ცდილობდა რაიმე სახით წინ აღდგომოდა ბოლშევიკურ ანექსიას საქართველოში. 1924 წლის აჯანყების შემდგომ საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა მოეცილებინა ემიგრაციაში მყოფი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი და ახორციელებდა ტერორისტულ თავდასხმებს საქართველოს საზოგადო მოღვაწეებზე, რაც შეეხება საბჭოთა და დღევანდელი რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ სახელმწიფო ტერორს ის განხილულია მეორე თავში.

რუსეთის სპეცსამსახურები ჩეჩნეთში დაწყებული ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყების დღიდან ცდილობენ საქართველო ჩაითრიონ ამ ომში. რუსეთი აცხადებს, რომ ტერორისტების მომზადება ხდება საქართველოს ტერიტორიაზე სპეცსამსახურების მიერ და ისინი ჩრდილო კავკასიაში შედიან საქართველოს მხრიდან თბილისის დავალებით. რუსეთი აცხადებს, რომ ანადგურებს ტერორისტებს ყველგან და ყოველთვის. ჩრდილო კავკასიაში ტერორისტული აქტების გახშირებას რუსეთი ყოველთვის უკავშირებს საქართველოს, რითაც რუსეთი ცდილობს დამალოს მისი სპეცსამსახურების ლაფსუსები და ტერორიზმთან ბრძოლის გაჭიანურება მეზობელი ქვეყნასთან არსებულ რთულ ვითარებას დააბრალოს. იმ შემთხვევაშიც კი თუკი ტერორისტული თავდასხმა განხორციელებული იყო საქართველოდან შორს. 2012 წლის 24 იანვარს ტერორისტები თავს დაესხნენ მოსკოვში მდებარე დომოდედოვოს

აეროპორტს, სადაც თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი მოსაცდელ დარბაზში აიფეთქა რისგანაც სამწუხაროდ არც საქართველოს აეროპორტებია არ არის დაზღვეული შენობების და უსაფრთხოების სავალდებულო სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო. დომოდედოვოს აეროპორტში განხორციელებული ტერაქტის კვალის ძებნა რუსეთმა, რა თქმა უნდა, საქართველოშიც დაიწყო. რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჩეჩენმა ტერორისტებმა რუსეთში შესვლა საქართველოს მხრიდან მოახერხეს, რითაც მსოფლიო საზოგადოებას აფრთხილებდნენ საქართველოს ტერორიზმთან კავშირის გამო. საგულისხმოა ის, რომ რუსეთის პრესა ავრცელებს იმ ვერსიებს, რომლებსაც შემდგომში სახელმწიფო გამოიყენებს და ხდება ვერსიების ზონდირება. ამით ირკვევა, რომელი ვერსია უფრო დამაჯერებელია საზოგადოებისთვის და შემდგომში ის ვერსია ხდება ოფიციალური. აუცილებელი არ არის ოფიციალურად მოხდეს საქართველოს დადანაშაულება საკმარისია მისი ხსენება გარკვეული დროის განმავლობაში და ტერაქტთან მიბმა. რუსეთის ამ ტაქტიკიდან გამომდინარე, ევროპის ზოგიერთ ქვეყანას საქართველო საშიშ ქვეყნების სიაში ჰყავდათ შეყვანილი. რუსეთის პრესაში „ექსპერტების“ მიერ მიცემულ ინტერვიუებში ირკვევა, რომ დომოდედოვოს აეროპორტში აფეთქებისას გამოყენებული იქნა პლასტიტი, რომელიც თუ იყო ამერიკული წარმოების, მაშინ ის საქართველოდან შეიტანეს. გარკვეული დროის შემდგომ რუსეთის ხელისუფლებამ პასუხისმგებლობა აეროპორტის ხელმძღვანელობას დააკისრა, ხოლო პრესა ალაპარაკდა სპეცსამსახურების არასაკმარის დაფინანსებაზე და კანონების გამკაცრებაზე. შემდგომში გაირკვა რომ ტერორისტი დაღესტანური დაჯგუფების წევრი იყო.

თუკი პირველი და მეორე მსოფლიო ომისთვის მზადება და სხვა ნაკლებად მასშტაბური საომარი მოქმედებები იწყებოდა ტერორისტული აქტის პროვოკაციით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წარმოებული საბრძოლო მოქმედებები თვითონ გახდა ტერორის ფართო მასშტაბით წარმოების საშუალება. საბრძოლო მოქმედბები დაემსგავსა მცირე მასშტაბის ტერორისტულ ომებს. ასეთი ომის წამოება შეუძლებელია სახელმწიფოების დაპირისპირებების გარეშე, რადგან სახელმწიფოს მიერ წარმოებულ ტერორისტულ ომ წინ აღუდგეს შეუძლია, მხოლოდ სახელმწიფოს ან მის მიერ მხარდაჭერილ ძალებს.

აღნიშნულის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ისრაელის მიერ წარმოებული მოქმედებები. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ისრაელის გამოცდილების გაზიარება. მათ მიერ ჩატარებული ღონისძიებები საკუთარი სახელმწიფოს დასაცავად, რადგან ისეთივე დივერსიულ ტერორისტულ მდგომარეობაში იყვნენ მოწინააღმდეგე სახელმწიფოებისგან, როგორც დღეს საქართველოა რუსეთის და სეპარატისტების მხრიდან. არაბულმა ქვეყნებმა გაწყვიტეს ურთიერთობა ისრაელთან, შეწვიტეს სავაჭრო კავშირები გამოუცხადეს ეკონომიკური ბლოკადა გადაკეტეს სუეცის არხი. ისრაელს არ ჰქონდა აღიარებული საზღვრები, რის გამოც შეიარაღებული ჯგუფები დაუბრკოლებლად დათარეშობდენ ისრაელის ტერიტორიაზე ახდენდენ ტერორისტულ თავდასხმებს ებრაელებზე. მარტო 1953 წელს 180 ისრაელის მოქალაქე მოკლეს და სასაზღვრო ინციდენტები ჩვეულებრივ ყოველდღიურ მოვლენად იქცა. ისრაელის სახელმწიფომ თვითონაც შექმნა დივერსიულ-ტერორისტული დანაყოფები, რომლებიც გადადიოდენ ეგვიპტის ტერიტორიაზე აწყობდნენ სხვადსხვა სახის თავდასხმებს და ყველაფერს ეგვიპტელ ისლამისტებს აბრალებდენ. ამით უარესდებოდა ეგვიპტე-ამერიკისა და ეგიპტე-ბრიტანეთის ურთიერთობა, ასევე თავს ესხმოდნენ იმ ეგვიპტელ ტერორისტებს, რომლებიც მტრობდნენ ისრაელს. ისრაელის სპეცსამსახურებმა დაიწყეს დივერსიულ ტერორისტული საქმიანობა ეგვიპტეს იორდანიის ტერიტორიებზე. ერთ-ერთ ასეთ დივერსიულ ტერორისტულ დანაყოფს ხელმძღვანელობდა არიელ შარონი ეს რეიდები იყო მოულოდნელი და ეფექტური, რის შემდგომაც ფაქტიურად შეწყდა თავდასხმა ისრაელის მოქალაქეებზე და ისრაელის ტერიტორიაზე ტერორისტების თარეში. ისრაელს პრობლემები ჰქონდა არა მარტო ხმელეთზე, არამედ ზღვიდანაც. ისრაელში შეიქმნა მე-13 ფლოტილია. ესენი იყვნენ წყალქვეშა დივერსანტები. 1969 წელს ისრაელელთა 12-კაციანმა ჯგუფმა მოაწყო თავდასხმა ეგვიპტელებზე და გაანადგურა რადიოლოკატორი საჰაერო თავდაცვის ობიექტები და მტრის 32 მებრძოლი და დაბრუნდა ბაზაში დანაკარგების გარეშე, იყო ასევე სხვა თავდასხმები, რის შემდგომაც, ეგვიპტელები აღარ ახდენდენ თავდასხმებს ისრაელთა ტერიტორიაზე.

საქართველოს სპეცსამსახურებში მყოფ პირებს არავითარი გამოცდილება და ზოგ შმთხვევაში წარმოდგენა არ აქვთ ანტიტერორისტულ, დივერსიულ-ტერორისტულ საქმიანობაზე, რითაც შეიძლება რუსეთის სამხედრო

მე-4 და მე-7 ბაზებს მიაყენონ იმდენად მნიშვნელოვანი დანაკარგი, რომ რუსები და სეპარატისტები შეწყვეტენ ტერორისტულ თავდასხმებს საქართველოს მოქალაქეებზე. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს წარსულს ვნახავთ, რომ ქართველი პარტიზნები იყვნენ ის ძალები ვინც ახენდა შურისძიებას ეთნიკურად ქართველების მტრებზე და არცერთი ტერაქტი ეთნიკურად ქართველების წინააღმდეგ ჩადენილი არ რჩებოდა დაუსჯელი.

## 3.2. „ახალი დიდი გადასახლება" ევროპაში და მოსალოდნელი შედეგები

ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ისლამური ფუნდამენტალიზმი გააიგივა ტერორიზმთან, მაგალითისთვის შეიძლება მოვი-ყვანოთ: ალ-აქიდა, ჰესბოლა, ბოკო ჰარამ და სხვა უკვე მრავლად წარმოქ-მნილი ტერორისტულ-იდეოლოგიური ორგანიზაციები, რომლის ძირითად იარაღად შეიძლება მივიჩნიოთ გავრცელების არეალში მცხოვრები ხალხის დაბალი ინტელექტუალური განვითარება და იდეოლოგიის აგრესიულობა, რაც იწვევს ჯიჰადის ანუ საღვთო ომის გავრცელებას. არ შეიძლება არ ვახსენოთ 2011 წლის ამერიკაში განვითარებული უპრეცედენტო ტერორისტული აქტები, რამაც გამოიწვია შტატების ჩათრევა ანტიტერორისტულ საბრძოლო მოქმედებებში, რამაც ფაქტიურად მოიცვა ახლო აღმოსავლეთი და ფაქტიურად აზიის კონტინენტი. ისლამური ფუნდამენტალიზმის განსაკუთრებული უკიდურესობა და აგრესია საჭიროებს განსაკუთრებულ მიდგომას. არა მარტო იმ ქვეყნებში, სადაც ამჟამად მიმდინარეობს საბრძოლო მოქმედებები ან გახშირებულია ტერორისტული აქტები, არამედ იმ ქვეყნებშიც სადაც ჯერ არ განხორციელებულა აგრესია. ასეთ ქვეყნებში ისლამისტების მიერ პერმანენტულად მიმდინარეობს ნიადაგის მოსინჯვა, რათა შემდგომში მოხდეს მათი ინტერესების გატარება ან ზეწოლა მაინც ამ ქვეყნებზე. ფუნდამენტალისტებმა მოახერხეს მთელი მსოფლიოს ყურადღების მიქცევა და ტერორისტული აქტების შორ დისტანციაზე, კერძოდ, აზიიდან ევროპაში გადატანა, რაშიც დიდად შეუწყო ხელი ლტოლვილებმა ევროპაში სხვადასხვა აზიური ქვეყნიდან, რომელთა შორის არის ბევრი ისლამისტი რადიკალი, რომელთა გამოვლენა ხდება ინტერპოლის თუ ადგილობრივი სპეცსამსახურების მიერ.

ისლამისტებმა წარმატებით შეძლეს შეეტიათ შუაგულ ევროპის ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა: ბელგია, გერმანია, საფრანგეთი. კრიმინალურად დაეძაბათ მდგომარეობა გერმანიაში. მათ სათავისოდ კარგად გამოიყენეს ლიბერალურ-დემოკრატიული მიდგომა ევროპული ქვეყნების დასასუსტებლად. მუსულმანი დევნილების მიზანმიმართულმა ნაკადმა ინგლისი აიძულა, გადაედგა გადამწყვეტი ნაბიჯები საკუთარი ტერიტორიების დევნილებისგან დასაცავად, რასაც ზოგი პოლიტიკოსი აღიქვავს როგორც ევროპის გაერთიანების დაშლის დასაწყისს. ტერორისტული აქტების გახშირების და ევროპაში მცხოვრები მუსულმანების გადაბირების ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ ფსევდო დემოკრატიული და ფსევდო ლიბერალური ფასეულობების გავრცელებამ ამ ქვეყნების მთავრობების მიერ. რასაც ადვილად იყენებენ აგრესიული იდეოლოგიის გამტარებელი მუსულმანი სასულიერო პირები. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიტანოთ ბრიუსელის ტერაქტები თუ გარმანიის ქ. კიოლნში განვითარებული მოვლენები, რა დროსაც მუსულმანი ლტოლვილები იქცეოდნენ აგრესიულად და აშკარა უპატივცემულოდ ადგილობრივი არამუსულმანი მოსახლეობის მიმართ რაც გამოიხატებოდა კრიმინალურ ქმედებებში განსაკუთრებით გამოხატული სექსუალური ხასიათით. ევროპაში მცხოვრები მუსულმანი მოსახლეობის მიერ მტკივნეულად აღიქმება ე.წ. სექსულური „თავისუფლება“ განსაკუთრებით ლგბტ პირების დემონსტრაციული ქმედებები. ისლამისტების მიერ ეს ქმედებები აღიქმება, როგორც ქრისტიანული ქვეყნების სისუსტე და „ჭეშმარიტი ღმერთის“ არყოლის გამო ბოროტის გამარჯვება. ლგბტ პირების მიერ ქ.კიოლნის ერთ-ერთ ეკლესიის ფლაგშტოკზე სიმბოლური ფერადი დროშის აღმართვა, პროპაგანდისტულად გამოყენებული იქნა ისლამისტი სასულიერო პირების მიერ. ფერად დროშასთან ერთად აღმართულია ქრისტიანული დროშა ჯვრის გამოსახულებით. არაერთმა ისლამისტმა „გადამბირებელმა“ გაავრცელა ამ ფაქტის ამსახველი სურათები ინტერნეტით და მოუწოდებდა ისლამისტებს გამგზავრებულიყვნენ გერმანიაში, სადაც „ურწმუნო მოსახლეობა დასუსტებული იყო გარყვნილებით და აუცილებელი იყო ისლამის მებრძოლების იქ ჩასვლა და ისლამისტ მებრძოლებს გაუადვილდებოდათ ევროპის წინააღმდეგ ბრძოლა. ქ. კიოლნის აღნიშნულ ტაძართან შემდგომში მოხდა არაერთი თავდასხმა ადგილობრივ მოსახლეობაზე განსაკუთრებით ქალებზე

ისლამისტი ლტოლვილების მიერ, რაც ატარებდა პროპაგანდისტულ ხასიათს და ერთი შეხედვით უმართავი პროცესები იყო მართული რადიკალი ისლამისტების მიერ.

„თავდასხმა ქალებზე ახალი წლის ღამეს იყო დაგეგმილი" განაცხადა გერმანიის იუსტიციის მინისტრმა გოიკომ. იტყობინება გაზეთი Deutsche Welle [102].

საქმე იქამდეც მივიდა, რომ ქ.კიოლნში საკათედრო ტაძრის კიბეებზე მუსულმანმა ლტოლვილმა სავარაუდო ძარცვის მიზნით, წააქცია გერმანელი ქალი და ძარცვა აშკარად გაუპატიურების პროცესს ემსგავსებოდა, რომ არა იქვე ტაძრის კიბეებზე მჯდომი „მაწანწალა," რომელიც შეეცადა ხელი შეეშალა თავდამსხმელისთვის, რის გამოც მოძალადემ მას ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა. შექმნილი სიტუაციით ისარგებლა ძირს დაგდებულმა ქალმა და გაექცა მოძალადეს. მოძალადის მიერ იარაღის გამოყენების შემდგომ საქმეში ჩაერია პოლიცია, რომლებმაც გაანეიტრალეს მოძალადე. აღნიშნული საქმის სიმძაფრე არა მხოლოდ ძალადობაა, რაც ყოველდღე ხდება მთელ მსოფლიოში, არამედ ის, რომ ამას აზიელი ლტოლვილი ჩადის იმ ქვეყნის მოსახლეობის მიმართ ვინც ის შეიფარა და როგორც ევროპელი ლიბერალი ლიდერები ამბობენ, „შანსი მისცა ახალი ცხოვრების დაწყებისა." ასევე ის არის მნიშვნელოვანი, რომ მუსულმანი ლტოლვილი ბედავს ქრისტიანული ქვეყნის ერთ-ერთი დიდი ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, საკათედრო ტაძრის კიბეებზე დღისით მოახდინოს შეიარაღებული თავდასხმა ახალგაზრდა ქალზე გაძარცვის და გაუპატიურების მოტივით. იქ მყოფი ხალხის და პოლიციის დანაყოფის, რომელიც განთავსებულია მოედნის ცენტრში და შემთხვევის ადგილიდან ათეულ მეტრში თანდასწრებით. აღნიშნული მოვლენა სათანადოდ არ გაშუქებულა პრესის მუშაკების მიერ, მომხდარი სახალხოდ არ შეფასებულა. თუმცა არსებობს ვიდეო- ჩანაწერები, რადგან გარშემო მდებარე ბანკების და სავაჭრო ცენტრების დაცვის სამსახურს აქვს ვიდეო თვალთვალის საშუალაებები. ასეთი მიდგომა სულაც არ არის ევროპაში დემოკრატიის მაჩვენებელი. ასეთი თავდასხმები ხორციელდება მუსულმანების მიერ ევროპაში მხოლოდ არა მუსულმანთა მიმართ, რადგან არ დაფიქსირებულა არცერთი თავდასხმა მუსულმან ქალებზე. იმ ტერიტორიებში, სადაც ჩაასახლეს მუსულმანი ლტოლვილები ადგილობრივი მოსახლეობა ცდილობს გაერიდოს, გაყიდოს მისი

ქონება და შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი, რადგან მათ მიმართ მიმდინარეობს ტერორი და ისინი არიან საფრთხის ქვეშ, რის გამოც შეიცვალეს ჩაცმის სტილი, სავაჭრო ობიექტებში არ იყიდება ღორის ხორცი, ხოლო ეკლესიების აქტიურობა შემცირდა და ზოგიერთ შემთხვევაში მოხდა ეკლესიების შესყიდვა მუსულმანური ორგანიზაციების მიერ და შემდგომ ამ ეკლესიების დანგრევა სხვადასხვა მიზეზის გამო. რა თქმა უნდა, ლტოლვილი აზიელების მიერ შექმნილი ტერორისტული ფონი, აუცილებლად გამოიწვევს მათ საწინააღმდეგო მოძრაობას, რისი ჩასახვის ნიშნებიც უკვე არსებობს ევროპაში და რასაც აუცილებლად გამოიყენებს რუსეთი მის გავლენის ქვეშ მყოფი პოლიტიკისების გასასძლიერებლად.

ჯერჯერობით აღნიშნულ რეალობას ჯიუტად უარყოფენ ევროპული ქვეყნების მთავრობები. აპელირება ხდება დემოკრატიაზე და ლიბერალიზმზე ადამიანის უფლებების დაცვაზე. გერმანიის კანცლერის განცხადებით, ბოლო დროინდელი ტერორისტული აქტები ვერ შეცვლის გერმანიის მიგრაციულ პოლიტიკას. მერკელი ამბობს რომ, თავდამსხმელები ვერ შეაჩერებენ პროცესს, რომლის მიზანია საზოგადოებრივი ერთობა და მზადყოფნა, დაეხმაროს იმ ხალხს, ვისაც ეს ნამდვილად სჭირდება. ევროპოლის თავმჯდომარის განცხადებით, ევროპაში ამჟამად 5000-მდე ჯიჰადისტი ბინადრობს, რომლების ტერორისტების სამწვრთნელო ბაზებიდან დაბრუნდნენ. რობ ვეინრაითის განცხადებით, ევროკავშირის ტერიტორიაზე კვლავ მოსალოდნელია ISIS-ის მიერ ორგანიზებული ტერორისტული თავდასხმები. ევროპოლის ვარაუდით, ევროპის 3 000-დან 5 000-მდე მოქალაქე ერაყისა და სირიის ტერორისტული ბანაკებში მომზადდნენ და სამშობლოში დაბრუნდნენ. პარიზში მომხდარი ტერორისტული აქტის რამდენიმე მონაწილე, ყალბი დოკუმენტებით თურქეთის, ბერძნული კუნძულებისა და ბალკანეთის გავლით, შემოყვა დევნილთა ტალღას. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისლამისტებმა კრიზისი სათავისოდ გამოიყენეს და ჯიჰადისტი მებრძოლები ევროპაში გააგზავნეს და ამ ვარაუდის დასა-დასტურებლად ხშირად ჩნდება სამხილები.

გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიიდან 700-მდე ადამიანი წავიდა სირიაში ტერორისტების მხარეს საბრძოლველად, აქედან ნახევარი უკვე უკან დაბრუნდა. ბრიტანეთის უშიშროებაში აცხადებენ, რომ ტერორისტების ამოცნობა

დევნილთა რიგებში შეუძლებელია. ცნობილია, რომ ISIS ერაყისა და სირიის პასპორტებს აყალბებს და თავის მებრძოლებს ურიგებს. დოკუმენტები იმდენად მაღალ დონეზეა გაყალბებული, რომ მათი ნამდვილისგან გარჩევა ევროპის უშიშროების სამსახურებს უჭირთ. პარიზის თავდასხმის მონაწილეები სირიაში, ქალაქ რაქასთან მდებარე ტერორისტთა საწვრთნელ ბანაკში მომზადდნენ. თურქეთის ძალოვანი სტრუქტურების ცნობით, სტამბულის 12 იანვრის ტერორისტული აქტის მონაწილეებიც სირიიდან შემოვიდნენ, როგორც ჩვეულებრივი მიგრანტები. პარიზის თავდასხმის შემდეგ ევროპის უსაფრთხოების სამსახურები გაძლიერებული რეჟიმით მუშაობენ საფრთხეების დასადგენად და აღმოსაფხვრელად. მომავალი თავდასხმების თავიდან აცილებისა და ინფორმაციის ეფექტურად მიმოცვლისთვის ევროპაში ახალი სტრუქტურა ევროპის კონტრ-ტერორისტული ცენტრიც (ECTC) შეიქმნა.

## 3.3. ტერორიზმი და ევროპული საზოგადოება;

გვინდა ეჭვი გამოვთქვათ ევროპაში ლტოლვილთა მართული ნაკადის არსებობის შესახებ რაც, პირდაპირ პროპორციულია ევროპაში ტერორისტული აქტირების გახშირებასთან. რუსეთის ფედერალური უშიშროების რუსეთის უშიშროების ოფიცერი, რომელიც უკრაინაში გაიქცა, ავრცელებდა ინფორმაციას, რომ ევროპაში მომხდარი ტერორისტული აქტები რუსეთის სპეცსამსახურების ხელშეწყობით ხდება. ის ასევე აცხადებს, რომ ისლამური ტერორიზმი, რომელიც საფრთხეს ქმნის ევროპის მასშტაბით ფინანსედება მოსკოვიდან. აღნიშნულ განცხადებებს ჩვენც ვეთანხმებით, რადგან რუსეთის გავლენა ევროპულ ხელისუფლებებზე აშკარად საგრძნობია. აზიელი ლტოლვილების მოთხოვნა განსაკუთრებულად ეხებოდა დიდ ბრიტანეთს, რომელიც იძულებული გახდა ევროპიდან და ლტოლვილებიდან თავის დაღწევის გზები ეძებნა. უნდა გავიხსენოთ ლტოლვილტა ბანაკები ქ.კალესთან, სადაც ლტოლვილები დაჟინებით ითხოვდენ ინგლისში ჩასვლას. ევროპული საზოგადოება არსებული იდეოლოგიური ზეწოლის შედეგად უდვრტვინველად იტანს ლტოლვილტა აგრესიას.

ლტოლვილი მუსულმანების მიერ ჩადენილი დანაშაულები განსაკუთრებული გულმოდგინებით იმალება ევროპელი ხელისუფლების მიერ, პრესა განიცდის

თვითკრიტიკას და არ ხდება ობიექტური გაშუქება თუ საქმე ეხება მუსულმან ლტოლვილს. მათ მიერ განხორციელებული მრავლობითი ტერორისტული აქტების მიუხედავად ევროპულისახელმწიფოს მეთაურები ჯიუტად განაგრძობენ დემოკრატიეზე საუბარს და ადამიანის უფლების დაცვის მიზეზით მუსულმანი ლტოლვილების მიღებას. თუმცა აღმოსავლეთ ვეროპის ქვეყნებიდან ჩასულ ქრისტიანებს არ ეხებათ მიგრანტებისთვის განკუთვნილი შეღავათები და ხშირად ხდება მათი დეპორტირება მიგრაციის შესახებ კანონის დაუხვეწავობის გამო. ტერორისტული ქმედებების და გავრცელების სწრაფი „განვითრებიდან“ გამომდიინარე მოვლენებს თვალყურს ადევნებს მსოფლიო პრესა, რომლის მნიშვნელობაც დიდია ტერორიზმთან ბრძოლაში. გამოიცემა სხვადასხვა სახელმძღვანელოები თუ ინსტრუქციები ჟურნალისტებისთვის თუ როგორ უნდა გააშუქონ ტერორზმთან დაკავშირებული ინფორმაცია ასევე ქცევის რეკომენდირებული წესები ტერაქტებისას.

აზიელი ლტოლვილების მიღებით გერმანია პირველ ადგილზეა. 2015 წელს, მიგრანტების გამო, გერმანიში დაძაბულობა გამწვავდა. ლტოლვილების გაჩენით ადამიანით მოვაჭრეები გააქტიურდნენ, რაშიც ევროპის ქვეყნების უგუნური პოლიტიკა უწყობდა ხელს. აზიელს გაუჩნდა ევროპაში მოხვედრის შანსი, რისთვისაც მას სასიკვდილო დაბრკოლებები უნდა გადაელახა, რის შემდგომაც მას ელოდა „უზრუნველი“ ცხოვრება ევროპაში და როგორც ზოგიერთი მუსულმანური მქადაგებლები არწმუნებდენ ისინი ჩაიდენდენ ღვთიურ საქმეს, თუკი წავიდოდნენ ევროპაში და გაავრცელებდენ იქ ისლამს. ლტოლვილთა ნაკადი იზრდებოდა, იქიდან გამომდინარე, თუ როგორ იღებდა ესა თუ ის ქვეყანა „ლტოლვილებს.“ მნიშვნელოვანია ის, რომ ევროპის მთავრობების მიერ გულმოდგინეთ იმალება ის დახმარებები, რაც გაეწეოდა ლტოლვილის სტატუსით ჩასულებს. იქიდან გამომდინარე თუ როგორ ცხოვრობენ ისინი ეს „დახმარება“ გაცილებით დიდია, ვიდრე სხვა ლტოლვილებისადმი და გერმანელი უმუშევრებისადმი გამოყოფილი თანხები.

რატომღაც არცერთი არასამთავრობო ორგანიზაცია არ აყენებს საკითხს დისკრიმინაციის შესახებ. აზიელ მუსულმან ლტოლვილსა და საქართველოდან ან პოსტასბჭოური ქვეყნიდან ჩასულ ლტოლვილს შორის, რადგან ისინი ნამდვილად არ არიან თანაბარ პირობებში და არ იღებენ თანაბარ ანაზღაურებას. მეტიც

საქართველო, რომელიც ევროპის მიერ აღიარებულია როგორც რუსეთის აგრესიის ობიექტი, გერმანიისა და რიგი სხვა ევროპული სახელმწიფოების მიერ „უსაფრთხო“ ქვეყანად გამოცხადდა. ამ დროს საქართველოს ხელისუფლება ცდილობს რუსეთის აგრესია ევროპის ლიდერებმა შეაფასონ. კერძოდ, რუსეთის წახალისებით, სეპარატისტების მიერ ჩადენილი საქართველოს მოქალაქეების გატაცებები, მკვლელობები. მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ რუსულ დიპოლმატთა რეაქციას და მათ გამონათქვამებს. რუსული დიპლომატია გაკვირვებას გამოხატავს ევროპის ორმაგ სტანდარტს საქართველოს მიმართ. რადგან თუკი ხორციელდება ქართველთა ეთნიკური დევნა საქართველოში, როგორ შეიძლება იგივე საქართველო იყოს ევროპელებისთვის „უსაფრთხო“ ქვეყანა. ამ ორმაგი სტანდარტებით რუსეთს ეძლევა ლავირების საშუალება, რაზეც საქართველოს ხელისუფლება არ ახდენს რეაგირებას. საბოლოოდ გამოდის, რომ აფხაზეთიდან ეთნიკური ნიშნით ლტოლვილი და სამაჩაბლოდან ეთნიკური ნიშნით ლტოლვილი და რუსულ-სეპარატისტულ ტერორს გაქცეული ქართველი არ ითვლება ლტოლვილად და მისი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება რჩება უყურადღებოდ, ხოლო აზიიდან, სირიის მეზობლად მყოფი ქვეყნებიდან რამდენიმე მილიონ ადამიანს აუცილებლად სჭირდება ლტოლვილის სტატუსი და ფინანსური უზრუნველყოფა ზპოგჯერ იმ დონეზეც რა დონეზეც არ ხდება ევროპელი პენსიონერის უზრუნველყოფა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ევროპაში აღთქმული „პრიზის“ გამო ბევრი ლტოლვილი იგდებს საფრთხეში თვას და ცდილობს საზღვაო გზით ევროპაში მოხვედრას, რა დროსაც ხშირია კატასტროფები ან უბრალოდ კრიმინალი იმ მცურავ საშუალებაზე, რითაც გადაჰყავთ ლტოლვილები. ევროპული საზოგადოება გამოხატავდა თავის უკმაყოფილებას, მაგრამ ეს ინათლება, როგორც ნაციზმი, რაც, ვფიქრობთ, არ არის სწორი და ადამიანებს უსაფრთხოდ ცხოვრების უფლება აქვთ, რადგან მუსულმანი ლტოლვილები მათ აღიქვავენ, როგორც თავდასხმის ობიექტს. გერმანელებმა არერთხელ მიმართეს გამოსვლებს და გამოხატეს თავიანთი უკმაყოფილება ლტოლვილების მიერ მოწყობილი ტერორის მიმართ. ლტოლვილთა წასახალისებლად, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი მათ ხშირად ხვდებოდა და ყოველგვარი დახმარების აღმოჩენას ჰპირდებოდა, რაც იწვევდა ლტოლვილების მოზღვავებას ევროპაში, ლტოლვილების დასამშვიდებლად

და დანაშაულის პრევენციისთვის გერმანიის პოლიციას უწევდა მათი დარაჯობა, რაც ვითომ ლტოლვილთა დაცვად ინათლებოდა გერმანელი ნაცისტებისგან. ერთ-ერთი ასეთი გამოსვლის დროს გერმანელმა ახალგაზრდებმა გამოხატეს თავისი უკმაყოფილება.

რა თქმა უნდა, ისინი პრესამ ფაშისტებად შერაცხა. გერმანიის ქალაქებში ლტოლვილები ჩვეულებრივი ამბავია, მათ დასახლებებს ყველა ერიდება, რადგან ხშირია მათი მხრიდან თავდასხმის გაუპატიურების, მკვლელობის, გაძარცვის და უბრალოდ სიძულვილის გამოხატვის ფაქტები მათ მიმართ ვინც დააპურა და საცხოვრებელი მისცა. ევროპის პრესაში ხშირად იბეჭდება სტატიები, სადაც ევროპელებს „შეფარვით ატყობინებენ" ლტოლვილების დადებით მხარეზე ეკონომიკის აღორძინების საშუალებაზე.

ფსევდო ლიბერალურ ხელისუფლებებს სინამდვილეში ხდება მუსულმანი ლტოლვილების გამოყენება კონტროლის გამკაცრებისთვის, რათა მიეჩვიოს ხალხი ჩაგვრას და ტერორს პრივილეგირებული გაუნათლებელი და მტრულად განწყობილი ლტოლვილების მხრიდან. ასეთი სახის „ახალი ევროპელები" განსაკუთრებით რუსეთს სჭირდება იმ ფონზე, როდესაც ევროპა სანქციებს უწესებს. რუსეთი ცდილობს გერმანელების და ევროპელების თვალში განმათავისუფლებელის როლი შეასრულოს. მაგალითად, ბერლინში რუსული სათვისტომო განსაკუთრებით ძლიერია, აზიელი ლტოლვილების მიერ რაიმე სიბოროტის ჩადენისას, რუსი ახალგაზრდები აქტიურად ერევიან საქმეში, ხოლო თვით რუსი ახალგაზრდების მიმართ რაიმე ღონისძიების გატარებას ვერ ბედავს ბერლინი. რადგან ყოველი რუსის უკან რუსეთის საელჩო დგას და მცირედი „დაჩაგვრის" საშუალებას არავის აძლევს.

აზიელების მიერ დამყარებული ტერორის შედეგია ის, რომ ქ. ვენაში მუსულმანი ლტოლვილებით დასახლებულ უბნებში ავსტრიელი გოგოები სახლში მისვლისას იძულებულნი არიან გაიკეთონ თავსაბურავი, რათა მათ მუსულმანებმა შეურაცხყოფა არ მიაყენონ. აღნიშნულით ვხედავთ, აშკარა ტერორს მუსულმანების მიერ არამუსულმანების მიმართ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი თავისით არ ხდება და ამას ღრმად გამიზნული მიზეზი აქვს. მუსულმანი ლტოლვილების გადასახლებას ევროპაში ბევრი ტერორისტული აქტი მოჰყვა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მერკელი და სხვა ევროპელი ლიდერები მოუწოდებდენ მოსახლეობას არ

შეშინებოდათ ტერორისტების და მეტი სიჯიუტით მიეღოთ ლტოლვილები, რათა გაემარჯვებინა დემოკრატიას. მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მეტი აზიელი ტერორისტი შემოვიდეს ქვეყანაში, რატომღაც დემოკრატიის გამარჯვებად განიხილებოდა.

განსაკუთრებით მწვავედ დადგება საქართველოს უსაფრთხოების საკითხი ისლამური რესპუბლიკის განადგურების შემდგომ. ბევრი ისლამისტი მებრძოლი შეძლებს სხვადასხვა გზით მათ შორის სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების დახმარებით თავი აარიდოს სამართლიან სასჯელს და გაიფანტონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მათ შორის საქართველოშიც სადაც შეეცდებიან გააგრძელონ ტერორისტული აქტები.

# თავი IV
# ტერორიზმის პრევენცის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ რელიგიური ასპექტები

## 4.1. საერთაშორისო ორგანიზაციები ტერორიზმის წინააღმდეგ

„ერთი შეხედვით, ომში ყველაფერი მარტივია, თუმცა სინამდვილეში ყველაზე მარტივი ქმედების სისრულეში მოყვანაც კი რთულია". [103].

კვლევამ გვიჩვენა, რომ ტერორიზმთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალებაა ტერორიზმის პრევენცია. მისი ჩანასახში აღკვეთა. ამისთვის ჩვენ უნდა ვიცნობდეთ რელიგიური ტერორისტულ ორგანიზაციების უნდა განვიხილოთ მათი ბრძოლის საშუალებები და მეთოდები გამომწვევი მიზეზები დაფინასების წყარო და მოტივები. მსოფლიოში ყველაზე ძლიერ და გვლენიან ტერორისტულ ორგანიზაციებს განეკუთვნება: თალიბანი, ალ ქაიდა, ბოკო ჰარამი, ჯაბჰატ ალ ნუსრა, ჰამასი, ძმები მუსლიმანები. ეს არის არასრული ჩამონათვალი ტერორისტული ორგანიზაციებისა მაგრამ ისინი წარმოადგენენ სერიოზულ ძალას და დროდადრო იქცევენ მსოფლიოს ყურადღებას. ისინი წამოადგენენ ისლამური ჰუნდამენტალიზმის აგრესიულ ფრთას.

მნიშვნელოვანია განვმათოთ ის, რომ თანამედროვე ტერორიზმის წამოშობას ხელი შეუწყო აზიის რეგიონში განვითარებულმა მოვლენებმა, რა დროსაც შეიქმნა ვაკუუმი, რომლის შევსებაც ადგილობრივი მოსახლეობის ფსიქო ტიპიდან გამომდინარე შეძლო მუსულმანურმა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა, მათ მოახერხეს და უკონტროლოდ დატოვებული ტერიტორიების გაკონტროლება დაიწყეს. სამწუხაროდ არ ჩატარაბულა არავიტარი კვლევა შეიზლება თუ არა აზიის რეგიონში მკაცრი კონტროლის გარეშე ტერიტორიების დატოვება, არ გატარდა არავიტარი პრევენციული ღონისძიებები ტერორისტული ორგანიზაცოიების წინაარმდეგ, რათა არ ესარგებლათ შექმნილი სიტუაციით.

„მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე გაჩნდა საერთაშორისო უსაფრთხოებისადმი მიძღვნილი კვლევების საჭიროება. თავდაპირველად ის ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი კვლევითი დარგი. აღნიშნული სფერო მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა „უსაფრთხოების კვლევები“, „სტრატეგიული კვლევები“, „სამშვიდობო კვლევები“ და სხვ. გაერთიანებული ერების (გაერო) შექმნაზე მუშაობა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის „დასრულებამდე დაიწყო, რადგან ერთა ლიგის წარუმატებლობისგან მიღებული გაკვეათილი ცხადყოფდა, რომ შეერთებული შტატების წევრობა გაეროსთვის იყო გადამწყვეტი“ [32. 629].

კვლევა გვაჩვენებს, რომ სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია ეროვნული ღირებულებები რაც განსაზღვრავს მის პოლიტიკურ კურსს. ეროვნული ღირებულება ავითარებს სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსს და არის მისი განვითარების მორალური იდეოლოგიური საფუძველი. ეროვნული ინტერესები განსაზღვრავს სახელმწიფო მოწყობას. სახელმწიფოსთვის განვითარებას გააჩნია პრიორიტეტები.

**სახელმწიფოს განსაკუთრებული ინტერესი** - რასაც გავლენა ექნება ქვეყნის არსებობაზე და მის სიცოცხლის უნარიანობაზე, როგორიც არის ქვეყნის ანექსია.

**მნიშვნელოვანი ინტერესები** - რაც განაპირობებს ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს და გავლენა აქვს ქვეყანაზე. თუმცა ამ გავლენას არ მოაქვს ქვეყნის დაღუპვა.

**მცირედ მნიშვნელოვანი** - კრიტიკულ მდგომარეობაში არ აგდებს ქვეყანას მაგრამ აქვს გავლენა მის პრესტიჟზე

„ტერორიზმა, ნატოს მისიაში ახალი საკითხები წამოჭრა. 2001 წლის 11 სექტემბრს აშშ-ზე ტერორისტული თავდასხმის შემდგომ ნატოს წევრებმა ალიანსის ხელშეკრულების მე 5-ე მუხლი აამოქმედეს." [32. 629]

გაეროს 1269-ე რეზოლუციაში საგანგებოდ არის მითითებული, რომ:

,,უპირობოდ განიკითხავს ტერორიზმის ყოველ აქტს, მეთოდს და პრაქტიკულ გამოვლინებას, როგორც დანაშულებრივს და გაუმართლებელს, მისი მოტივაციის, ფორმის, ჩადენის და ჩამდენი პირების მიუხედავად, განსაკუთრებით კი ისეთის რომელიც ხელყოფით ემუქრება საერთაშორისო მშვიდობას და უშიშროებას" [104].

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის პრობლემა ავღანეთის ოპერაციაა, სადაც ბრძოლა მიმდინარეობს რელიგიურ ტერორიზმთან. „ალ ქაიდა" შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით მოქმედებდა, მას თავისი ემისრები ყავდა მსოფლიოს სხვა დასხვა ქვეყნებში მათ შორის ჩრდილო კავკასიაში. ალქაიდას დასაყრდენი ქონდა ევროპაში იქ მცხოვრები რადიკალი მუსულმანების სახით. ალ ქაიდასათან მჭიდრო კავშირშია ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასი," რომლის ჩამოყალიბება და გაძლიერება ისრაელის სახელმწიფოსთან ბრძოლის დროს. „ჰამას" ნიშნავს ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობას." ჰამასს და მასში შემავალ მცირე ტრორისტულ გაერთიანებებს დახმარება სუწევდა საბჭოთა კავშირი. პალესტინის ხელისუფლებაში მოსული ჰამასი პერიოდულად ეწევა ისრაელის სახლემწიფოსთან ტერორისტულ ომს, რომელიც ისრაელის მხრიდან ანტიტერორისტული ოპერაციებით მთავრდება. ორგანიზაციის ადამიანური რესურსებით მომარაგება ხდება ღაზას სექტორიდან.

გვინდა განვმარტოთ, რომ ისრაელი თავის უსაფრთხოებას სერიოზულად ეკიდება ამიტომ ზოგ შემთხვევაში ის არ ახლენდა მის წინააღმდეგ მიმარტული საფრთხის წინააღმდეგ პრევენციულ მოქმედებებს.

კვლევით ვადგენთ, რომ ისრაელის წინააღმდეგ სახელმწიფო ტერორს ახორციელებდა რამდენიმე აზიური ქვეყანა რამაც ისინი საბრძოლო მოქმედებამდე მიიყვანა და ეგვიპტე იორდანია და სირია გაერთიანებული ძალით თვას დაესხნენ ისრაელს. შემდგომ განვითარებული მოვლენები გვაფიქრებინებს, რომ ისრაელი

მზად იყო მოვლენების მსგავსი სცენარისთვის. ისრაელმა შეძლო თავდამსხმელთა მოგერიება და ინიციატივის ხელში ჩაგდება, რის შემდგომ ის კონტრ შეტევაზე გადავიდა, საბჭოტა კავშირის ჩარევის შემდგომ შტატებმა მოახდინეს ისრაელზე პოლიტიკური ზეწოლა და ისრაელმა შეაჩარა საომარი მოქმედებები. თუმცა ისარელის სახელმწიფოსა და ისლამისტი მებრძოლების დაპირისპირების არეალი ევროპაში გადადის. შექმნილმა გახშირებულმა ტერორმა ევროპა ბრძოლის ველად აქცია, წარსულის გაანალიზებას მივყავართ იქითკენ, რომ საბჭოთა სპეცსამსახურებს ყოველთვის ჰქონდა კავშირი ტერორისტულ ორგანიზაციებთან და მათ მოქმედებას ყოველთვის იყენებდა მის სასარგებლოდ. მნიშვნელოვანია ის, რომ ისრაელს არასდროს შეუჩარებია საფრთხების წინააღმეგ აქტიური მოქმედებები რითაც უზრუნველყოფს თავის უსაფრთხოებას. ნატოს წევრმა ქვეყნებმა არმია შეამცირეს და მათთან ერთად სპეციალური ძალებიც. ევროპული საზოგადოებისთვის ნელ-ნელა გაუცხოვდა საკუთარი ქვეყნის წინაშე ვალის მოხდის გრძნობა. მომრავლდა უცხოეთის მიერ მართული პაციფისტური ორგანიზაციები, ზეწოლის შედეგად შეიცვალა კანონმდებლობები სავალდებულო სამსახურის მოხდის შესახებ. აქცენტი გაკეთდა დაქირავებულ არმიაზე საფრანგეთი, ესპანეთი, ინგლისი უცხოური ლეგიონების ანმარა დარჩა, რაც სამშობლოს დაცვისთვის არ გამოდგება. განსხვავებული გზა აირჩია შტატებმა ის აქტიურად აწარმოებს საბრძოლო მოქმედებებს სხვადასხვა ქვეყნებში, რითაც ჯარს არ აძლევს მოდუნების და პაციფიკაციის საშუალებას და ანგარიშგასაწევი ძალა ხდება მთელი მსოფლიოს ტერორისტებისა და არმიებისთვის. აშშ-მ შექმნა დაქირავებულ მებრძოლთა კორპუსები, რომლებიც დაქირავებულ ტერორისტულ ორგანიზაციებს უფრო გავს, ვიდრე ოფიციალურ სამხედრო სტრუქტურას. მათი ამოცანა განისაზღვრება კიდეც ტერორიზმთან ბრძოლა და ზოგ შემთხვევაში ტერაქტების ჩატარებაში. საქმეში ჩაუხედავი ადამიანები, ომში ჩართული ხელისუფლებების განცხადებებს ჯარების გაყვანის შესახებ სერიოზულად აღიქვავს, თუმცა პროფესიონალმა სამხედროებმა იციან, რომ ხდება ჩანაცვლება რეგულარული სამხედრო ნაწილების დივერსიულ-ტერორისტული დაქირავებული დანაყოფებით. აღნიშნული არის საკმაოდ ეფექტური, რადგან მიმდინარეობს არა ფრონტალური საბრძოლო მოქმედებები, არამედ დივერსიულ ტერორისტული ომი. რის გამოც პენტაგონი PMF (Privete Militari Firms) გამოყენებას არჩევს.

აღნიშნულით ხდება სამხედრო დანაკარგის დამალვა. დაქირავებული არმიების შევსება ხდება არა მარტო ამერიკელი ინგლისელი ან ფრანგი მოქალაქეებით, არამედ ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან, რომლებიც გაცილებით იაფი „საზარბაზნე ხორცია". აღსანიშნავია, რომ სამხედრობსა და დაქირავებულ მებრძოლებს ერთმანეთში ცუდი ურთიერთობა აქვთ, მათ მიერ ომის წარმოების წესების გამო. დაქირევებული არმიები შექმნა რუსეთმაც, მათ შორისაა „ვაგნერი", რომელსაც ამერიკის არმიამ ძლიერი დარტყმა მიაყენა ახლო აღმოსავლეთში. რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ ყველა სამხედრო დაპირისპირებაში გამოიყენა დაქირავებულები. აღსანიშნავია, რომ კერძო არმიებს ავიწროებენ და ანაცვლებენ კერძო ტერორისტული ორგანიზაციები, რადგან დაქირავებულტა წინააღმდეგ ჯერჯერობით საერთაშორისო კანონმდებლობები არაეფექტურია. „1949 წლის ჟენევის კონვენციის დამატებითი პროტოკოლის სახით. დაქირავებულია პირი, რომელიც გადაბირებულია შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობის მისაღებად" [105. 47].

ბოლო წლებში გამრავლდა რელიგიური, იდეოლოგიური მოტივებით დაქირავებულთა რიცხვი, რომლებიც ფულთან ერთად იკმაყოფილებენ რელიგიურ-იდეოლოგიურ მოტივებს, რაც საქართველომ თავის თავზე არაერთხელ გამოსცადა, როდესაც ჩეჩნები ეთნიკურ-რელიგიური, კაზაკები ეთნიკურ-იდეოლოგიური და სომხები ეთნიკური მოტივებით უპირისპირდებოდნენ. დაქირავებული ტერორისტების გამოყენება შეიძლება უცხოურ შეიარაღებულ აგრესიასაც გაუტოლდეს. აღსანიშნავია, რომ დაქირავებულთა მოტივაცია დაბალია და ხშირად უუნაროა რეგულარულ არმიასთან დაპირისპირებისას. საქართველომ უნდა გაითვალისწინოს, რომ რუსეთთან დაპირისპირების შემთხვევაში აუცილებლად მოუწევს დაპირისპირება დაქირავებულ მებრძოლებთან, რომლებიც, როგორც წესი, სისასტიკით გამოირჩევიან, ხოლო მათი გამოყენებით, შეიძლება გადაიფაროს რეგულარული ჯარების მოქმედება და საჭიროების შემთხვევაში რუსეთს შეუძლია უარი თქვას დაქირავებულ მებრძოლების კუთვნილებაზე.

